

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

გიორგი ხარშილაძე

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული
ცვლილებები გარდამავალ პერიოდში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

*მიხეილ ჯიბუტი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის სრული პროფესორი*

თბილისი
2015

შინაარსი

ანოტაცია (ქართულ ენაზე).....	4
ანოტაცია (ინგლისურ ენაზე).....	7
შესავალი.....	9
თავი 1: ეკონომიკური სისტემები.....	17
1.1 ტრადიციული ეკონომიკური სისტემა.....	22
1.2 ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა.....	22
1.3 საბაზრო ეკონომიკური სისტემა.....	24
1.4 შერეული ეკონომიკური სისტემა.....	29
თავი 2: ეკონომიკის სტრუქტურა.....	33
2.1 ეკონომიკის სტრუქტურა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით.....	33
2.2 ინსტიტუციური სექტორების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით.....	37
2.3 ინსტიტუტების იერარქიული წესები.....	39
2.4 ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკური დარგების მიხედვით.....	42
2.5 წარმოების ანგარიში.....	45
2.6 შემოსავლის ფორმირების ანგარიში.....	48
2.7 რესურსების მაჩვენებლები.....	49
2.7.1 შემოსავლის გამოყენების მაჩვენებლები.....	49
2.7.2 ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	51
2.8 პირველადი შემოსავლის განაწილების ანგარიში.....	52
2.9 შემოსავლის მეორადი განაწილების ანგარიში.....	54
2.10 შემოსავლის გამოყენების ანგარიში.....	55
2.11 ეკონომიკის სტრუქტურის განსაზღვრა NACE კლასიფიკატორის მიხედვით.....	56
თავი 3: გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ფენომენი.....	63
3.1 შეფასების კრიტერიუმები.....	67
3.2 ფისკალური პოლიტიკა.....	70

3.3 გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები.....	71
3.4 გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები.....	74
თავი 4 :საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები და სტრუქტურული ცვლილებები გარდამავალი პერიოდში.....	81
4.1 საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები 1990-2003 წლებში.....	82
4.2 ინსტიტუციური ცვლილებები.....	95
4.3 საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები 2003-2013 წლებში.....	104
4.4 ძირითადი მაკროეკონომიკური ტენდენციები.....	115
4.4.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.....	120
4.4.2 საქართველოს საგარეო ვალი.....	123
4.4.3 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.....	124
4.4.4 ინფლაცია და გაცვლითი კურსი.....	126
4.4.5 საგარეო ვაჭრობა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.....	129
4.4.6 სახელმწიფო საფინანსო სისტემა.....	135
დასკვნა და რეკომენდაციები.....	144
გამოყენებული ლიტერატურა.....	152

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში არსებითი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის მიწურულს აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის სოციალისტური ქვეყნების ნგრევამ და მათ ტერიტორიაზე წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებში განხორციელებულ ცენტრალიზებულ გეგმიანი მეურნეობის გარდაქმნამ საბაზრო ეკონომიკად. ეს უკანასკნელი უმთავრესად კერძო საკუთრების სიმყარეს ეფუძნება. ორ ათეულზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამ წარმოშვა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მრავალი პრობლემა, რომელთა დროული გადაწყვეტა მეტად საშურ საქმეს წარმოადგენს.

კერძო საკუთრებაზე უფლებების არსებობა საბაზრო ეკონომიკის საბაზისო ელემენტია და, შესაბამისად, ამ უფლებათა დაკანონება გარდამავალი პროცესის მთავარი ინდიკატორია. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) ჩამოყალიბებული აქვს გარდამავალ პერიოდში პროგრესის გამოთვლის ინდიკატორები. კლასიფიკაციის ეს სისტემა თავდაპირველად ამ ბანკის 1994 წლის გარდამავალი პერიოდის ანგარიშში გამოქვეყნდა, თუმცა მომდევნო წლების ანგარიშებში ის რამდენჯერმე შესწორდა და დაიხვეწა. ეს ინდიკატორებია:

- ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია
- მცირე ზომის საწარმოთა პრივატიზაცია
- მთავრობისა და სამეწარმეო რესტრუქტურირაცია
- ფასთა ლიბერალიზაცია
- სავაჭრო და საგარეო გაცვლითი სისტემების რეორგანიზაცია
- კონკურენციის წახალისების პოლიტიკა
- საბანკო რეფორმა და საპროცენტო განაკვეთების ლიბერალიზაცია
- ფასიანი ქაღალდების ბაზრებისა და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების განვითარება
- ინფრასტრუქტურის რეფორმა

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები. ამ უკანასკნელის როლი და მისი ეკონომიკაზე ზეგავლენის ხერხები იცვლება საზოგადოების სრულყოფის და ეკონომიკის განვითარების შესაბამისად. ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი და ფორმები ბევრადაა

დამოკიდებული განსაზღვრულ პერიოდში მოცემული ქვეყნის მიერ შერჩეულ ეკონომიკური პოლიტიკის კურსზე და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელზე. საბაზრო მოდელის პირობებში ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი არსებითად მცირდება. აქ ძირითადად მისი როლი დაიყვანება იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში ზემოქმედება მოახდინოს საბაზრო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ხოლო მეორე მხრივ - უშუალო მონაწილეობა მიიღოს იმ პროცესების ორგანიზაციაში და რეალიზაციაში, რომლებშიც საბაზრო ურთიერთობები ან არარაციონალურია ან არსებითად არის შეზღუდული.

საქართველოში, ისევე როგორც ბევრ პოსტსოციალისტური ქვეყნების დიდ ნაწილში, ეკონომიკური გარდაქმნების სტრატეგიული გზა ეფუძნებოდა ევოლუციური განვითარების მოლოდინს, საბაზრო პრინციპებთან თანდათანობით ადაპტირებას, რასაც ნაკლები პრობლემები უნდა გამოეწვია. თუმცა, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, ეკონომიკა საბაზრო შოკში აღმოჩნდა, რის შედეგადაც საჭიროებამ მოითხოვა რადიკალური ცვლილებების გატარება.

შედეგად, ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე სტრატეგიულ შენაძენად «მოკურ თერაპიაზე» დაყრდნობილი «სოციალური დარვინიზმის» თეორია იქნა მიჩნეული, რომლითაც ქვეყნის ეკონომიკა ფაქტობრივად სპეკულაციური კლანების ინტერესებს დაექვემდებარა. რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური თეორიის ელემენტარული ცოდნის გარეშე, დილექტანტის დონეზე ათვისებული მონეტარისტული თეორიის პოსტულატებით განხორციელდა «მოკური თერაპიის» დოგმების მხოლოდ ერთი ნაწილი, სადაც ვაჭრობისა და ფასების ლიბერალიზაცია რეფორმების ამოსავალ მომენტად იქნა მიჩნეული.

ჩვეულებრივ, ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმის მიზანია აამაღლოს ეკონომიკის მწარმოებლურობა და ეფექტიანობა. კერძოდ კი: სტიმული მისცეს ეკონომიკის უფრო სწრაფ ზრდასა და განვითარებას; აამაღლოს შრომის მწარმოებლურობა; გააუმჯობესოს რესურსების გამოყენების ეფექტიანობა; აწარმოოს პროდუქციის საკმარისი ოდენობა; შეამციროს იმ საქონლის მარაგები, რომელზედაც არ არის მოთხოვნა; გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი.

გარდამავალ პერიოდში ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის მთავარი თავისებურება - მისი გლობალური დაუბალანსებლობაა. სწორედ ეს განსაზღვრავს მაკროეკონომიკურ პრობლემას, რომელიც უნდა გადაწყდეს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიურ საფუძველზე და სტრუქტურულ-ინვესტიციურ გარდაქმნათა განხორციელებით. მისი გადაუდებელი გადაწყვეტით არის განსაზღვრული იმ ამოცანების სპეციფიკა, რომლებიც დგანან მაკრო დონეზე ფორმირებადი საბაზრო ეკონომიკის ყველა სუბიექტის და, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების წინაშე. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რომელსაც გამოვლენის მრავალი ფორმა აქვს, არის წარსულში და რეფორმების პერიოდში მოქმედი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ფაქტორების უცნაური გადახლართვის შედეგი.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საქართველოს ეკონომიკისთვის ყველაზე აქტუალური საკითხები, გარდამავალი პერიოდის საქართველოს სექტორული ეკონომიკის დინამიკა და ანალიზი, საქართველოს ეკონომიკაში წარმოქმნილი პრობლემები და შემუშავებულია მათი გადაჭრისთვის სათანადო ღონისძიებები და წინადადებები.

Annotation

In the late 20th century the modern history of the world economy affected collapse of the socialist countries of Eastern Europe and the former Soviet Union, emerging new states from the centralized economy into a market economy, which is mainly based on the strength of private property. Creation of independent states has produced theoretical and practical problems, which demanded immediate solutions.

The rights of ownership is the private element in market economy and, in transition process, the main indicator is to legalize them. European Reconstruction and Development Bank (EBRD) established the calculations of progress in transition process. Such classifications first appeared in 1994's transition period reports, but in next year's reports it was revised. These indicators are: large-scale privatization, privatization of small-based enterprises, restructuring of government and enterprises, price liberalization, trade and foreign exchange systems reorganization, promoting competition policy, bank reform and interest rates liberalization, developing security's market and non-bank financial institutions, reforms of infrastructure.

Main attention has to be focused on the economical functions of the country. Its role on country's economy changes on the impact of the development of country's economy and society. A lot depends by government selected economic policy and social-economic development model. Here government role is expressed, on the one hand, by effective functionality of market mechanism and on the second hand by organizing those processes where market relationship is irrational or limited.

In Georgia, as in much Post-socialist country, economic transformation process strategy was based the evolutionary path for the development of expectation, gradual adaptation of market principles, which should lead fewer problems. But with a help of political and economic factors, the economy appeared to be shocked, which required radical changes in the economy. As a result, during the first period of economic reforms the strategic acquisition was on "shock theory" based "Social Darwinism," by which Georgia's economy was subordinated by the interests of Speculative clans. We can make a conclusion about the reforms made in early period. Without the elementary knowledge of economical theory,

with a help of postulates of monetarist theory implemented part of dogmas of “shock therapy,” where trade and price liberalization was starting point.

As a result, during the first period of economic reforms the strategic acquisition was on “shock theory” based “Social Darwinism,” by which Georgia’s economy was subordinated by the interests of Speculative clans. We can make a conclusion about the reforms made in early period. Without the elementary knowledge of economical theory, with a help of postulates of monetarist theory implemented part of dogmas of “shock therapy,” where trade and price liberalization was starting point.

The aim of any economical reform is to increase productivity and effectiveness of economy: to stimulate more rapid growth and development of country’s economy; to increase labor productivity; developing effectiveness of using resources; to produce sufficient amount of product; reducing those inventories to which is not demand and improve product quality.

The main feature of country’s economy in transition period is its global imbalance. That determines the macroeconomic problems that should be solved in transition period on the basis of modern technical-technological and structural-investment transformation model. On its immediate solution is determined the specifics of those tasks, which stands before the state and its institutions at any formed macro and micro level. Macroeconomic instability, which is detected by many forms, is the strange intertwined result of the past and present subjective and objective factors

In the presented thesis is discussed is discussed the most actual economical problems which rose in the economy of Georgia during the transition period from the commanding-administrative system to the market economy. Also there is shown the dynamic and analyses of real sector and have been designs the solutions and proposals for solving such created problems.

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა

საქართველოში მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა ეკონომიკური ურთიერთობების ძირეული გარდაქმნა. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში წარმოშობილი მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა დღის წესრიგში აყენებს მათი გადაწყვეტისათვის ყველაზე მოქნილი და ეფექტიანი გზების ძიებას. საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ერთი მხრივ, ბაზრის, როგორც ეკონომიკური სისტემის, უპირატესობათა მაქსიმალური გამოვლენა და საბაზრო ინსტიტუტებისა და მექანიზმების ფორმირება-ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების, ეკონომიკურად მიზანშეწონილი მასშტაბებით განხორციელება იმ ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც განვითარების მოცემულ ეტაპზე ყველაზე მეტად მიესადაგება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რეალური ზრდის მოთხოვნებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგში პერიოდის განმავლობაში პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაცია განსხვავებული ტრაექტორიით წარიმართა. მსგავსი პირობიდან გამომდინარე ამ ქვეყნებმა სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით განვითარების სხვადასხვა დონეს მიაღწიეს. მას შემდეგ საკმარისი დრო გავიდა, რათა შეფასდეს ტრანსფორმაციის პროცესი, მისი დინამიკა და მახასიათებლები იმის გათვალისწინებით, თუ რა ამოცანები იყო დასახული და რა შედეგები იქნა მიღებული.

ამ თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოიყოს ქვეყანათა ჯგუფებიც, რომლებიც პროგრესის მსგავსი დინამიკით და ტრანსფორმაციის მსგავსი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ნიშნებით ხასიათდება. პირობითად, სამი ამგვარი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება. პირველ ჯგუფს წარმოადგენს „ახალი ევროპის“ ის ქვეყნები, რომელთა ტრანზიციის მიმართულება დიდწილად განსაზღვრა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებამ. მეორე ჯგუფში ის ქვეყნები შედიან, სადაც ეკონომიკის ზრდის ფონზე მოდერნიზაციის

პროცესი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანას დაშორდა და პოლიტიკურმა სისტემამ ავტორიტარული ხასიათი შეიძინა. მესამე ჯგუფში ის ქვეყნები შეიძლება მოვიაზროთ, სადაც დასავლური ვექტორი გამოკვეთილია, როგორც განვითარების ორიენტირი, თუმცა ეკონომიკური განვითარების კურსის მდგრადობა და სტაბილური დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება ტრანზიციის მიმდინარე ეტაპის ძირითად ამოცანად რჩება.

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეული პრობლემა დაისვა, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკის არსებული მდგომარეობის საფუძვლიანი გაცნობისა და მეორე მხრივ, ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების მაკროეკონომიკური ასპექტების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე. გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში ეროვნული ეკონომიკის სისტემურ-კომპლექსური კვლევის აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში მოქმედებს სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს მიმართული ფაქტორები, ამიტომ რეგულირების რომელიმე ინსტრუმენტის არაეფექტიანი და ეკონომიკის არსებული მოთხოვნებისადმი არაადეკვატური გამოყენება შეიძლება ნეგატიურად აისახოს სხვა რომელიმე მაკროეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის ხარისხზე.

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის საკვლევი პერიოდი (1991-2013წწ) საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით, მათ შორის, მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად. წარმოდგენილ კვლევაში ყურადღებას ვამახვილებთ ტრანსფორმაციის ეკონომიკურ ვექტორზე და მის მახასიათებლებზე, ასევე სოციალურ და ინსტიტუციურ სფეროებზე იმდენად, რამდენადაც ის უშუალო კავშირშია ეკონომიკასთან.

თუმცა, აღნიშნული პერიოდის შემდეგაც, განსხვავებული კურსის, ფაზებისა და გარღვევების მიუხედავად, ეკონომიკური პოლიტიკის შედეგიანობის თვალსაზრისით, რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც მოქალაქეთა ცხოვრების დონის თვალსაჩინო გაუმჯობესებას და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფას უკავშირდება. ყოველივე ეს ძალზე აქტუალურს ხდის სხვადასხვა პერიოდში გატარებული პოლიტიკის როგორც კონცეპტუალურ, ისე ღრმა ანალიზს, მისი ცალკეული კომპონენტების გათვალისწინებით.

კვლევის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი და შესწავლა, ხოლო ამის საფუძველზე გზებისა და სახეების და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დისერტაციაში დასმულია და გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები:

- გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის ტენდენციების გამოკვლევა და ანალიზი;
- გარდამავალ პერიოდში საქართველოში სექტორული ეკონომიკის დინამიკის რეგულირების ღონისძიებების შემუშავება;
- საქართველოში მაკროეკონომიკური არასტაბილურობის დაძლევის გზების გამოკვლევა;
- მაკროეკონომიკური სტაბილურობა და სახელმწიფოს როლის გაანალიზება გარდამავალ პერიოდში;
- საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი და დინამიკა გარდამავალ პერიოდში;
- სახელმწიფო ფინანსების დინამიკის დეტალური ანალიზი გარდამავალი პერიოდის საქართველოში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

ნაშრომი წარმოადგენს ანალიტიკური კვლევის საფუძველზე შესრულებულ ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელშიც კომპლექსურადაა გამოკვლეული საქართველოს ეკონომიკის არსებული მდგომარეობა, სექტორული ეკონომიკის ძირითადი ტენდენციები, მისი განმსაზღვრელი მთავარი ეკონომიკური ფაქტორები საქართველოში და მათი ზეგავლენა ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებზე.

ნაშრომში მთავარ სიახლეებს წარმოადგენს შემდეგი:

- ეროვნული ანგარიშგებათა სისტემის მიხედვით აღწერილია ქვეყნების განვითარების ეკონომიკური მიმართულებები და დადგენილია ტენდენციები, რომლებიც დამახასიათებელია გარდამავალი ქვეყნებისათვის. ეროვნულ ანგარიშგებათა სისტემის მიხედვით შემუშავებულია კრიტერიუმები, რომლებიც ეკონომიკის განვითარების ერთიანობას ასახავს. ასეთი მიდგომა არ უარყოფს გარდამავალი ეკონომიკის არსებულ სხვა კრიტერიუმებს, რომლებიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება, თუმცა წარმოადგენს ეკონომიკას კომპლექსურად და სისტემური სახით.
- საქართველოს ეკონომიკის ტენდენციების განსაზღვრა დაეფუძნა მცირე და დარგობრივი და სოციალური-ეკონომიკური და ტექნიკური სისტემების ერთობლიობას. ამ თვალსაზრისით დადგენილია ეკონომიკის სისტემური ნიშნები და ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და ის სტადიური მახასიათებლები, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და ფუნქციონირებას ახასიათებს.
- გადმოცემულია ინსტიტუციური სექტორის კლასიფიკაცია და მისი შეჯერებით ერთობლივ ანგარიშგებათა სისტემის კრიტერიუმებთან განსაზღვრულია ეკონომიკის ფუნქციონირების ტენდენციები.
- დახასიათებულია ანგარიშგებათა სისტემის ახალი ვარიანტები და სხვა კალსიფიკაციებთან შედარებითი ანალიზის გზით დასაბუთებულია გარდამავალი ეკონომიკის სტრუქტურის თავისებურებები.
- სტრუქტურული და სისტემური ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია გარდამავალი ეკონომიკის შეფასების სპეციფიკური კრიტერიუმები და დადგენილია საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ნაკლოვანებები, პოზიტიური მხარეები, რისკები და შესაძლებლობები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. განსაზღვრულია ეკონომიკის სტრუქტურული თავისებურებები ეტაპების მიხედვით.
- სისტემური ანალიზის საფუძველზე გადმოცემულია საქართველოში განხორციელებული რეფორმების ინსტიტუციური მიმართულებები, ხოლო ფინანსური პოლიტიკის და დარგობრივ-სტრუქტურული განვითარების

ანალიზისა და ურთიერთშედარების საფუძველზე კი გამოვლენილია საქართველოს განვითარების წინააღმდეგობები და ბარიერები.

კვლევის ობიექტი

საკვლევი თემის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის პოტენციალის, მისი სტრუქტურული ელემენტების და მათი გამოყენების მდგომარეობის განსაზღვრა დინამიკაში. საქართველოს ეკონომიკაში მიღწეული წარმატებებისა თუ წარუმატებლობების მიღწეული დონე გარდამავალ პერიოდში. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი კატაკლიზმები, მათი გამომწვევი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გაანალიზება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკაში წამოჭრილი ახალი მიზნების, ამოცანების, მათი მიღწევისა და გადაწყვეტის გზების დახასიათება. ეკონომიკური რეფორმების ანალიზი და შეფასება. ეკონომიკური განვითარების ტემპების, ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი და დინამიკა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების მიხედვით მათი სრულყოფის აუცილებლობის დასაბუთება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველები

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს: ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა, ეკონომისტთა თეორიული და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკური ანალიზის, შედარების, შეპირისპირების, დაჯგუფების, მათემატიკური და სხვა ხერხები. სადისერტაციო ნაშრომის შესრულების პროცესში ფართოდ იქნა გამოყენებული მაკროეკონომიკური კვლევის თანამედროვე, ექსპერტული მეთოდები და მოდელები. ნაშრომში ასევე წარმოჩენილია სტატისტიკის მიმართულების ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები და სტატისტიკური მონაცემები, მიდგომები და მეთოდოლოგია.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მოცემულია ნოვაციებში, დასკვნებში და საკითხების ორიგინალური კუთხეების გამოკვეთაში, რომელიც შეიძლება გახდეს ბაზა შემდგომში სხვა მკვლევარებისათვის.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში შემუშავებული დებულებები, დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების დროს, ასევე სასწავლო პროცესში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი „საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები გარდამავალ პერიოდში“ შედგება ნაბეჭდი 159 გვერდისგან, სადაც გაერთიანებულია ანოტაცია, შესავალი, 4 თავი, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან და გამოყენებული ლიტერატურისგან.

ანოტაცია - შედგება 5 გვერდისგან (3 გვერდი ქართული ვერსია, 2 გვერდი ინგლისური ვერსია), სადაც გადმოცემულია სადოქტორო ნაშრომის მოკლე შინაარსი.

შესავალი - შედგება 15 გვერდისგან, სადაც მოკლედ არის წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომის კვლევის აქტუალობის შესახებ.

თავი პირველი - ეკონომიკური სისტემები - მიმოხილული არის ეკონომიკური სისტემები, მათი არსი, ელემენტები, ორგანიზაციის დონე, სტრუქტურა და განვითარების სტადიები. ამ უკანასკნელში უნდა ვიგულისხმოდ მსოფლიოში ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ტიპები. კერძოდ, ტრადიციული ეკონომიკა, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა, საბაზრო ეკონომიკა, შერეული ეკონომიკური სისტემა.

თავი მეორე - ეკონომიკის სტრუქტურა - მეორე თავში განხილული არის ის ძირითადი კლასიფიკატორები, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში გამოიყენება

ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების გასაანალიზებლად. აქ ძირითადად უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ცნობილი კლასიფიკატორები, როგორცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და NACE.

იმისთვის, რომ დეტალურად განხილულ იქნას თითოეული ეს კლასიფიკატორი, პირველ რიგში, საჭიროა განისაზღვროს საკუთრივ ეკონომიკური სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის სისტემის ურთიერთობის ელემენტებს, რომელიც გამოყოფილია ტენდენციების ანალიზის მიხედვით. ეკონომიკის სტრუქტურის სისტემად შეიძლება ჩაითვალოს კვლავწარმოების ფაქტორების სტრუქტურა, საწარმოო სტრუქტურა, ფასების სტრუქტურა, მსხვილი ეკონომიკური სექტორების სტრუქტურა, შიდა და გარე კომუნიკაციების სტრუქტურა, რეგიონალური ეკონომიკის სტრუქტურა, წარმოების და მოხმარების სტრუქტურა, ინვესტიციების სტრუქტურა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) წარმოადგენს ეროვნულ ეკონომიკაში წარმოების, შემოსავლების ფორმირების, მისი განაწილებისა და გამოყენების, ნაკადებისა და ბალანსების მაჩვენებელთა ლოგიკურად თანმიმდევრულ, საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ ანგარიშებისა და ცხრილების სისტემას. იგი აღრიცხავს ინსტიტუციურ სექტორებს შორის ეკონომიკურ ოპერაციებს. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებულ ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (SNA-93) სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია.

ეას-ში გამოყენებული არის შემდეგი ძირითადი კლასიფიკაციები: ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით; ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით; საკუთრების ფორმირების კლასიფიკაცია; ეკონომიკური ოპერაციების კლასიფიკაცია აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია; ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაცია; ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით; სახელმწიფო მმართველობის ორგანიზების ფუნქციების კლასიფიკაცია; გადასახადებისა და სუბსიდიების კლასიფიკაცია.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეორე მნიშვნელოვანი კლასიფიკატორი NACE. იგი შეიქმნა ევროკავშირის სტატისტიკური კომისიის ფარგლებში და მოქმედებს 1970 წლიდან, ხოლო მისი გამოყენება სავალდებულო არის ევროპის კავშირში შემავალი ქვეყნების ფარგლებში. იმის გამო, რომ NACE წარმოადგენს ინტეგრირებული სტატისტიკური კლასიფიკაციის ნაწილს, მას მეთვალყურეობას უწევს გაერთიანებული ორგანიზაციის სტატისტიკური კომისია. NACE-ს წარმოადგენს ისეთ ინტეგრირებული სისტემას, რომელიც საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები.

თავი მესამე - გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა. მესამე თავში განხილულია გარდამავალი ეკონომიკის ძირითადი პრინციპები და თავისებურებები.

მეოთხე თავი - საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები და სტრუქტურული ცვლილებები გარდამავალ პერიოდში - წარმოადგენს დისერტაციის მთავარ ნაწილს, სადაც გააზრებული და წარმოდგენილია ის ძირითადი ეკონომიკური და მაკროეკონომიკური ტენდენციები, რომლებიც წარმოიშვა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში.

თავი 1: ეკონომიკური სისტემები

ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა განმარტება არსებობს. მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, ეკონომიკური სისტემა შეიძლება განვმარტოთ როგორც, ფუნქციონალურად ურთიერთდაკავშირებული, განსაზღვრული წესით მოწესრიგებული ეკონომიკური ელემენტების ერთობლიობა, რომელსაც გამოკვეთილი მიზანი, დანიშნულება და ამ მიზნის მიღწევის მექანიზმი გააჩნია (სისვაძე 2006: 89).

ეკონომიკური სისტემის არსი შემდეგი ნიშნებით არის განსაზღვრული:

- ფუნქციონირების განსაზღვრული ნიშანი;
- სტრუქტურის ერთიანობა და მთლიანობა;
- შინაგანი წესრიგი, სტაბილურობა, მდგრადობა;
- იერარქიული სტრუქტურა;
- მიზნის მიღწევის მექანიზმის არსებობა;
- თვითგანახლება, თვითრეგულირება, თვითგანვითარება;
- მართვადობა (სისვაძე 2006: 88).

ეკონომიკური სისტემა სხვადასხვა დონეზე განიხილება, იქნება ეს მაკროეკონომიკის, ფირმის თუ მსოფლიო დონეზე. თითოეული ეს დონე შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მთლიანად, ისე განცალკევებულად. ეკონომიკური სისტემის განხილვისას მნიშვნელოვან ფაქტორს საკუთრების ამა თუ იმ ფორმის (იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო. ხოლო ტრადიციულ ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო საკუთრებას) არსებობა თამაშობს. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და განაწილების ფორმას.

იქ, სადაც არსებობს ეკონომიკური საქმიანობა, ყოველთვის არსებობს საკუთრებითი ურთიერთობები. იმისთვის, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას საკუთრებაზე, საჭირო არის განისაზღვროს მისი ადგილი და როლი მთელ ეკონომიკურ სისტემაში და საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

უპირველეს ყოვლისა, საკუთრება წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის ფუნდამენტს. საკუთრების ფორმების ხასიათიდან გამომდინარე არსებობს საკუთრების მოხმარების, გაცვლის და განაწილების ფორმები. მეორე, საკუთრებაზე არის დამოკიდებული გარკვეული ჯგუფების, კლასების მდგომარეობა, წარმოების

ფაქტორებზე მისი ხელმისაწვდომობა. მესამე, საკუთრება წარმოადგენს ისტორიული განვითარების რეზულტატს. მისი ფორმა და ხასიათი იცვლებოდა წარმოების საშუალებებზე ცვლილების შედეგად. ამავდროულად, ამ ცვლილების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მწარმოებლური ძალების განვითარება. მეოთხე, თითოეულ ეკონომიკურ სისტემაში ფუნქციონირებს საკუთრების ფორმების სპეციფიკაცია. ეს კი არ გამორიცხავს საკუთრების სხვა ფორმების არსებობასაც. საკუთრების ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლა შეიძლება მოხდეს ევოლუციური გზით, რომელიც კონკურენციულ ბრძოლაზე არის დამოკიდებული. ამავე დროს, საკუთრების ფორმების ცვლილება შეიძლება განხორციელდეს რევოლუციური გზით, როდესაც ბაზარზე საკუთრების ახალი ფორმები დომინირებენ.

საზოგადოების განვითარების თითოეულ ეტაპს მნიშვნელოვანწილად მისთვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმები განასხვავებენ. საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში საკუთრებითი ურთიერთობები, მათი სტრუქტურა და ხასიათი იცვლებოდა მრავალფეროვანი ფაქტორების ზეგავლენით, იქნებოდა ეს დოვლათის შექმნა, კვლავწარმოება, პოლიტიკური ცვლილებები თუ საკანონმდებლო აქტები. ამ ცვლილებების შედეგად საკუთრება იღებდა იმ ფორმას, რომლებიც წარმოების საზოგადოებრივ წესს შეესაბამებოდა. ახალი ურთიერთობების განმტკიცება კი სათანადო საკანონმდებლო აქტებით ხდებოდა. სწორედ კანონმდებლობა ამყარებს იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ ცალკეული პირების, ჯგუფების ან მთლიანად საზოგადოების კუთვნილებაში არსებული ქონების ფლობის, განკარგვის თუ სარგებლის ურთიერთობებს, რის შედეგად, არსებული საკუთრებითი ურთიერთობები იურიდიული ურთიერთობის ფორმებს იღებს, რომელშიც სუბიექტებს გარკვეული უფლებები გააჩნიათ.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის დახასიათებისას გამოყოფენ მის ელემენტებს, ორგანიზაციის დონეს, სტრუქტურას. ეკონომიკური სისტემის ძირითად ელემენტს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ბაზირებული არის თითოეულ ეკონომიკურ სისტემაში. ეკონომიკა, თავის მხრივ, წარმოადგენს მრავალდონიან განვითარებად სისტემას. საზოგადოების ეკონომიკური სისტემა რამდენიმე ეკონომიკური სისტემისგან შედგება. მათ შორის უნდა გამოვყოთ

მცირე ეკონომიკური სისტემა წარმოდგენილი შინამეურნეობების, ხოლო მსხვილი ეკონომიკური სისტემა წარმოდგენილი საწარმოების სახით.

შინამეურნეობების ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს მცირე ეკონომიკურ სისტემას, რომელიც წარმოდგენილია რესურსებზე საკუთრების ფლობით და ოჯახის წევრების პირადი მოთხოვნილებით. შინამეურნეობების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების მოხმარება

საწარმოებში საჭირო რესურსების გამოყენებით იქმნება იმ ტიპის საქონელი და მომსახურება, რომელსაც შინამეურნეობები მოიხმარენ. მცირე ეკონომიკური სისტემისგან განსხვავებით, დარგობრივი სისტემა წარმოადგენს ფართო ეკონომიკურ სისტემას, სადაც გაერთიანებულნი არიან საწარმოები. დარგები, თავის მხრივ გაერთიანებულნი არიან შედარებით მსხვილ დარგთაშორის სისტემაში. გარდა ამისა, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში შეიძლება ჩართული იქნას სხვადასხვა ელემენტები, კერძოდ:

- სოციალურ-ეკონომიკური სისტემა (ეკონომიკურ-პოლიტიკური, ეკონომიკურ-დემოგრაფიული, ბუნებრივ-ეკონომიკური სისტემები);
- ტექნიკურ-ეკონომიკური სისტემა (დარგობრივი, დარგთაშორისი და რეგიონული სისტემები).

ეკონომიკური სისტემის პროცესი სათავეს უძველესი დროიდან იღებს და დღემდე გრძელდება. არსებობს ეკონომიკის პერიოდიზაციის სხვადასხვა კრიტერიუმი, რომელთა შორის გამოსაყოფია შემდეგი:

- **პირველი** - თვისებრივი ნახტომი - წარმოების საშუალებების განვითარებაში;
- **მეორე** - წარმოებით ურთიერთობათა რევოლუციური ცვლა;
- **მესამე** - რევოლუციური ცვლილებები ადამიანის ინტელექტისა და ცივილიზებულობის დონეში (სისვაძე 2006: 97).

შესაბამისად წარმოებითი ურთიერთობის განვითარებაში გამოყოფენ სამ სტადიას: პრეინდუსტრიულ-აგრარულ, ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ სტადიებს.

პრეინდუსტრიული საზოგადოება - დომინირებდა ნატურალური წარმოება. ინდივიდი მიწაზე იყო დამოკიდებული და მისგან მოწეული მოსავალი წარმოადგენდა მისი გადარჩენის ძირითად წყაროს. ადამიანი ჩართული იყო ბუნების ბიოლოგიურ ციკლში, ხდიდა რა მასზე დამოკიდებულს. წარმოების პროცესში

მწარმოებლური ფუნქცია განისაზღვრებოდა არა მარტო მწარმოებლური ძალების განვითარების პროცესში, არამედ კონკრეტული პირების მეშვეობით, იქნებოდა ეს მშრომელთა გაერთიანებების თუ სახელმწიფო სექტორის მეშვეობით.

შესაბამისად აგრარული სტადია დაიწყო უძველესი დროიდან და XVIII საუკუნემდე გაგრძელდა. ამ სტადიის დამახასიათებელ ნიშნებს უნდა მივაკუთვნოთ:

- პრიმიტიული შრომის იარაღების გამოყენება;
- მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმება სოფლის მეურნეობაში;
- უპირატესად ნატურალური მეურნეობა, სადაც პროდუქტები არა გასაყიდად, არამედ საკუთარი საჭიროებისთვის იწარმოება (სისვაძე 2006: 97).

ინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციის წარმოშობა დაკავშირებული არის სამრეწველო გადატრიალების შედეგად ევროპაში. იგი ევროპაში დაიწყო XVIII საუკუნეში და განვითარებულ ქვეყნებში XX საუკუნის 40-იან წლებში დამთავრდა. მის ფუძემდებლად უნდა მივიჩნიოთ ამერიკელი ეკონომისტი პ. დრაკერი. XIX საუკუნის კაპიტალისტურ საზოგადოებას დრაკერის მიხედვით ეწოდება „პრე-ინდუსტრიული საზოგადოება“, ხოლო ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებას იგი უკავშირებს XX საუკუნეში კორპორაციების ჩამოყალიბებას.

„თავისუფალი ინდუსტრიული საზოგადოება“ დრაკერის მიხედვით არის შემდეგი ელემენტების ერთიანობა: 1) მსხვილი კორპორაციების ფარგლებში მექანიზებული მასობრივი წარმოების სპეციალიზაცია და ინტეგრირებული მუშაობა; 2) წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება; 3) მენეჯერების მხრიდან ბიზნესის კოორდინირებული მუშაობა; 4) სხვადასხვა ბიზნეს ერთეულის და სამრეწველო ერთეულების საშუალებით ბაზარზე კოორდინირებული მუშაობა, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს გაცვლასა და წარმოებაში.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება - მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებამ დიდი ზემოქმედება მოახდინა მწარმოებლურ ძალებში. ნეოლითური რევოლუციის დროს ჩამოყალიბდა წარმოების ეკონომიკა, რომლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, ხოლო საწარმოო რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა პოსტაგრარული ეკონომიკა, რომლის ძირითად როლს დასაწყისში მსუბუქი, ხოლო შემდეგ მძიმე მრეწველობა წარმოადგენდა. ასე რომ, მეცნიერულ-

ტექნიკური პროგრესის შედეგად ჩამოყალიბდა პოსტინდუსტრიული ეკონომიკა. ამ პერიოდში მთელი ყურადღება მომსახურების სფეროზე იქნა გადატანილი. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ამერიკის ეკონომიკა, სადაც წამყვან როლს მომსახურების სფერო შეადგენდა. თუ აგრარულ სფეროში წამყვანი ადგილი მიწას ეჭირა, ინდუსტრიულ ეკონომიკაში ეს ადგილი კაპიტალმა დაიკავა.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ნიშნებია:

- მრეწველობაში საწარმოო პროცესის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია;
- ეკონომიკის ყველა დარგში ინფორმატიკის და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა ფართოდ დანერგვა;
- მეცნიერების შეჭრა წარმოებაში და მისი უშუალოდ წარმოების ფაქტორებად გადაქცევა;
- ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში მრეწველობის ხვედრითი წილის შემცირება და მომსახურების ხვედრითი წილის ზრდა;
- წარმოების საერთაშორისო ინტეგრაციის გაღრმავება და ერთიანი გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბება (სისვაძე 2006: 99);

ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში წარმოება თამაშობს პირველად როლს. ამ პროცესში ხდება რესურსების ეფექტურად გარდაქმნა, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქონლისა და მომსახურების ნაკადებს. ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ეფუძნება ყველა ეკონომიკურ სისტემაში ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ რესურსებსა და სამეურნეო მოღვაწეობის შედეგებს.

ეკონომიკური სისტემის განვითარების თითოეულ სტადიაზე წარმოების ფაქტორები უცვლელი რჩებოდა. წარმოების თითოეული ნებისმიერი დონე გარკვეულ ელემენტთა ერთობლიობას მოიცავდა, რომელშიც შედიოდა: სამუშაო ძალა, ბუნებრივი პირობები და წარმოების საშუალებები. მიუხედავად არსებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა, ქვეყნების გარკვეული ნაწილი სწრაფად ვითარდებოდა, ნაწილი კი კვლავ ჩამორჩენილი იყო. შესაბამისად, მსოფლიოში ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ტიპები ჩამოყალიბდა. კერძოდ, თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებს განეკუთვნება:

- ტრადიციული ეკონომიკა;
- ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა;
- საბაზრო ეკონომიკა;
- შერეული ეკონომიკური სისტემა;

1.1 ტრადიციული ეკონომიკური სისტემა

ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში არსებობს ტრადიციული ეკონომიკური სისტემა. ეკონომიკური სისტემის ეს ტიპი ძირითადად ორიენტირებულია მოძველებულ ტექნოლოგიების და მართვის სხვადასხვა ფორმების გამოყენებაზე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შენარჩუნებულია ბუნებრივი ფორმები, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია მართვის საერთო და ნატურალურ ფორმაზე, რათა შეიქმნას გარკვეული სახის პროდუქცია და მომსახურება. ამავე დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესის განვითარებას. იგი დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე, მწარმოებლურ რესურსებზე და მფლობელის კერძო შრომაზე. იმ ქვეყნებში, სადაც ტრადიციული ეკონომიკური სისტემაა გავრცელებული, მცირე წარმოება წარმოდგენილია მცირერიცხოვანი ხელოსნებით და გლეხებით, რომლებიც ეკონომიკაში დომინანტურ როლს ასრულებენ. სუსტად განვითარებულ ეროვნულ წარმოებაში უცხოურ კაპიტალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ნებისმიერ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც საუკუნეების განმავლობაში დომინირებდა ტრადიციები, რელიგიური და კულტურული ფასეულობები, კასტური და კლანური საქმიანობა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ პროცესს. ძირითადი ეკონომიკური გადაწყვეტილება შეიცავს სპეციფიკურ მახასიათებლებს, რომლებიც განსხვავებულია ცხოვრების დონის მიხედვით. ტრადიციული ეკონომიკური სისტემისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს აქტიური როლი ეკონომიკაში, ბიუჯეტის შედგენისას შემოსავლების დიდი ნაწილი ხმარდება ინფრასტრუქტურას და სოციალურ დახმარებას მოსახლეობის ღარიბი ფენებისთვის.

1.2 ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემა

გეგმიური ეკონომიკა არის ეკონომიკური სისტემა, რომელშიც პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასა და განაწილების გადაწყვეტილებებს ერთი პირი

(სახელმწიფო, ორგანიზაცია) იღებს. ყველაზე ხშირად ეს ტერმინი გამოიყენება ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკის აღსანიშნავად, სადაც ასეთი ორგანიზაცია სახელმწიფოა. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს: კერძო საკუთრება (რეალურად სახელმწიფო) პრაქტიკულად მთელ ეკონომიკურ რესურსებზე, მონოპოლია და ბიუროკრატია ეკონომიკაში გამოხატული სპეციფიკური ფორმით, ცენტრალური დაგეგმვა. ამ სისტემის დამახასიათებელ ნიშნებს უნდა მივაკუთვნოთ:

- საზოგადოებრივი (სინამდვილეში სახელმწიფო) საკუთრება პრაქტიკულად ყველა ეკონომიკურ რესურსზე;
- ეკონომიკის მონოპოლიზაცია და ბიუროკრატია;
- მეურნეობის ცენტრალიზებული დაგეგმვა და მართვა, როგორც ეკონომიკური მექანიზმის საფუძველი;
- წარმოების გიგანტური მონოპოლიზაციის შედეგად კონკურენციის ჩახშობა, რაც იწვევს პროგრესის შეფერხებას;
- რესურსებისა და პროდუქციის გათანაბრებითი განაწილება, რამაც ჩაკლა შრომის სტიმულები და დასცა ეფექტიანობა (ქვაჩახია....2000: 84).

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის სამეურნეო მექანიზმს გააჩნია მთელი რიგი თავისებურებები. უპირველეს ყოვლისა, ის მთელი საწარმოების მართვას ერთი ცენტრიდან - უმაღლესი მმართველობითი ემელონებიდან აწარმოებს, რაც საწარმოებს სრულ დამოუკიდებლობას უზღუდავს. მეორე მხრივ, სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებს პროდუქციის წარმოებას და განაწილებას, რის შედეგადაც იკარგება დამოუკიდებელი საბაზრო კავშირი საწარმოებს შორის. მესამე, სახელმწიფო აპარატი საწარმოების საქმიანობას აკონტროლებს ადმინისტრაციული მეთოდებით, რაც დასაქმებულებს შრომით სტიმულს უკარგავს.

იმ ქვეყნებში დამკვიდრებულია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა, გააჩნია თავისი სპეციფიკური მახასიათებლები. სახელმწიფოებრივ იდეოლოგიასთან შეთანხმებით პროდუქციის სტრუქტურის განსაზღვრა ითვლებოდა ერთ-ერთ სერიოზულ პასუხისმგებლობად. ეროვნული სიმდიდრის ცენტრალიზებული განაწილება, შრომითი და ფინანსური რესურსები ნაწილდებოდა მომხმარებლების და მწარმოებლების გარეშე, ხოლო ძირითადი რესურსები მიმართული იყო

სამხედრო-სამეცნიერო კომპლექსებისკენ, რაც სახელმწიფოებრივ იდეოლოგიასთან სრულ თანხვედრაში მოდიოდა.

1.3 საბაზრო ეკონომიკური სისტემა

საბაზრო სისტემა წარმოადგენს ორგანიზაციის ისეთ ფორმას, რომლითაც ეკონომიკის ძირითადი პრობლემების რეალიზაციის მიზნით მომხმარებლები და მწარმოებლები ერთმანეთზე ზემოქმედებენ. ეს ზემოქმედება მათი პირადი ინტერესების რეალიზაციაში არის გამოხატული. ამის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ საბაზრო სისტემა წარმოადგენს საფასო სისტემის და ბაზრის მეშვეობით ეკონომიკური სუბიექტების შეგნებულად გამოყენებულ მექანიზმს. ამ მექანიზმების გამო საბაზრო ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ სისტემას დღემდე ცნობილ ეკონომიკურ სისტემათა შორის.

საბაზრო სისტემა დიდ როლს თამაშობს ისეთი ამოცანების გადაწყვეტაში, როგორც არის წარმოებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური კავშირების უზრუნველყოფა, დამოუკიდებელი მწარმოებლების სამეურნეო საქმიანობის შედეგების საზოგადოებრივი შეფასება, ფასების თავისუფალი ფუნქციონირება, კონკურენციის საყოველთაოება, ეკონომიკური სანაცია. ამის საფუძველზე საბაზრო ეკონომიკა წარმატებით წყვეტს სრული დასაქმების, ეკონომიკური ზრდის, ფასების სტაბილურობას, ეკონომიკური თავისუფლების, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და წონასწორობის პრობლემებს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკური სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც სამოქალაქო, ისე სამთავრობო კონტროლს.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, მას შემდეგ, რაც საგრძნობლად დიდი მასშტაბები მიიღო სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, ფართოდ განვითარდა მწარმოებლური და სოციალური ინფრასტრუქტურა, ხოლო სახელმწიფომ აქტიური მოქმედება დაიწყო ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის. საბაზრო ეკონომიკის განვითარების დროს გარკვეულ ცვლილებას განიცდის შინამეურნეობის მექანიზმი. შინამეურნეობის გეგმიური მეთოდები განიცდიან შემდგომ განვითარებას ცალკეული ფირმების სახით, მართვის მარკეტინგული სისტემით. ამავე დროს,

განვითარების გეგმიური მეთოდების მაკრო დონეზე ხდება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირებასთან დაკავშირება.

დაგეგმარება გამოდის, როგორც მართვის მოთხოვნების ძირითადი საშუალება. საბოლოო ჯამში, ეკონომიკური განვითარების ძირითად მომენტს წარმოადგენს ახალი გადაწყვეტილების მიღება. ასე რომ, წარმოებული პროდუქციის გაცვლისა და სტრუქტურის დროს მხედველობაში მიიღება ფირმის შიგნით წარმოებული მარკეტინგული კვლევა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული ანალიზი, საზოგადოებრივი განვითარების პროგნოზები მაკრო დონეზე. ბაზრის პროგნოზირება საშუალებას გვაძლევს დროებით შევზღუდოთ ძველი საქონლის გამოშვება და გადავიდეთ ახალი საქონლის გამოშვების მოდელზე. მართვის მარკეტინგული სისტემა საშუალებას იძლევა წარმოების დაწყებამდე კომპანიის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია არსებული პროდუქციის გამოსაშვებლად თანხვედრაში მოვიდეს საზოგადოებრივად მნიშვნელოვან დანახარჯებთან.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის კლასიფიკაციის დროს ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის ერთი, საყოველთაოდ მიღებული გზა არ არსებობს. ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად სხვადასხვა საზოგადოება სხვადასხვა ინსტიტუტების დახმარებას იყენებს. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორი ტიპის ეკონომიკურ სისტემაზე. პირველი ტიპის ეკონომიკურ სისტემას მიეკუთვნება ისეთი საბაზრო სისტემა, სადაც დამკვიდრებულია საკუთრების მრავალფეროვნება, ხოლო, თვით კერძო საკუთრება განმსაზღვრელ როლს თამაშობს. ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნები ერთიმეორისგან განსხვავებული მოდელით. მეორე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც სხვადასხვა გზით ცდილობენ საბაზრო სისტემაზე გადასვლას, თუმცა ამ პროცესში მათ გარკვეული სიძნელებები გააჩნიათ.

საბაზრო ეკონომიკა (ასევე თავისუფალი ეკონომიკა) წარმოადგენს ბაზრის თვითრეგულირების საწყისებზე ორგანიზებული ეკონომიკას, რომელშიც მოქმედებათა კოორდინაცია ხორციელდება ბაზრებზე თავისუფალ კერძო მეწარმეთა და თავისუფალ ინდივიდუალურ მომხმარებელთა ურთიერთქმედების გზით. მისი საპირისპირო სისტემა გეგმიური ეკონომიკა.

წმინდა კაპიტალიზმი წარსულში არც არსებობდა და არც მომავალში იარსებებს, ხოლო მისი საყოველთაო განმარტება არ არსებობს, თუმცა იგი გარკვეულ იდეოლოგიას ეფუძნება: კერძო საკუთრება; მეწარმეობის და არჩევანის თავისუფლება; პირადი ინტერესი, როგორც ქვეყნის იმპორტის მთავარი მოტივი; კონკურენცია; თავისუფალი ფასწარმოქმნა; საქონლურ-ფულად ურთიერთობათა საყოველთაო ხასიათი; მოგებისადმი სწრაფვას; მომხმარებლის კულტს; მცირე ბიზნესის ფართოდ განვითარებას; მოქნილ ფულად-საკრედიტო სისტემას; განვითარებულ საბირჟო სისტემას; ღია ეკონომიკის პრინციპს; სახელმწიფოს შეზღუდულ როლს (მდივანი 2005: 42).

საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს გარკვეული ტიპის ფუნქციები გააჩნია. ეს უკანასკნელი მის მიერ შესასრულებელი ეკონომიკური ფუნქციებით განისაზღვრება, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ: სამართლებრივი ბაზის შექმნა, კონკურენტული გარემოს შექმნა და მისი მონიტორინგი, რესურსების და შემოსავლების გადანაწილება, ეკონომიკური სტაბილურობა.

ეკონომიკური ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზის შექმნის ფუნქციის მიხედვით, სახელმწიფოს ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს ქვეყანაში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. მასვე ევალება საკუთრების უფლების განსაზღვრა, მყიდველს და გამყიდველს შორის ფულადი ურთიერთობების რეგულირება, მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. საბაზრო ეკონომიკა არ გულისხმობს ქვეყანაში სამეურნეო საქმიანობის შეუზღუდავ საქმიანობას სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონების საფუძველზე (ყიზილაშვილი...2006: 32).

ნებართვების გარეშე არცერთ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს უფლება არა აქვს დაიწყოს ნებისმიერი სახის ეკონომიკური საქმიანობა. ამავ კანონების თანახმად, იურიდიული პირები ვალდებული არიან დროულად გადაიხადონ გადასახადები. ამავდროულად, სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს მოაწესრიგოს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება.

კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს ფუნქციას წარმოადგენს, რადგან იგი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. მის წინააღმდეგ მოქმედებს მონოპოლიური გარემო, რომელიც

წარმოადგენს მდგომარეობას, რომლის დროსაც მწარმოებელთა რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ თითოეული მათგანი ზემოქმედებას ახდენს საქონლის ფასზე. ამ შემთხვევაში საქონლის მიმწოდებელი ფასს აწესებს არა მომხმარებლის, არამედ თავის სასარგებლოდ. ამგვარი გარემოება მონოპოლისტს საშუალებას მისცემს ფასების მანიპულირების გზით მაღალი მოგება მიიღოს.

ასეთ პირობებში სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლობას წარმოადგენს ამგვარი მდგომარეობის რეგულირება ე.ი. მონოპოლიების წინააღმდეგ გარკვეული ტიპის ლონისძიებების გატარება. ეს გამოიხატება იმით, რომ დარგები, რომლებიც მონოპოლიური მდგომარეობით ხასიათდება, სახელმწიფო ან თავის ხელში იღებს ან მათ საქმიანობას არეგულირებს მომსახურების ტარიფების დაწესებით გზით. კონკურენტული გარემოს შექმნის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს **ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა** ე.ი ისეთი სახის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომლებიც ან საერთოდ კრძალავენ მონოპოლიას ან ზღუდავენ მათ საქმიანობას. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ მონოპოლია დანაშაული არ არის, ხოლო ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მთავარ სამიზნედ უნდა იქცეს არა მონოპოლია, არამედ მონოპოლიური საქმიანობა.

ეკონომიკური რესურსების გადანაწილება - საბაზრო ეკონომიკაში ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს რესურსების ეფექტიანი გადანაწილება. იგი ქმნის კარგ შესაძლებლობებს, მაგრამ დროთა განმავლობაში საჭიროებას წარმოადგენს მასში ცვლილებების შეტანა.

რესურსების გადანაწილებაში ცვლილებების შეტანა იმით არის გამოწვეული, რომ საბაზრო ეკონომიკა ისეთ მოვლენებს წარმოშობს, როცა ერთი მხრივ საზოგადოება ზარალდება, ხოლო მეორე მხრივ, უარს ამბობს ზოგიერთი სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე. ამ და სხვა მრავალი ტიპის რეგულირებისთვის სახელმწიფო იყენებს კანონმდებლობას და გადასახადებს აწესებს. კანონმდებლობით იკრძალება გარემოს დაბინძურება. თავის მხრივ, საწარმოებს ევალებათ დამატებითი ფულადი სახსრების გამოყოფა მისი თავიდან აცილების მიზნით. მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ დაწესებული გადასახადების მიხედვით, კანონის დამრღვევ საწარმოებს ეკისრებათ ჯარიმა გარემოს დაბინძურებისთვის.

სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების გადანაწილებაში შესწორების მიზნით, სახელმწიფო სამ მეთოდს იყენებს - მოთხოვნის გადიდებას, მიწოდების წახალისების განხორციელებას და პროდუქციის სახელმწიფოს მხრიდან წარმოებას. პირველი მეთოდი გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ტიპის ღონისძიებების განხორციელებას, რათა მოსახლეობაში ამაღლდეს მსყიდველობითუნარიანობა საქონლისა და მომსახურებაზე მოთხოვნის ამაღლების მიზნით; მეორე მეთოდის მიხედვით, სახელმწიფო სუბსიდიას აძლევს არა მომხმარებელს, არამედ მწარმოებელს, რათა გაზრდილ იქნეს საქონლისა და მომსახურების წარმოება, ხოლო მესამე მეთოდის მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან ხდება საქონლისა და მომსახურების წარმოების დაფინანსება.

შემოსავლების გადანაწილება - საბაზრო ეკონომიკურ სისტემას თან ახლავს გარკვეული ტიპის შემოსავლებში უთანაბრო გადანაწილება. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ფლობს გარკვეულ სიმდიდრეს, ფუფუნებაში ცხოვრობს, ხოლო საზოგადოების ის ნაწილი, რომლებსაც ხელთ არაფერი გააჩნიათ, ღარიბულ ცხოვრებას ეწევა. ამავდროულად არსებობს საზოგადოების ის ფენა, რომლებიც ითვლებიან როგორც სოციალურად დაუცველები, რომელთა დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს. ამ დისპროპორციის აღმოფხვრის საშუალება წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას, რაც გადასახადების საშუალებით არის შესაძლებელი, ქმნის რა სპეციალურ ფონდებს და შემდგომ ფულადი საშუალებებით ეხმარება გაჭირვებულებს.

ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველყოფა - სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველყოფა, საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველყოფა სხვადასხვა მეთოდით არის შესაძლებელი, იქნება ეს საგადასახადო თუ ეფექტიანი ფულად-საკრედიტო ღონისძიებების გატარება. საგადასახადო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს შემოსავლების და ხარჯების ისეთი დონის უზრუნველყოფა, რათა შენარჩუნებულ იქნას ეკონომიკური ზრდა, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანს კი წარმოადგენს ფულის მოძრაობის კონტროლი და სარგებლის განაკვეთის

რეგულირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას წარმოებასა და მოხმარებას შორის შესაბამისობა.

რა მექანიზმი არსებობს ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური ამოცანების გადაწყვეტილების დროს ეკონომიკურ სისტემაში? ეს მექანიზმი რეგულირდება ფასებისა და ბაზრების მეშვეობით. ფასების მერყეობა, იქნება ეს მაღალი თუ დაბალი, განსაზღვრავს ადამიანის მსყიდველობით უნარს, ფასების დინამიკას, ორიენტაციას ახდენს ბაზრების კონკურენტუნარიანობაზე. საქონელწარმოება თავად წყვეტს ამ პრობლემას, იყენებს ისეთ რესურსებს, რომ აწარმოოს ის საქონელი და მომსახურება, რომელზედაც ბაზარზე განსაკუთრებული მოთხოვნაა. საწარმოები ცდილობენ მაღალი მოგების მიღებას შრომითი და დანახარჯების მინიმალიზაციის გზით. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენონ ასეთი რესურსები, რაც მათ გაფართოების სტიმულს აძლევს.

1.4 შერეული ეკონომიკური სისტემა

განვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური არსი უნდა განისაზღვროს როგორც შერეული ეკონომიკური სისტემა. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში „მრავალწყობიანი ეკონომიკა“ და „შერეული ეკონომიკა“ სინონიმებად გამოდგება (გოგოხია 2004: 9). თავის მხრივ, მრავალწყობიანობა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. ეკონომიკური წყობა წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის არსს.

მრავალწყობიანობა წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის მდგომარეობას, რომელსაც განვითარების უმყარობა ახასიათებს. სტაბილური გარდამავალი ანუ მრავალწყობიანი ეკონომიკური სისტემა არ არსებობს, რადგან მასში არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობა, იქნება ეს ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობები.

ამგვარი დაპირისპირების პროცესის მიუხედავად, მათ შორის თანამშრომლობის გარკვეული ასპექტები არსებობს, რაც გამოიხატება იმაში, რომ წარმოიქმნება ახალი ეკონომიკური სისტემა. ის ეკონომიკური წყობა, რომელიც მის განმტკიცებას ხელს უშლის, თანდათანობით ტოვებს ასპარეზს, როგორც

მომველებული ეკონომიკურ ურთიერთობათა მატარებელი. გარდამავალ პერიოდში ახალი წყობა წამყვან როლს თამაშობს, ხოლო მისი მნიშვნელობა სულ უფრო მეტად იზრდება. გარდამავალ პერიოდში ის გაბატონებულ ვითარებაში იმყოფება, ხოლო შემდგომ პერიოდში კი - საყოველთაო. ამ დროს მისი დიდი მნიშვნელობა დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ წარმოებითი ურთიერთობები პროგრესულ ტიპს წარმოადგენს, რომელსაც შესწევს უნარი ფართო გასაქანი მისცეს მწარმოებლური ძალების განვითარებას.

მრავალწყობიანი ეკონომიკისგან განსხვავებით, შერეული ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს ერთიან, ჩამოყალიბებულ სისტემას, სადაც ფუნქციონირებს საკუთრებისა თუ მეწარმეობის სხვადასხვა ფორმები (გოგოხია 2004: 10). პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, საკუთრება, როგორც საზოგადოების სხვადასხვა მახასიათებლად დაყოფის მთავარი კრიტერიუმი, კარგავს თავის ძალას. ამ ვითარებაში მთავარ როლს განათლება და ცოდნა თამაშობს. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ აზრის აბსოლუტიზება ყოვლად დაუშვებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საკუთრების უფლება განსაზღვრავს ადამიანების ან ფირმების უნარს, ფლობდნენ, ყიდულობდნენ, ყიდდნენ და იყენებდნენ კაპიტალურ საქონელს და სხვა საკუთრებას საბაზრო ეკონომიკაში... საკუთრების უფლება ცხოვრებაში სამართლებრივი სისტემის მეშვეობით ტარდება, რომელიც შედგება რიგი კანონებისგან, რომლის დახმარებითაც მოქმედებს ეკონომიკა. ეფექტიანი და საბაზრო ეკონომიკის მისაღები სამართლებრივი სისტემა თავის თავში მოიცავს საკუთრების უფლების განსაზღვრებას.“ (სამუელსონი....2000: 104)

აქედან გამომდინარე, შერეული ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს კვლავწარმოებად ეკონომიკას, მაშინ როცა მრავალწყობიანი ეკონომიკა, თავისი არსით, წარმოადგენს არაკვლავწარმოებად ეკონომიკას. შერეული ეკონომიკური სისტემა კი წარმოადგენს როგორც მიკრო, ისე მაკრო დონის ელემენტთა ერთობლიობას.

საბაზრო ეკონომიკაში, საბაზრო მექანიზმი განისაზღვრება ფასებისა და წარმოების მოცულობით, ხოლო სახელმწიფო ბაზარს არეგულირებს გადასახადების მეშვეობით. იმ ქვეყნებში, სადაც შერეული ეკონომიკური სისტემა მოქმედებს, ბაზარი განსაზღვრავს ფასებისა თუ წარმოების დონეს, ხოლო სახელმწიფო მართავს

ეკონომიკას გადასახადების, დაბეგვრისა თუ ფულად-საკრედიტო რეგულირების მეშვეობით. ასე რომ, ბაზრის ორივე მონაწილე - სახელმწიფო და ბაზარი - მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. შერეული ეკონომიკა, თავის თავში გულისხმობს სახალხო მეურნეობის პროპორციულობას, საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალურ შეხამებას (გოგოხია 2004: 11).

შერეული ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი. ამ უკანასკნელს არ შეუძლია შეცვალოს საბაზრო ორგანიზაცია. იგი მას უნდა მიესადაგებოდეს და ორივე რეალიზდებოდეს, როგორც შერეული ეკონომიკური სისტემა. ამ დროს სახელმწიფო და კერძო სექტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების წარმატების გადაჭრაში. რამდენადაც თითქმის ყველა ეკონომიკური სისტემა შერეულ ხასიათს ატარებს, არსებობს შემთხვევები, რომ ესა თუ ის ეკონომიკური სისტემა შეიძლება გეგმიურისკენ გადაიხაროს, ხოლო მეორე შემთხვევაში - საბაზროსკენ. ამ მხრივ გამოკვეთილია პოზიცია, რომლითაც ჩანს, რომ ყველა ქვეყანას შერეული ეკონომიკა აქვს - ეკონომიკა ბაზრისა და მართვის მბრძანებლური ფორმის ელემენტებით (გოგოხია 2004: 12). თუმცა იქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ არასდროს არსებულა 100%-იანი საბაზრო ეკონომიკა, თუმცა XIX საუკუნის ინგლისი მასთან ყველაზე ახლოს იყო მიახლოებული.

ცნობილია, რომ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა გერმანელმა ვალტერ ოიკენმა, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელება მოახდინა ლუდვიგ ერჰარდმა. მათთვის ამოსავალი წერტილი იყო ადამიანი, როგორც უზენაესი სიმდიდრის თავისუფლება ეკონომიკასა და პოლიტიკაში (გოგოხია 2004: 16).

განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიური ინოვაციები იმის შესაძლებლობას იძლევა, დავასკვნათ, რომ თანამედროვე შერეული ეკონომიკური სისტემა არც კაპიტალისტურს წარმოადგენს და არც სოციალისტურს. იგი არის ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება. ამან კი მეორე პლანზე გადაწია ტრადიციული ეკონომიკური რესურსები - შრომა, მიწა და კაპიტალი.

ერთობლივი კაპიტალის სტრუქტურაში ადამიანისეული კაპიტალის დომინანტური როლი იმას მიანიშნებს, რომ წინა პლანზე წამოწეული არის ის სექტორები, რომლებიც აწარმოებენ არამატერიალურ პროდუქციას - ცოდნასა და ინფორმაციას, რომლებიც შემდგომ გროვდება როგორც საზოგადოების სიმდიდრე.

მწარმოებლურ ძალებში ცვლილებების შედეგად ბევრი რამ გადაეწყო სოციალურ-ეკონომიკურ წყობაში. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საკუთრებით ურთიერთობებს. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში საკუთრება, როგორც საზოგადოებაში სოციალური სტრატეგიკაციის კრიტერიუმი, სულ უფრო კარგავს თავის განმსაზღვრელ ძალას და გადამწყვეტი ხდება ინტელექტის, განათლებისა და ცოდნის დონე (გოგოხია 2004: 17).

თანამედროვე შერეული ეკონომიკური მოდელისთვის დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ თვითმოდრაობის მექანიზმების სპეციფიკა, რომლის საშუალებით ყალიბდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა. ეს კი თავის მხრივ წარმოადგენს ოთხ ქვესისტემას: სახელმწიფო, ბაზარი, საზოგადოებრივი სექტორი, რომლის მიზანი მოგება არ არის და საოჯახო მეურნეობები. საქმე ისაა, რომ შერეულ ეკონომიკურ სისტემაში საბაზრო კომპონენტების დომინირების თეორია დღევანდელ რეალობას არ მიესადაგება ან თითქმის არ მიესადაგება, მით უფრო უმართებულოა საბაზრო ეკონომიკის, საბაზრო სისტემის გაიგივება თანამედროვე საბაზრო სისტემასთან, კერძოდ შერეულ ეკონომიკურ სისტემასთან (გოგოხია 2004: 18).

ამრიგად, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური სისტემა შეიძლება განვიხილოთ როგორც შერეული ეკონომიკური სისტემა, სადაც სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ როგორც განუყოფელი ნაწილები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ეკონომიკური სისტემა არც სახელმწიფოებრივს წარმოადგენს და არც კერძოს, იგი ორივეს ნარევია.

თავი 2: ეკონომიკის სტრუქტურა

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების გასაანალიზებლად რამდენიმე კლასიფიკატორი გამოიყენება. არსებობს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური კომისიის (გაერო), ევროკავშირის სტატისტიკური კომიტეტის მიერ შემუშავებული კლასიფიკატორი, ასევე რეგიონალური თუ ადგილობრივი კლასიფიკატორები. დღესდღეობით ეკონომიკის სტრუქტურის გასაანალიზებლად გამოიყენება ისეთი ცნობილი კლასიფიკატორების როგორცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და NACE

ეკონომიკის სტრუქტურა არის ეკონომიკის სისტემის ურთიერთობის ელემენტები, რომელიც გამოყოფილია ტენდენციების ანალიზის მიხედვით. ეკონომიკის სტრუქტურის სისტემად შეიძლება ჩაითვალოს კვლავწარმოების ფაქტორების სტრუქტურა, საწარმოო სტრუქტურა, ფასების სტრუქტურა, მსხვილი ეკონომიკური სექტორების სტრუქტურა, შიდა და გარე კომუნიკაციების სტრუქტურა, რეგიონალური ეკონომიკის სტრუქტურა, წარმოების და მოხმარების სტრუქტურა, ინვესტიციების სტრუქტურა.

2.1 ეკონომიკის სტრუქტურა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) მიხედვით

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) წარმოადგენს ეროვნულ ეკონომიკაში წარმოების, შემოსავლების ფორმირების, მისი განაწილებისა და გამოყენების, ნაკადებისა და ბალანსების მაჩვენებელთა ლოგიკურად თანმიმდევრულ, საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ ანგარიშებისა და ცხრილების სისტემას. იგი აღრიცხავს ინსტიტუციურ სექტორებს შორის ეკონომიკურ ოპერაციებს (საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008: 9).

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებულ ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (SNA-93) სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია (საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008: 9). თუმცა იქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წელს დასრულდა ახალ ვერსიაზე

მუშაობა (SNA-2008). SNA-2008-ის კონცეფციები და მეთოდოლოგია ძირითადად ემთხვევა SNA-1993 წლის მეთოდოლოგიას. მასში მხოლოდ არსებითი ცვლილებებია შეტანილი. ეს ცვლილებები ძირითადად ფინანსურ ანგარიშს ეხება.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პირველი ვარიანტი 1952 წელს შემუშავდა გაეროს ეგიდით. მისი მეორე, შედარებით განახლებული ვარიანტი, 1969 წელს შეიმუშავეს, ხოლო ამჟამინდელი და შედარებით უფრო სრულყოფილი ვარიანტი 1993 წელს შემუშავდა. ამჟამად მოქმედი ვარიანტი ძირეულად განსხვავდება მისი პირვანდელი ვერსიისგან. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წელს შემუშავებული ვერსია, რომელსაც ხუთი ორგანიზაციის - საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის - ევროპის ეკონომიკური კომისიის თუ ხელმძღვანელობის მიერ იქნა შემუშავებული, წარმატებით ინერგება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საფუძვლად უდევს ეროვნული შემოსავლის, წარმოების, განაწილებისა და მოხმარების პროცესი განსაზღვრული სტრუქტურის ფარგლებში. 1993 წლამდე ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გასაანალიზებლად გამოიყენებოდა ორი განსხვავებული, მაგრამ ერთნაირი მნიშვნელობის მეთოდოლოგია (მარშავა...2009: 10). პირველი ტიპის მეთოდოლოგია დაფუძნებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემაზე და მისი აქტიური მომხმარებელნი იყვნენ მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები, ხოლო მეორე მეთოდოლოგიას კი იყენებდნენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები. მიუხედავად ამ მეთოდოლოგიებს შორის არსებული განსხვავებებისა, ისინი ერთ მიზანს ემსახურებოდნენ - საბალანსო მეთოდით უნდა ყოფილიყო შესწავლილი ეკონომიკური პროცესები. ეს კი უზრუნველყოფდა შესწავლილი პროცესების კომპლექსურ დახასიათებას რესურსების მოცულობასა და მათი გამოყენების დაბალანსების საფუძველზე.

ეას-ის შემუშავების ისტორია XX საუკუნის 30-40-იან წლებს უკავშირდება. ეს ის პერიოდია, როდესაც იმდროინდელ მსოფლიოში მწვავედ იდგა ეკონომიკური კრიზისის გადაჭრის გზები. ეას-ის ჩამოყალიბების იდეა პრაქტიკულად გამომდინარეობდა ეკონომიკის კონიუნქტურული შეფასებისა და ეკონომიკური

პოლიტიკის ხასიათის გადაწყვეტილებების მისაღებად. საჭირო გახდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბება, რასაც წინ უსწრებდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებანი (მარშავა....2009: 39).

ეროვნულ ანგარიშიანობაში დიდი წვლილი შეიტანა XX საუკუნის ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მენარდ კეინსმა. მაკროეკონომიკური ანალიზის კვლევებში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს მისმა წინამორბედმა ეკონომისტებმა: უილიამ პეტიმ, გრეგორი კინგმა, ფრანსუა კენემ. თეორიულ კვლევებში: ალფრედ მარშალმა, ირვინგ ფრიშმა, იან ტინბერგენმა, ვასილი ლეონტიევმა, პაულ სტუდენსკიმ. მეთოდოლოგიურ კვლევებში მონაწილეობდნენ რიჩარდ სტოუნი, ენტონი გილბრეთი, ედვარდ დენისონი, დევიდ კენდრიკი, ჯონ რიჩარდ ჰიქსი. ასევე დიდი წვლილი აქვს შეტანილი ეროვნულ ანგარიშთა დახვეწაში ისეთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას, როგორც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)(მარშავა....2009: 40).

ეროვნულ ანგარიშიანობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ ინგლისელმა ეკონომისტებმა უილიამ პეტიმ და გრეგორი კინგსმა გამოიანგარიშეს ინგლისისა და საფრანგეთის ეროვნული შემოსავალი და საფუძველი ჩაუყარეს კვლევების ისტორიას, რომელიც თავის მხრივ ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებაში გადაიზარდა(მარშავა.....2009: 39). გრეგორი კინგის გაანგარიშებაზე დაყრდნობით ფრანგმა ეკონომისტმა ფრანსუა კენემ და შოტლანდიელმა ადამ სმიტმა გამოაქვეყნეს ნაშრომი „ბუნება და პოლიტიკა. დაკვირვებები და დასკვნები ინგლისის მდგომარეობის შესახებ.(მარშავა.....2009: 39).

ეროვნული ანგარიშიანობის ერთ-ერთ ფუძემდებლად შეიძლება მივიჩნიოთ ფრანსუა კენე, რომელმაც თავის წიგნში „ეკონომიკური ტაბულა“ ნათლად წარმოაჩინა მაკროეკონომიკური ბალანსი, რომელშიც იგი კვლავწარმოების ანალიზს საზოგადოებრივი პროდუქტის ნივთობრივ და ღირებულებით ელემენტებს შორის საბალანსო პროპორციების დამყარების საფუძველზე აკეთებს.(მარშავა.....2009: 40)

1929-1933 წლების დიდმა დეპრესიამ ხელი შეუწყო მაკროეკონომიკური გაანგარიშების მეთოდოლოგიას, რომელიც დაფუძნებული იყო ეროვნული შემოსავლების ფორმირების ფაქტორებზე, უზრუნველყოფდა დასაქმების ზრდისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების პროგნოზირებას. ამავდროულად ეროვნული

შემოსავლისა და ეას-ის ფორმირებაში დიდი წვლილი შეიტანეს ინგლისელმა კოლინ კლარკმა და ამერიკელმა საიმონ კუზნეცმა. ეკონომიკური კვლევების მეთოდის სრულყოფაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ამერიკელ ეკონომისტს ვასილი ლეონტიევს. როგორც ცნობილია იგი არის ავტორი დარგთაშორისი ბალანსისა, რომლის მეშვეობითაც მან გამოიკვლია დარგებს შორის ბალანსის კავშირი და ურთიერთკავშირი ისეთ ეკონომიკურ ცვლადებს შორის, როგორცაა გამოშვება, შუალედური მოხმარება და საბოლოო მოხმარება.

ეას-93-ის მიხედვით, განსაზღვრული წარმოების საზღვრები შედარებით ვიწროა. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წარმოების საზღვრებში შედის: ინდივიდუალური ან კოლექტიური სარგებლობის ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების წარმოება, რომელიც მწარმოებლის მიერ მიეწოდება; საკუთარი ძალებით ყოველგვარი საქონლის წარმოება მწარმოებლის მიერ თავისივე საბოლოო მოხმარების ან მთლიანი დაგროვებისათვის გამოსაყენებლად; საკუთარი საცხოვრისის გამოყენებით მიღებული საბინაო მომსახურების გაწევის პირობითად გაანგარიშებული ღირებულება, აგრეთვე შინამოსამსახურეების მიერ გაწეული მომსახურება (ბენაშვილი 2010: 12).

წარმოების საზღვრებში არ შედის: საბინაო მომსახურებანი, როგორცაა საცხოვრისის დალაგება და ტექნიკური მომსახურება; საკვების მომზადება და მიწოდება, ავადმყოფებისა და ბავშვების მოვლა და ა.შ. საქმიანობა, რომლის შედეგი არ წარმოადგენს წარმოებას, რომლებიც თავისთავად ლეგალურია, მაგრამ შეუძლიათ პროდუქციის მომხმარებლის გაზრდა, ზემოქმედება მოახდინონ სხვა ინსტიტუციურ ერთეულებზეც (დაბინძურება). ამავე კატეგორიას განეკუთვნება, აგრეთვე საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით ქრთამის აღება, გამოძალვა და პროდუქციის მოპარვა (ბენაშვილი 2010: 12).

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ეკონომიკას განიხილავს როგორც განსაზღვრული სტრუქტურული და დამაკავშირებელი რგოლებისა და ელემენტების ურთიერთქმედების სისტემას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატისტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა ეკონომიკის სტრუქტურის დახასიათება სხვადასხვა ნიშნით. ეას-ის თითქმის ყველა მაჩვენებლის ფორმირება ხორციელდება სხვადასხვა დაჯგუფებებიდან, რომლებსაც საფუძვლად სხვადასხვა კლასიფიკაცია უდევს. ეას-ში

გამოყენებული არის შემდეგი ძირითადი კლასიფიკაციები: ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით; ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით; საკუთრების ფორმირების კლასიფიკაცია; ეკონომიკური ოპერაციების კლასიფიკაცია; აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია; ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაცია; ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით; სახელმწიფო მმართველობის ორგანიზების ფუნქციების კლასიფიკაცია; გადასახადებისა და სუბსიდიების კლასიფიკაცია.

2.2 ინსტიტუციური სექტორების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით

ინსტიტუციური სტრუქტურა არის გარკვეული განსაზღვრული ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ქმნის ეკონომიკური საქმიანობის მატრიცებს, ეკონომიკური სუბიექტების განსაზღვრულ შეზღუდვებს და რომელიც ფორმირდება ეკონომიკური სუბიექტების ამა თუ იმ სისტემის კოორდინაციის საშუალებით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინის „ინსტიტუციური სტრუქტურა“ რამდენიმე ინტერპრეტაცია არსებობს. ხშირ შემთხვევაში არ არსებობს განსხვავებები ინსტიტუციურ სტრუქტურასა და ინსტიტუციურ საშუალებას შორის. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ოლივერ ვილიამსონი გვთავაზობს ინსტიტუციური სტრუქტურის შედარებით სრულ განსაზღვრებას: „ეს არის ძირითადი პოლიტიკური, სოციალური და უფლებითი ნორმები, რომელიც წარმოადგენს წარმოების გაცვლის, მოხმარების და წარმოების ბაზისს.“ (Уильямсон 1993: #5)

ინსტიტუტები ერთგვაროვანი სახით შეიძლება არსებობდნენ. ისინი შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად - ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებად. არაფორმალური ინსტიტუტები წარმოიშვებიან ინფორმაციისგან, რომლებიც სოციალური მექანიზმების მეშვეობით მიეწოდებიან და უმეტეს შემთხვევაში ითვლებიან საზოგადოების იმ ნაწილად, რომელსაც კულტურულ ელიტას უწოდებენ. არაფორმალურ წესებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საზოგადოების ისტორიის პერიოდის იმ ეტაპზე, როცა ამ საზოგადოების წევრებს შორის

ურთიერთობა კანონით არ იყო დარეგულირებული. არაფორმალური შეზღუდვები მთლიანად ზღუდავს თანამედროვე ეკონომიკას. გამოდის რა საზოგადოებრივი ურთიერთქმედების ერთ-ერთი საშუალება, არაფორმალური შეზღუდვები არის:

- ფორმალური წესების განვითარება და მოდიფიკაცია;
- სოციალურად სანქცირებული ქცევების განვითარება;
- შინაგანი, აუცილებელი, სტანდარტების შესრულებისთვის საჭირო მოქმედებების განხორციელება;

ფაქტიურად არაფორმალური ინსტიტუტების როლს ეკონომიკური ეთიკა ასრულებს. იგი ამაღლებს საზოგადოების დონეს, უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, იგი ამაღლებს ბაზრის ეკონომიკურ კოორდინაციას. არსებულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკური ნორმები ეკონომიკურ სუბიექტებს საშუალებას აძლევს მათ მიმართ უფრო მეტი ნდობა გამოიჩინონ, ვიდრე გაურკვევლობის შემთხვევაში საზოგადოებას დაუწესონ ისეთი სანქციები, რომლებიც შემდგომში გაურკვევლობას გამოიწვევს. უკვე არსებული ფორმალური შეზღუდვები, წესები და ინსტიტუტები წარმოიქმნებიან უკვე არსებული არაფორმალური წესების საფუძველზე. ფორმალური წესების სტრუქტურაში ძირითადად შემდეგი მახასიათებლები გამოიყოფა: პოლიტიკური ინსტიტუტები; ეკონომიკური ინსტიტუტები; სისტემის მონაწილეები.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება დიდ როლს უთმობს არამარტო ეკონომიკური ინსტიტუტების შესწავლას, არამედ საზოგადოების იერარქიულ სტრუქტურაში გამოყოფილ პოლიტიკურ ინსტიტუტებსაც, რომელიც დიდ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ფორმალური ეკონომიკური ინსტიტუტები სამეცნიერო ლიტერატურაში საკუთრებით უფლებებთან ერთად ხშირად განიხილება, იმიტომ, რომ ისინი „განსაზღვრავენ საკუთრებით უფლებებს, რომელიც მესაკუთრეს უფლებას მისცემს მიიღოს შემოსავალი საკუთრებიდან, ან გადასცეს სხვა პირს საკუთრება მისი გამოყენების და შემოსავლის მიღების მიზნით.“ ფორმალური ინსტიტუტების არსებობისთვის კი საჭიროა არსებობდეს მისი იერარქიული წესები.

2.3 ინსტიტუტების იერარქიული წესები

წესები არის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, რომელიც ინდივიდს საშუალებას აძლევს კანონის ფარგლებში ზემოქმედება მოახდინოს სხვა ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფებზე. წესებს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც ისინი შეიძლება გამოიყენოს ერთზე მეტმა ადამიანმა. ამ შემთხვევაში ნებისმიერი ინსტიტუტი შეიძლება ინსტიტუტიც კი არ იყოს.

წესები, რომლებიც განისაზღვრება ალტერნატიული ფორმულირების მეშვეობით, გლობალურ ხასიათს ატარებს. ისინი ფორმულირდება ინსტიტუციური საშუალების მეშვეობით. თავის მხრივ, გლობალური წესები მოიცავს კონსტიტუციურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ წესებს, ხოლო ლოკალური წესები მოიცავს ორმხრივ და მრავალმხრივ კონტრაქტებს, რომელიც ფორმდება ეკონომიკური სუბიექტების მიერ.

1. **კონსტიტუციური წესები** - უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს სახელმწიფოს იერარქიულ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს საკონსტიტუციო წესების დამკვიდრებას. ასევე მოიცავს გადაწყვეტილების მიღების წესებს, რაც გამოხატულებას პოულობს კენჭისყრის შედეგებში. ასეთ ფორმაში მიღებული ამგვარი წესები ფიქსირებულია, რადგან განსახილველ საკითხებზე კონტროლი შემდგომ განხილვას ექვემდებარება.
2. **ეკონომიკური წესები** - ეკონომიკური წესები განსაზღვრავენ ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმებს, რომლის ფარგლებში ინდივიდები ან ინდივიდთა ჯგუფი ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან სხვადასხვა ტიპის ურთიერთობით. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ტიპური ურთიერთობა კონკურენტულ ბრძოლაში შეიძლება გარდაისახოს. მაგალითად, ეკონომიკური წესების მეშვეობით შეიძლება აიკრძალოს ორი კომპანიის შერწყმა, თუ ისინი ასეთი შერწყმის შედეგად ბაზარზე მიიღებენ მონოპოლიურ ძალაუფლებას.
3. **კონტრაქტი** - კონტრაქტი განიხილება როგორც წესი, რომელიც იდება ორ ეკონომიკურ სუბიექტს შორის, ადგენს რა თითოეული სუბიექტის იურიდიულ უფლებებს. კონტრაქტი დგება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ამავდროულად ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ ინსტიტუტების ორ სახეს: **გარე ინსტიტუტები** - ეკონომიკურ სისტემაში დამკვიდრებული ძირითადი წესები, რომელიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს მის ხასიათს. მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ საკუთრების ინსტიტუტი; **შიდა ინსტიტუტები** - რომელიც შესაძლებელს ხდის ორ ეკონომიკურ სუბიექტს შორის გარიგების შესაძლებლობას, ამცირებს გაურკვეველობის რისკს და საოპერაციო ხარჯებს.

სექტორი წარმოადგენს სხვადასხვა ინსტიტუციურ ერთიანობას ერთგვაროვანი ფუნქციებითა და დაფინანსების წყაროებით. ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ეას-ში. კლასიფიკაციის ერთეული ე.წ. ინსტიტუციური ერთეული (სამეურნეო ობიექტი), რომელიც ფლობს და განკარგავს აქტივებს, თავისი სახელით იღებს ვალდებულებებს, მონაწილეობს ეკონომიკურ ოპერაციებში სხვა ინსტიტუციურ ერთეულებთან ერთად, ადგენს ანგარიშების სრულ ნაკრებს აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლით. ინსტიტუციური სექტორის ორი ტიპი არსებობს: 1) იურიდიული პირები; 2) შინამეურნეობები. ეკონომიკურ სექტორებში ინსტიტუციური ერთეულები ორი კრიტერიუმის მიხედვით არის დაყოფილი: 1. მათ მიერ ეკონომიკურ პროცესში შესრულებული ფუნქციებისა; 2. გაწეული დანახარჯების დაფინანსების წყაროების მიხედვით.

სექტორების მიხედვით ეკონომიკის შესწავლის მიზანს წარმოადგენს ინსტიტუციურ ერთეულებს შორის საქონლისა და მომსახურების, შემოსავლებისა და გასავლების, კაპიტალისა და საფინანსო ოპერაციების ნაკადების ანალიზი და პროგნოზირება, აგრეთვე ეკონომიკურ აგენტებს შორის ქცევისა და ურთიერთდამოკიდებულების დადგენა.

ეას-ის მოდელში ეკონომიკა შეიძლება 6 სექტორად დავეყოთ:

1. არასაფინანსო დაწესებულებების სექტორი;
2. საფინანსო დაწესებულებების სექტორი;
3. სახელმწიფო დაწესებულებების სექტორი;
4. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი;
5. შინამეურნეობების სექტორი;
6. საგარეო-ეკონომიკური სექტორი;

არასაფინანსო დაწესებულებების სექტორი მოიცავს ინსტიტუციურ ერთეულებს, რომელთა დანიშნულებაა პროდუქტებისა და არასაფინანსო მომსახურებათა შედეგების რეალიზაცია ბაზარზე იმ ფასებში, რაც აანაზღაურებს მათზე გაწეულ დანახარჯებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია დანახარჯების ნაწილის გადაფარვა სუბსიდიებისა და დოტაციის ხარჯზე. აღნიშნული ერთეულების რესურსების ფორმირება ხდება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ხარჯზე. არასაფინანსო სექტორში საწარმოები ერთიანდება საკუთრების ფორმისაგან დამოუკიდებლად: სახელმწიფო, სააქციო, ერთობლივი, კოოპერაციული თუ კერძო. მასში ერთიანდება აგრეთვე მწარმოებელთა ცალკეული ჯგუფების მიერ შექმნილი საზოგადოებრივი არაკომერციული ორგანიზაციები, რომელთა ხარჯების ანაზღაურება საწარმოთა შენატანების ხარჯზე ხდება (მაგალითად, მეწარმეთა სხვადასხვა ასოციაციები და სხვ.). საფინანსო დაწესებულებების სექტორში შედის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, საპენსიო ფონდები და სხვა საფინანსო დაწესებულებები, რომელთა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საფინანსო შუამავლობა, დამხმარე საფინანსო საქმიანობა, სადაზღვევო საქმიანობა და საპენსიო ფონდების ორგანიზება, ე.ი. საფინანსო ბაზარზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირება, მათი გარდაქმნა ინვესტორებისათვის მოხერხებულ ფორმაში და შეთავაზება საბაზრო ფასებით (განაკვეთებით). სხვა სიტყვებით, საფინანსო დაწესებულებების ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ იშუამავლონ ორ მხარეს შორის: ვინც ზოგავს და ვინც ახორციელებს ინვესტირებას. საფინანსო დაწესებულებები თავიანთ დანახარჯებს ძირითადად აფინანსებენ რესურსების მიწოდებისთვის მიღებულ პროცენტებსა და მოზიდული რესურსებისთვის გადახდილ პროცენტებს შორის სხვაობის ხარჯზე. სახელმწიფო დაწესებულებების სექტორი არასაბაზრო მომსახურებას უწევს საზოგადოებას კოლექტიური მოხმარების მიზნით და არეგულირებს ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილებას (სახელმწიფო ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ფინანსდება ბიუჯეტიდან). იგი მოიცავს აგრეთვე სოციალური დაზღვევის ფონდებს, ცენტრალურ (ეროვნულ) სახელმწიფო ბანკებს. ამ სექტორში რესურსების ფორმირება ხდება სხვა სექტორების ინსტიტუციური ერთეულების

სავალდებულო გადასახადების ხარჯზე. შინამეურნეობების სექტორი მოიცავს როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ისე ინდივიდთა ჯგუფებს, რომელთა სამეწარმეო საქმიანობის გამოცალკევება შეუძლებელია მათი საშინაო მეურნეობისაგან როგორც იურიდიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ სექტორში ერთიანდება მოცემული ქვეყნის რეზიდენტი შინამეურნეობები და კერძო საწარმოები, რომელთაც არ გააჩნიათ იურიდიული სტატუსი. სექტორში “დანარჩენი მსოფლიო” ერთიანდება ის საზღვარგარეთული ეკონომიკური ერთეულები, რომლებიც ოპერაციებს აწარმოებენ მოცემული ქვეყნის რეზიდენტებთან. სექტორული კლასიფიკაცია ახასიათებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ორგანიზაციულ სტრუქტურას. ეას-ში თითოეული სექტორისათვის გათვალისწინებულია ანგარიშების სტანდარტული ნაკრები, რომელთა მუხლები აღწერენ ეკონომიკური პროცესის სხვადასხვა ასპექტებს სხვა სექტორებთან და აგრეთვე ურთიერთკავშირებს დანარჩენ მსოფლიოსთან.

2.4 ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით ეას-ის მეორე მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა. ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი სეკ 001-2004 წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნული სისტემის შემადგენელ ნაწილს. აღნიშნული კლასიფიკატორი შემუშავებულია საქართველოში მოქმედი ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა ეროვნული კლასიფიკატორის სეკ (NACE) 001-97-ის ნაცვლად. მასში გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ეკონომიკის თავისებურებანი და საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებში 2002 წელს შეტანილი ცვლილებები. კლასიფიკაციის ობიექტებს (საკლასიფიკაციო სიმრავლის ელემენტს) სეკ 001-2004-ში წარმოადგენენ ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომლითაც ხასიათდება როგორც ერთპროფილიანი, ასევე მრავალპროფილიანი სამეურნეო სუბიექტები. საკლასიფიკაციო ერთეულია დაწესებულება, ე.ი. ერთეული, რომლის მიერ წარმოებული პროდუქცია, გამოყენებული ტექნოლოგია და დანახარჯების

სტრუქტურა შედარებით ერთგვაროვანია, განლაგებულია ერთ ადგილზე და შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მისი წარმოების ხარჯებსა და გამოშვებაზე. დაწესებულების ქვეშ ერთიანდებიან საწარმოები (თუ ისინი საკმარისად ერთგვაროვანია), ან საწარმოს ქვედანაყოფები, რომლებიც პასუხობენ ზემოთმოტანილ განსაზღვრას. საქმიანობის სახე განისაზღვრება როგორც პროცესი, რომელიც მიმართულია იმ ერთგვაროვანი პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) მისაღებად, რომელიც ახასიათებს ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის მეტად დაწვრილმანებულ კატეგორიებს. კლასიფიკატორში არ არის გათვალისწინებული საქმიანობის სახეების დაყოფა სამრეწველო და არასამრეწველო სფეროებად, საკუთრებისა ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, რადგანაც ეს ნიშნები არ ახასიათებს თვით საქმიანობის სახეს და წარმოადგენს სხვა კლასიფიკატორის ობიექტებს. პირად-დამხმარე მეურნეობისა და საიჯარო მეურნეობების ეკონომიკური საქმიანობა შედის საქმიანობის სახეების შესაბამის კატეგორიებში. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ისეთი საქმიანობა, რომელსაც შეაქვს უდიდესი წვლილი მეურნე სუბიექტის დამატებულ ღირებულებაში, ანუ საქმიანობა, რომლის დამატებული ღირებულება აღემატება მეურნე სუბიექტის სხვა ნებისმიერი საქმიანობის დამატებულ ღირებულებას. დამხმარე საქმიანობა ეწოდება საქმიანობის იმ სახეებს, რომლებიც ხელს უწყობენ მეურნე სუბიექტის ძირითადი საქმიანობის სახის განხორციელებას (გადატანა, შენახვა, შესყიდვა, დაცვა და ა.შ.). მეურნე სუბიექტის სტრუქტურული ქვედანაყოფის დამხმარე საქმიანობა განისაზღვრება მისი ძირითადი საქმიანობის მიხედვით. ეროვნული ეკონომიკის დარგების გამოსაყოფად (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა და ა.შ.), რომლებსაც მიეკუთვნებიან საკლასიფიკაციო ობიექტები, კლასიფიკატორში შემოღებულია "სექცია" და "ქვესექცია", რომლებიც აღინიშნება ლათინური ალფავიტის მთავრული ასოებით. კლასიფიკატორის დაჯგუფებების უფრო ღრმა დეტალიზაცია (განყოფილება, ჯგუფი, კლასი, ქვეკლასი) აღინიშნება ციფრული კოდებით.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციაში ეკონომიკის დარგების შემდეგი სექციები გამოიყოფა: სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა; სამთომომპოვებელი მრეწველობა; დამამუშავებელი

მრეწველობა; ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება, მშენებლობა; ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი; სასტუმროები და რესტორნები; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; საფინანსო საქმიანობა; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევა; სახელმწიფო მმართველობა; განათლება ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა; შინამოსამსახურის და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის; ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მისი შედგენის პრინციპები. ანგარიშების კლასიფიკაცია, შემოსავლის ფორმირების ანგარიში, პირველადი შემოსავლის განაწილების ანგარიში, შემოსავლის მეორადი განაწილების ანგარიში, შემოსავლის გამოყენების ანგარიში, დაგროვების ანგარიში, კაპიტალის ანგარიში, ფინანსურ ანგარიში, „დანარჩენი მსოფლიოს“ სექტორის ანგარიში, საქონლისა და მომსახურების ანგარიში, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება მუდმივ ფასებში წარმოადგენს ეას-ის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტებს. ეს პრინციპები ძირითადად გამოიყენება ეკონომიკურ პროცესში რეზიდენტი ერთეულების მიერ ოპერაციების რეგისტრაციისთვის. ამავდროულად რეგისტრაცია ხდება მოცემული ქვეყნის რეზიდენტებსა და დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნების რეზიდენტებს შორის. თითოეულ ანგარიშში ჩანაწერები შეიძლება მიეკუთვნებოდეს არა რომელიმე ცალკეულ ეკონომიკურ ოპერაციას, არამედ ეკონომიკური ოპერაციების რიცხობრივ მახასიათებლებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, ანგარიშში ჩანაწერები წარმოადგენს ეკონომიკური პროცესის სხვადასხვა განზოგადებულ მაჩვენებლებს. ასეთი ტიპის გაანგარიშებანი ძირითადად საბალანსო მეთოდით ხდება (საბალანსო მეთოდი = რესურსების ჩანაწერების ჯამს - გამოყენებაში ჩანაწერების ჯამი).

ეროვნული ანგარიშების შედგენას ოთხი პრინციპი გააჩნია: თანმიმდევრობის პრინციპი; ანგარიშების შეკავშირების პრინციპი; მეთოდის პრინციპი; გაანგარიშების კატეგორიების პრინციპი.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტრუქტურის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ანგარიშები და საბალანსო ცხრილები. ანგარიში ასახავს ოპერაციებს, აქტივებს, სამეურნეო ერთეულების ვალდებულებებს. საბალანსო ცხრილები წარმოადგენს ორმხრივ ცხრილებს, სადაც ჯამებს შორის ტოლობა ძირითადად მიიღწევა დამაბალანსებელი მუხლების მეშვეობით. სწორედ ეს დამაბალანსებელი მუხლები წარმოადგენს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში არსებობს ანგარიშების შემდეგი კლასიფიკაცია: ანგარიშები ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორისთვის; ანგარიშები ეკონომიკის ცალკეული დარგებისთვის; ანგარიშები ცალკეული ეკონომიკური ოპერაციებისთვის; ანგარიშები მთლიანად ეკონომიკისთვის (კონსოლიდირებული ანგარიშები).

ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორისათვის ანგარიშები სამ ჯგუფად იყოფა: მიმდინარე ოპერაციების ანგარიში; დაგროვების ანგარიში; აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიში. მიმდინარე ოპერაციების ანგარიშს მიეკუთვნება: წარმოების ანგარიში; შემოსავლის ფორმირების ანგარიში; პირველადი შემოსავლის განაწილების ანგარიში; შემოსავლის მეორადი განაწილების ანგარიში; შემოსავლის განაწილების ანგარიში (გამოხატული ნატურალურ ფორმაში); კორექტირებადი განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში. დაგროვების ანგარიშებს მიეკუთვნება: კაპიტალის ოპერაციების ანგარიში ფინანსური ანგარიში. აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში მოიცავს: აქტივების მოცულობაში სხვა ცვლილებების ანგარიშის გადაფასების ანგარიში. აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსი: აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსი პერიოდის დასაწყისისთვის; აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსი პერიოდის ბოლოსთვის.

2.5 წარმოების ანგარიში

წარმოების ანგარიში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პირველ ანგარიშს წარმოადგენს. მისი შედეგია საქონლისა და მომსახურების გამოშვება, რომელიც უნდა აისახოს ანგარიშის რესურსებში. იმისათვის, რომ განხორციელდეს წარმოების პროცესი, აუცილებელია სხვადასხვა ტიპის საქონლისა და მომსახურების გამოყენება, რომელსაც შუალედური მოხმარება შეიძლება ვუწოდოთ. შუალედურ მოხმარებასა და გამოშვებას შორის სხვაობა ქმნის დამატებულ ღირებულებას და იგი წარმოადგენს

ეკონომიკაში შექმნილი პირველადი შემოსავლების ჯამს. რადგანაც წარმოების ანგარიში ეას-ის პირველ ანგარიშს წარმოადგენს, საჭიროა განისაზღვროს წარმოება და მისი გაანგარიშების მეთოდი. ზოგადად, წარმოება არის საქმიანობა, რომლის დროსაც საწარმო გარკვეული დანახარჯების გაწევის შედეგად უშვებს გარკვეული ტიპის საქონელსა თუ მომსახურებას. მომსახურება შეიძლება იყოს როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო, ხოლო საქონელი წარმოადგენს ფიზიკურ ნივთს, რომელზეც ვრცელდება საკუთრების უფლება. მიუხედავად ამისა, ეს არ არის ერთადერთი პირობა. საქონელს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი ნივთები, რომელზეც მოთხოვნა არსებობს. საკუთრებაზე უფლებების გადაცემაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ინსტიტუციურმა ერთეულებმა და შესაბამისად მესაკუთრეებიც მრავალჯერ შეიძლება შეიცვალოს. სინამდვილეში, წინასწარ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ ვინ შეიძლება გახდეს მომავალი მფლობელი, ან გაიყიდება თუ არა ესა თუ ის საქონელი. ეკონომიკური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, საქონლის წარმოებისა და გაცვლის მომენტების დაცილება საქონლის დამახასიათებელი თავისებურებაა, რომელიც არა აქვს მომსახურებათა უმეტესობას.

საქონლის გამოშვებაში შედის: ბაზარზე გასაყიდი საქონლის გამოშვება; ინსტიტუციური ერთეულების მიერ საქონლის გამოშვება საკუთარი მოხმარებისთვის; ფერმერული მეურნეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქტების გამოშვება საკუთარი მოხმარებისთვის; არაფერმერული მეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქტების გამოშვება; შინამეურნეობების მიერ საქონლის წარმოება (გარდა სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქტებისა); საქონლის გამოშვება, რომელიც განკუთვნილია დამქირავებლის მიერ დაქირავებულთათვის ნატურით ასანაზღაურებლად.

რაც შეეხება მომსახურებას, იგი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ცალკე ობიექტი, რომელზეც საკუთრების უფლება შესაძლებელია იყოს გავრცელებული. მომსახურება არის შეკვეთით განხორციელებული გამოშვება, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა მდგომარეობის შეცვლისკენ. ეს ცვლილება გამოხატულია შემდეგ ფორმებში: მომხმარებელთა საგნების მდგომარეობის შეცვლა: საქონლის გადატანა, რემონტი და ა.შ. მომხმარებელთა გონებრივი მდგომარეობის შეცვლა: ინფორმაცია,

განათლება, გართობა და ა.შ. მომხმარებლის ფიზიკური მდგომარეობის შეცვლა: მომხმარებელთა გადაადგილება, სამედიცინო დახმარება, მისი გარეგნობით გაუმჯობესება და ა.შ. მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა: დაზღვევა, დაცვა, ფინანსური შუამავლობა, გარანტიები და ა.შ.

მომსახურება ორ კატეგორიად იყოფა: ყველა მომსახურება პირობით გამოთვლილი მომსახურების გარდა, ბანკების პირობით გამოთვლილი მომსახურების ღირებულება. პირველ კატეგორიაში შედის საბითუმო და საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, რემონტი, ტრანსპორტით მომსახურება, კავშირგაბმულობა, არენდა, ფინანსური ორგანიზაციების მომსახურება, დაზღვევა, კერძო სწავლება, კერძო საექიმო პრაქტიკა და ა.შ. ამავდროულად საბაზრო მომსახურებაში შეიძლება შევიყვანოთ ისეთი ტიპის მომსახურება, რომელიც ანაზღაურებადია. კერძოდ: დალაგება და ნაგვის ლიკვიდაცია; უმაღლესი სკოლები; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები; კვალიფიკაციის კურსები; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები; საავადმყოფოები, კლინიკები, სანატორიუმები; სტომატოლოგთა კერძო პრაქტიკა; ვეტერინარული მომსახურება; გართობა; ბიბლიოთეკები, არქივები, მუზეუმები, ზოოლოგიური და ბოტანიკური პარკები; სპორტდარბაზები, მოედნები, კლუბები და სხვა.

ბანკების პირობით გამოთვლილი პროდუქცია არის ფინანსური ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქცია, რომელიც მოიცავს ფინანსურ შუამავლობას, ფინანსური რესურსების აკუმულირებას, გადარიცხვასა და გადანაწილებას. იგი უნდა გამოვთვალოთ როგორც შემოსავალი საკუთრებიდან, რომლებსაც ფინანსური დაწესებულებები იღებენ იმ პროცენტების გამოკლებით, რომლებსაც უხდიან კრედიტორებს. არასაბაზრო მომსახურებას უნდა მივაკუთვნოთ: კოლექტიური მომსახურებანი, რომლებიც საზოგადოებას მიეწოდება მინიმალურ ფასად, კერძოდ: სახელმწიფო მმართველობა, სახელმწიფო ადმინისტრაციის, თავდაცვის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის მომსახურებანი; სასაფლაოების ადმინისტრაციული მომსახურებანი; საზოგადოებრივი სამუშაოები; პროფკავშირები; რელიგიური ორგანიზაციები; ტურისტული საინფორმაციო სააგენტოები.

2.6 შემოსავლის ფორმირების ანგარიში

შემოსავლის გადანაწილების ანგარიშები შემდეგი სახით ჯგუფდება: შემოსავლის პირველადი გადანაწილების ანგარიში; შემოსავლის გადანაწილების ანგარიში; შემოსავლის გამოყენების ანგარიში. თითოეული ეს ჯგუფი რამდენიმე ქვეჯგუფად იყოფა და, შესაბამისად, მიზანშეწონილია თითოეული ამ ჯგუფის და მისი შემადგენელი ნაწილების დეტალური განხილვა.

შემოსავლის პირველადი განაწილების ანგარიში მოიცავს ორი ტიპის ანგარიშს: შემოსავლის ფორმირების ანგარიშს და პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშს.

პირველად შემოსავლებს ძირითადად მიეკუთვნება შემოსავლების საწარმოო საქმიანობიდან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს დაქირავებულთა შრომის ანაზღაურებას, გადასახადებს წარმოებასა და იმპორტზე, მოგებას და შერეულ შემოსავლებს, ხოლო შემოსავლებს საკუთრებიდან მიეკუთვნება: პროცენტები, საწარმოთა განაწილებული მოგება, დივიდენდები, რენტა, სადაზღვევო პოლისების პრემიები. შემოსავლის ფორმირების ანგარიში წარმოადგენს ნაკადების ანგარიშს და დგება როგორც სექტორებისთვის, ისე დარგებისთვის. იგი წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის გამოყენებას როგორც ინსტიტუციური ერთეულების, ისე შინამეურნეობების პირველადი შემოსავლების წარმოქმნის მიზნით. ეს ანგარიში საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევადაროთ ცალკეული სექტორები და დონეები და დავაკავშიროთ იგი წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტთან. შემოსავლის ფორმირების ანგარიში შემოსავლების საკუთრებიდან არ აისახება. მასში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია განმანაწილებელ ოპერაციებზე, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან საწარმოო პროცესთან. შემოსავლის ფორმირების ანგარიშის მაჩვენებელთა სისტემაში შედის: დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება, გადასახადები იმპორტზე და წარმოებაზე, საწარმოთა მოგება, მოსახლეობის შერეული შემოსავლები.

2.7 რესურსების მაჩვენებლები

რესურსების მთავარ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ მშპ საბაზრო ფასები ან დამატებული ღირებულება ცალკეული სექტორისათვის თუ დარგებისთვის. მშპ წარმოებასა და იმპორტზე გაწეული სუბსიდია ითვლება შემოსავლის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. როგორც ცნობილია, სუბსიდიები წარმოადგენს მიმდინარე ტრანსფერებს, რომელსაც სახელმწიფო ეწევა სამეწარმეო ერთეულების შემოსავლებზე ზემოქმედების გზით, რის შედეგადაც იქმნება გარკვეული ტიპის ნიადაგი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად. სუბსიდიები თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად: სუბსიდიები პროდუქტებზე და სუბსიდიები იმპორტზე. პროდუქტებზე სუბსიდიები ასევე ორ ნაწილად უნდა დავყოთ: სუბსიდიები წარმოებულ პროდუქციაზე და სხვა სუბსიდიები პროდუქციაზე. პროდუქციაზე სუბსიდიები წარმოადგენს სუბსიდიას, რომელიც დაერიცხება წარმოებულ საქონელსა თუ მომსახურებას, ხოლო სუბსიდიები სხვა პროდუქციაზე არის სუბსიდიის ტიპი, რომლებსაც სამეწარმეო სუბიექტები იღებენ სახელმწიფოსგან წარმოების ფაქტორთა გამოყენებისათვის. იგი მოიცავს: 1) განსაკუთრებული კონტიგენტის მომუშავეთა გამოყენებას; 2) რაიმე სახეობის ნედლეულისა და ენერჯის გამოყენების სტიმულირებას; 3) გარემოს დაბინძურების შემცირების სტიმულირებას.

სუბსიდიები იმპორტზე არის გარკვეული ტიპის გადარიცხვები იმ ეკონომიკური სუბიექტებისთვის, რომლებიც ეწევიან საქონლისა და მომსახურების შესყიდვას არარეზიდენტი ორგანიზაციებისგან და შემდგომ ახდენენ მათ მიყიდვას რეზიდენტებზე. სუბსიდიები ექსპორტზე გადარიცხვებია ბიუჯეტიდან სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ყიდულობენ საქონელსა და მომსახურებას რეზიდენტებისაგან, და ყიდვიან არარეზიდენტებზე უფრო დაბალ ფასებში.

2.7.1 შემოსავლის გამოყენების მაჩვენებლები

შემოსავლების გამოყენების მაჩვენებლებს მიეკუთვნება: შრომის ანაზღაურება, არაპირდაპირი გადასახადები და მთლიანი მოგება. შრომის ანაზღაურება მოიცავს მოცემულ პერიოდში დაქირავებულის მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით ყველა ფულად და ნატურალურ ანაზღაურებას. მასში შედის: ხელფასი, სოციალური

დაზღვევის ფაქტობრივი და პირობითი გადარიცხვები. აღსანიშნავია, რომ ეას-ში აისახება ე.წ. დარიცხული და არა გადახდილი ხელფასი. ე.ი. ის ხელფასი, რომელიც უნდა მიეცეს მომუშავეს, თუმცა ხელზე მან შეიძლება ნაკლები მიიღოს, რითიც წარმოიქმნება საწარმოს დავალიანება მომუშავეს მიმართ. სოციალური დაზღვევის ანარიცხები შეიძლება იყოს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითად დარიცხული. ფაქტობრივი ანარიცხები მოიცავს მეწარმეთა მიერ დასაქმებულთა სასარგებლოდ წარმოებულ გადარიცხვებს სხვადასხვა სოციალური დაზღვევის ფონდებსა და საპენსიო ფონდებში. პირობითად დარიცხული კი ის დახმარებებია, რომელსაც საწარმოები და დაწესებულებები უშუალოდ უწევენ თავიანთ მომუშავეებს (დალუპულთა ოჯახები, პროფესიული ტრავმებისა და დაავადებების მქონე პირთა დახმარება და სხვ.).

გადასახადები წარმოებაზე მოიცავს: გადასახადებს პროდუქტებზე და სხვა გადასახადებს წარმოებაზე. გადასახადები პროდუქტებზე გადაიხდება მწარმოებელი ან გამყიდველი რეზიდენტის მიერ პროდუქტებისა და მომსახურების რაოდენობის ან ღირებულების პროპორციულად. ასეთი სახის გადასახადებია: დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, გადასახადი რეკლამაზე, საავტომობილო გზებით სარგებლობაზე და სხვ. სხვა გადასახადები წარმოებაზე მოიცავს: გადასახადებს წიაღისეულითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე, ვაჭრობის უფლებაზე, ბირჟების ლიცენზირებაზე, მიწის გადასახადს, ქონებრივ გადასახადს და სხვ. გადასახადები იმპორტზე შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენების ნაწილში აისახება იმპორტზე სუბსიდიების გამოუკლებლად. იმპორტირებული საქონელი, რომელზეც ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ხდება გადასახადების გადახდა, კვლავ შეიძლება გახდეს დაბეგვრის ობიექტი იმის მიხედვით, თუ როგორ მიმოიქცევა ეკონომიკაში. იმპორტულ საქონელზე დაწესებულია საიმპორტო ბაჟი, რომლის მიზანი შეიძლება იყოს სახელმწიფოს შემოსავლის ზრდა ან იმპორტის შეზღუდვა რეზიდენტი ერთეულების სასარგებლოდ. გადასახადები ექსპორტზე გადაიხდება, როდესაც საქონელი ტოვებს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიას. მონაცემები გადასახადების შესახებ ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი გვიჩვენებენ წარმოდგენას ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკასა და სხვადასხვა დარგებსა და სექტორებში საგადასახადო

ბეგარის გადანაწილების პროპორციების შესახებ. შემოსავლების ფორმირების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია ეკონომიკის მთლიანი მოგება, ანუ შერეული შემოსავალი. მისი გამოთვლისათვის მშპ-ს საბაზრო ფასებში უნდა დავაკლოთ მომუშავეთა შრომის ანაზღაურება და აგრეთვე წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე (სუბსიდიების გამოკლებით). ასეთი სახით მიღებულ მთლიან მოგებას თუ დავაკლებთ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, მივიღებთ წმინდა მოგებას. მთლიანი (წმინდა) მოგება დამატებული ღირებულების ის ნაწილია, რომელიც რჩება მწარმოებელთან შრომის ანაზღაურებისა და წმინდა გადასახადების გადახდის შემდეგ. აღნიშნული მუხლის საშუალებით იზომება წარმოებისაგან მიღებული მოგება ან ზარალი საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინებამდე. აღსანიშნავია, რომ მოგება ეას-ში რამდენადმე განსხვავდება ბუღალტრული მოგებისაგან. საქმე ისაა, რომ მოგება დასაბეგრი მაჩვენებელია, ამიტომ მისი გაანგარიშება განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. მოგების სტატისტიკური განსაზღვრა სცილდება მოგების განსაზღვრას მოგების დაბეგვრის ინტერესებიდან. მაგალითად, საწარმოთა ზოგიერთი დანახარჯი, რომელიც სცილდება დადგენილ ნორმატივს, შეიძლება ისევე დაიბეგროს, როგორც მოგება, თუმცა სტატისტიკის თვალსაზრისით, იგი მოგებად არ ჩაითვლება.

ეას-ის განმარტების მიხედვით საწარმოთა მოგების გარდა, მოგება მოიცავს აგრეთვე არაკორპორირებული საწარმოების შერეულ შემოსავლებს, რომელიც აერთიანებს როგორც ამ საწარმოების მოგებას, ასევე შრომის ანაზღაურებას (კერძო მეწარმეობა დაქირავებული შრომის გარეშე, პირად-დამხმარე მეურნეობა, თავისუფალი პროფესიების პირთა შემოსავლები, საავტორო ჰონორარები და სხვ.). მოგება, ანუ შერეული შემოსავალი წარმოადგენს შემოსავლების გადამეტების მაჩვენებელს ხარჯებზე საარენდო და საკუთრებიდან მიღებულ შემოსავლებზე (ფინანსურ აქტივებზე, მიწასა და სხვა არასაწარმოო აქტივებზე) გადასახადების გადახდამდე.

2.7.2 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

აქ მთავარი პრობლემაა ძირითადი კაპიტალის მოხმარების სიდიდის დადგენა. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში გამოიყენება ძირითადი კაპიტალის უწყვეტი

გადაფასების მეთოდი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადი კაპიტალის ნარჩენი აღდგენითი ღირებულების დადგენა ხდება სპეციალური მათემატიკური მოდელის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (რამდენიმე ათეული წელი) კაპიტალური დაბანდებების მოცულობას, ძირითადი კაპიტალის გასვლის ნორმებს და სხვ. აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა ჯერ არ განხორციელებულა ჩვენთან, თუმცა მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობს. ძირითადი ფონდების მოხმარება ყველა სახის ფონდებისათვის გაიანგარიშება მიმდინარე აღდგენითი ღირებულებისა და სამსახურის ვადის ბაზაზე. ამასთან, ძირითადი ფონდების ღირებულების ჩამოწერა წარმოებს ექსპლუატაციის მთელი ვადის მანძილზე თანაბრად. ძირითადი კაპიტალის მოხმარებაში ჩაირთვება აგრეთვე მოსალოდნელი დანაკლისი და დანაკარგები (ხანძარი, უბედური შემთხვევა), იქიდან გამომდინარე, რისი დაზღვევაც შესაძლებელია. თუ ძირითადი კაპიტალი დაზღვეულია, მაშინ მოსალოდნელი დანაკარგის თანხა სადაზღვევო გადასახადების ჯამის ტოლია, ხოლო თუ არ არის დაზღვეული, გამოდიან იმ თანხიდან, რაც საჭირო იქნებოდა აღნიშნული დანაკარგების დაზღვევისათვის. მოცემულ ეტაპზე ძირითადი კაპიტალის მოხმარება გაიანგარიშება როგორც ცვეთისა (ამორტიზაციის) და სალიკვიდაციო ღირებულების ჯამი.

2.8 პირველადი შემოსავლის განაწილების ანგარიში

ანგარიშის რესურსების ნაწილი ორი ტიპის შემოსავლისგან შედგება. პირველში შედის დაქირავებული პირის ანაზღაურება. აღნიშნულ შემოსავალს იღებენ რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულები, რომლებსაც პირდაპირი ზემოქმედება გააჩნიათ წარმოებაზე, ხოლო მეორე ტიპის შემოსავალს მიეკუთვნება ფინანსურ და არაწარმოებულ აქტივებზე საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები. არაწარმოებულ აქტივებს მიეკუთვნება ქვეყნის ბუნებრივი რესურსები.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში საკუთრებიდან შემოსავლები შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ: პროცენტები, კორპორაციების გაუნაწილებელი მოგება, მათ შორის დივიდენდები, რეინვესტირებული შემოსავლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან, შემოსავლების სადაზღვევო პოლისების ფლობიდან, რენტა და სხვა. პროცენტები საკუთრებიდან არის შემოსავლის ფორმა, რომელსაც იღებს

აქტივის მფლობელი. ამ კატეგორიაში შედის: საშემნახველო შენატანები, ფასიანი ქაღალდები (აქციების გარდა), სესხები ან დებიტორთა ანგარიში. ყველა ეს ფინანსური მოთხოვნა წარმოადგენს დებიტორთა ვალდებულებებს კრედიტორების მიმართ.

კორპორაციათა გაუნაწილებელი შემოსავალი შედგება დივიდენდებისა და კვაზიკორპორაციების შემოსავლების ამოღებებისგან. დივიდენდი თავის მხრივ წარმოადგენს საკუთრებიდან მიღებული ისეთი შემოსავლის ფორმას, როდესაც აქციონერი ფულად სახსრებს გადასცემს კორპორაციებს. კვაზისაზოგადობის ამოსაღები შემოსავალი - საკუთრებიდან შემოსავლის ეს ფორმა დაერიცხება კვაზიკორპორაციის მფლობელს საწარმოში ინვესტირებული სახსრების შესაბამისად. თუ კორპორაციაში ინვესტორი ახორციელებს ინვესტიციას, ამ საწარმოს ეწოდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საწარმო. დივიდენდი, რომლებსაც ინვესტორებს უხდიან, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში განიხილება როგორც საკუთრებიდან შემოსავლის საერთაშორისო ნაკადი.

დივიდენდები, რომელსაც უხდიან უცხოელ ინვესტორებს, ეას-ში განიხილება როგორც საკუთრებიდან შემოსავლების საერთაშორისო ნაკადები. ეას-ის მოთხოვნების შესაბამისად დანაზოგები ან გაუნაწილებელი მოგება უნდა განვიხილოთ როგორც უცხოელი ინვესტორებისათვის გადარიცხული (საწარმოში საკუთრების წილის პროპორციულად) და შემდეგ რეინვესტირებული. ტექნიკურად ეს ხორციელდება ორი ჩანაწერთა საწარმოთა და უცხოელი ინვესტორის ანგარიშებზე. პირველი - პირველადი შემოსავლების ანგარიშში, როგორც პირობითად გამოთვლილი გადარიცხვის თანხა, ხოლო მეორე - რეინვესტიციების პირობითი თანხა, რომელიც კაპიტალის ანგარიშში აისახება აქციებისა და აქტივების სხვა ფორმით. სიცოცხლის დაზღვევის რეზერვებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლები განიხილება როგორც შინამეურნეობების შემოსავალი სადაზღვევო პოლისების შექმნიდან. რენტას იღებენ არაწარმოებული აქტივების მფლობელები სხვა ინსტიტუციური ერთეულებისთვის გადაცემული აქტივების სარგებლობისთვის. პირველადი შემოსავლის განაწილების ანგარიში ამავდროულად ასახავს ფაქტორული შემოსავლების მიღებას საზღვარგარეთიდან. ფაქტორულ შემოსავლებს მიეკუთვნება პიროვნების მიერ მიღებული ხელფასი

საზღვარგარეთ, ან საწარმოების მიერ საზღვარგარეთ წარმოებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. ამასთან საწარმოები და ცალკეული ქვეყნის მოქალაქენი უნდა იყვნენ რეზიდენტები. შესაბამისად, პირველადი შემოსავლის მაჩვენებლების სიდიდე, დიდი შანსია, შეიცვალოს. ამ ტიპის მაჩვენებელს ეროვნული შემოსავალი, ხოლო ცალკეული სექტორების დონეზე - პირველადი შემოსავლის სალდო ეწოდება. როდესაც პირველადი შემოსავლის ანგარიშიდან განაწილების ანგარიშზე გადავდივართ, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ორი მნიშვნელოვანი ცნება: „პროდუქტი“ და „შემოსავალი“. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წარმოების საერთო მახასიათებელია, ხოლო შემოსავალი რეზიდენტების შემოსავალი. მშპ და ეროვნული შემოსავალი ერთმანეთისგან განსხვავდება ძირითადი კაპიტალის მოხმარებისა და საზღვარგარეთიდან მიღებული და გაცემული შემოსავლების სალდოთი. ამ შემთხვევაში დამაბალანსებელ წყაროს წარმოადგენს პირველადი შემოსავლის სალდო. ეს კი წარმოადგენს მიღებული და გადახდილი შემოსავლების სხვაობას. ეკონომიკის მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, პირველადი შემოსავლების წყაროს მთლიანი ეროვნული პროდუქტი წარმოადგენს.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში ასახავს რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების ან სექტორების საქმიანობას არა მწარმოებლების, არამედ პირველადი შემოსავლების მიმღებთა როლში. რადგან ამ ანგარიშს უკვე აღარ გააჩნია უშუალო კავშირი წარმოებასთან, ამიტომ იგი დგება მხოლოდ ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორებისათვის (და არა ცალკეული დარგისათვის).

2.9 შემოსავლის მეორადი განაწილების ანგარიში

შემოსავლის მეორადი განაწილების ანგარიში გვიჩვენებს თუ როგორ ხდება ეკონომიკის ინსტიტუციური ერთეულებისა და სექტორების შემოსავლების ტრანსფორმაცია მათ განკარგვად შემოსავლად. ეს ანგარიში მნიშვნელოვანია ცალკეული სექტორებისთვის, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთლიანად ეკონომიკისთვის. სექტორების ანგარიშებში ოპერაციები ორჯერ ტარდება, რის შედეგადაც სექტორისთვის მივიღებთ მთლიან განკარგვად შემოსავალს, ხოლო ეკონომიკისთვის - მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალს. მთლიანი ეროვნული

განკარგვადი შემოსავალი წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს. იგი მიიღება ინსტიტუციური ერთეულის, სექტორის პირველადი შემოსავლების სალდოზე მიღებული ტრანსფერტების დამატებით და გაცემული ტრანსფერტების გამოკლებით. ქვეყნის ეკონომიკის დონეზე წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი მიიღება შემდეგნაირად: მთლიან ეროვნულ შემოსავალს დამატებული რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულის მიერ არარეზიდენტისგან მიღებული შემოსავალი და აკლდება ყველა მიმდინარე ტრანსფერტი.

ტრანსფერტი თავის მხრივ არის ოპერაცია, რომელშიც ერთი ინსტიტუციური ერთეული წარუდგენს მეორე ინსტიტუციურ ერთეულს გარკვეული ტიპის საქონელს, მომსახურებას ან აქტივს, ამ უკანასკნელისგან ანალოგიური საქონლის, მომსახურების ან აქტივის მიღების სანაცვლოდ. ტრანსფერტი ფულადი ფორმით არის ნაღდი ფულის ან ანაზრის გადარიცხვა მეორე ერთეულისთვის, ხოლო ნატურალური ფორმით საკუთრების გადაცემა რაიმე საქონელსა და აქტივზე. ტრანსფერტების კლასიფიკაცია შემდეგ სახეს მიიღებს: გადასახადები შემოსავლებზე, სიმდიდრეზე და სხვა; სოციალური დაზღვევის ანარიცხები; სოციალური დახმარება; სხვა მიმდინარე ტრანსფერტები.

2.10 შემოსავლის გამოყენების ანგარიში

ეროვნული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი საბოლოო მოხმარებაზე მოდის. მასში შედის რეზიდენტი შინამეურნეობების მოხმარება, როგორც რეზიდენტი ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ტერიტორიაზე. შინამეურნეობების დანახარჯები მოიცავს: ახალი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენას; საბაზრო მომსახურების შეძენას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ბინისა და კომუნალური გადასახადების გადახდას; სასტუმროში ცხოვრების დანახარჯებს; საყოფაცხოვრებო მომსახურების ანაზღაურებას; ფასიან სამედიცინო მომსახურებას; ბილეთების შეძენას კინოში, თეატრში, მუზეუმსა და სხვა კულტურულ საგანმანათლებლო და გართობის ობიექტებში; სპორტულ ღონისძიებებზე დასწრებას; ბინის, მანქანის, მოწყობილობების დაქირავებას; ფინანსურ, იურიდიულ და სხვა მომსახურებას; კურსებს, ტრენინგებს და სხვა წრეებს; შინამომსახურების ანაზღაურებას; შინამეურნეობების მიერ საკუთარი

მოხმარებისთვის პროდუქტის დამზადებას; შრომის ანაზღაურებას ნატურალური ფორმით; უფასო (ან დაბალი ფასებით) მოსამსახურეთა უზრუნველყოფას სამედიცინო მომსახურებით, კლუბებით, სტადიონებით, დასასვენებელი სახლებით და ა.შ. სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებას ნატურალური ფორმით; პირობით რენტას საკუთარ ბინაში ცხოვრებისთვის; საზღვარგარეთიდან მიღებული და გაგზავნილი საჩუქრების ღირებულების სალდოს; შინამეურნეობების მიერ შექმნილი და გაყიდული ანტიკვარიატის ღირებულების სალდოს.

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება არ შეიცავს: სახლების, ბინების შექმნას (შედის ძირითადი კაპიტალის დაგროვებაში); სხვადასხვა საქონლის შექმნას საწარმოო მიზნებისთვის (შუალედური მოხმარება), სამშენებლო მასალების შექმნას; ვეტერინარულ, იურიდიულ მომსახურებას, ჯოგის დაზღვევას, სამეურნეო ნაგებობებისა და მანქანების დაზღვევას; სამეურნეო შენობების, მანქანების, ინვენტარის არენდას; ბინათმფლობელების მიერ ჩატარებულ მიმდინარე რემონტს, მასალების შექმნასთან ერთად; შინამეურნეობების წევრების მიერ ერთმანეთისათვის გაწეულ მომსახურებას.

2.11 ეკონომიკის სტრუქტურის განსაზღვრა NACE კლასიფიკატორის მიხედვით

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კლასიფიკატორი, რომელიც ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების გასაანალიზებლად გამოიყენება არის NACE. იგი შეიქმნა ევროკავშირის სტატისტიკური კომისიის ფარგლებში და მოქმედებს 1970 წლიდან, ხოლო მისი გამოყენება სავალდებულოა ევროპის კავშირში შემავალი ქვეყნების ფარგლებში. იმის გამო, რომ NACE წარმოადგენს ინტეგრირებული სტატისტიკური კლასიფიკაციის ნაწილს, მას მეთვალყურეობას უწევს გაერთიანებული ორგანიზაციის სტატისტიკური კომისია. NACE-ს წარმოადგენს ისეთ ინტეგრირებულ სისტემას, რომელიც საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები.

NACE შედგება იერარქიული დონისგან, გაცნობითი ხასიათის პრინციპებისგან და განმარტებითი შენიშვნებისგან, ხოლო მისი კოდირების სისტემა დაყოფილია 4

დონედ: პირველი დონე შედგება საქონლის ანბანური კოდისგან (სექცია); მეორე დონე საქონლის ორციფრიანი კოდისგან (დანაყოფები); მესამე დონე საქონლის სამციფრიანი კოდისგან (ჯგუფი); მეოთხე დონე საქონლის ოთხციფრიანი კოდისგან (კლასი).

NACE-მა განვითარების ფართო გზა გაიარა. 1961-1963 წლებში ჩამოყალიბდა “Nomenclature des industries établies dans les Communautés européennes” (NICE). იგი მრავალი დივიზიისგან შედგებოდა. ამ ვერსიის არსებობამ დიდხანს ვერ გასტანა და 1963 წელს გამოუშვეს მისი მოდიფიცირებული ვერსია, რომელიც შედგებოდა მოპოვებითი მრეწველობისგან, წარმოებული ენერჯის, მწარმოებლური დარგებისა და მშენებლობისგან. 1965 წელს შეიმუშავეს NCE, რომელიც მოიცავდა ყველა კომერციულ საქმიანობას. 1967 წელს მოხდა მომსახურების კლასიფიკაციის შექმნა, რასაც მოჰყვა სოფლის მეურნეობის დივიზიის განვითარება. 1970 წელს ევროკავშირის სტატისტიკურმა კომისიამ შეიმუშავა NACE-ს თავდაპირველი ვერსია, რომელიც მოიცავდა ეკონომიკის მთლიან სექტორს. NACE-ს თავდაპირველ ვერსიას რიგი ნაკლოვანებები გააჩნდა. უპირველეს ყოვლისა, იგი არ იყო მოქცეული კანონმდებლობის ფარგლებში, რიგი მონაცემები გროვდებოდა არსებული ეროვნული კლასიფიკატორების ფარგლებში, ხოლო შემდგომ ხდებოდა მათი გადაყვანა NACE-ის ფორმატზე, რაც არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მომხდარიყო ზუსტი მონაცემების გამოქვეყნება. ამავდროულად, იგი არ იყო მოქცეული საერთაშორისოდ მიჩნეულ ჩარჩოში, რაც ართულებდა სხვა ანალოგიურ მონაცემებთან შედარებას. სწორედ 1970 წლის შემდეგ დაიწყო მისი გაუმჯობესება და ევროსტატისა და გაეროს სტატისტიკური კომისიის ერთობლივი მუშაობის შედეგად, 1989 წელს შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტული ინდუსტრიული კლასიფიკატორის (ISIC) მესამე ვერსია, რომელიც დაედო საფუძვლად NACE-ს ახალ ვერსიას. 2002 წელს კი შემუშავდა ახალი NACE-ის ახალი ვერსია NACE rev1.1 სახელწოდებით, რომელმაც წინა ვერსიისგან უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა. ახალი ცვლილებების ძირითადი მიზანი იყო: ახალი საქმიანობების ასახვა, რომელიც NACE rev. 1-ში არ იყო ასახული; საქმიანობა, რომლის მნიშვნელობა გაიზარდა NACE rev1.1 ვერსიის შემდეგ. ეს კი უმთავრესად ეხებოდა როგორც ორგანიზაციულ, ისე ტექნოლოგიურ ცვლილებებს; შეცდომების გამოსწორებას.

2002 წელს დაიწყო NACE-ს ახალ ვერსიაზე მუშაობა და იმავე წლის დეკემბერში გამოვიდა ახალი ვერსია NACE rev2. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურმა თუ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროცესებმა არსებითი როლი შეასრულა ახალი ტიპის საქონლისა თუ მომსახურების დანერგვაში. ამან, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებზე, რამაც გამოიწვია არსებულ კლასიფიკატორებში ძირეული ცვლილებების შეტანა. 2000-2007 წლებში ძირითადი მიზანი ასეთი ტიპის ცვლილებებისა იყო სტატისტიკური მონაცემების მსოფლიო ეკონომიკასთან შესადარისობა, ეროვნული და საერთაშორისო კლასიფიკატორების უკეთესი შესადარისობა, წინა ვერსიებთან მათი უწყვეტობის პრინციპი.

ეკონომიკური და სოციალური კლასიფიკატორები წარმოადგენენ ერთიან სისტემას, რომელიც რეგისტრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთიან კლასიფიკაციაში. ეკონომიკური და სოციალური კლასიფიკაცია შესაძლებელია სამ ჯგუფად დაჯგუფდეს: მინიშნებული, წარმოებული და ურთიერთდაკავშირებული კლასიფიკატორებისგან. მინიშნებულ კლასიფიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ სოციალური და ეკონომიკური ხასიათის კლასიფიკატორები, რომლებიც დამტკიცებულია გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ, ან ისეთი ავტორიტეტული მთავრობათშორისი ორგანიზაციების მიერ, როგორცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია(ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი(IMF), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი(UNESCO), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO). წარმოებული კლასიფიკატორები დაკავშირებულია მინიშნებულ კლასიფიკატორთან. წარმოებული კლასიფიკატორები შეიძლება მომზადდეს მინიშნებულ კლასიფიკატორებში მითითებული სტრუქტურისა თუ კატეგორიების მიხედვით. მისი მომზადება აგრეთვე შესაძლებელია სხვადასხვა კლასიფიკატორების გადაჯგუფებით. ასე მაგალითად, NACE მომზადებული არის ISIC კლასიფიკატორისგან. ურთიერთდაკავშირებული კლასიფიკატორები ნაწილობრივ მინიშნებული კლასიფიკატორია, სადაც შესაბამისი ცხრილები დიდ როლს თამაშობს სტატისტიკის სამომავლო შედარებისთვის.

საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გაერომ, რომელმაც 1989 წელს შექმნა მთელი რიგი კლასიფიკატორები, რომლებმაც მოიცვეს საქონლისა და მომსახურების მრავალი სფერო. ISIC, CPC, SITC და BECs წარმოადგენენ ამ სისტემაში ურთიერთდამაკავშირებელ რგოლებს.

- ISIC მოიცავს მთლიანი სისტემის საქმიანობის სფეროს;
- CPC გამოიყენება საქონლისა და მომსახურების სტატისტიკის წარმოებისთვის;
- SITC არის აგრეგირებული კლასიფიკატორი, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო გადაზიდვების დროს - მიზანი კი საერთაშორისო სავაჭრო სტატისტიკის შესადარებაა;
- BECs არის საქონლის კლასიფიკატორი საერთაშორისო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით, რომლის გამოყენება ეკონომიკური კატეგორიებისთვის არის მიზანშეწონილი;

CPC და SITC კლასიფიკატორები წარმოებული საქონლის სტატისტიკის წარმოებისას იყენებენ HS (Harmonized Commodity Description and Coding System) ქვეანგარიშებს. HS არის საერთაშორისო საბაჟო პროდუქტების კლასიფიკატორი, რომელიც შედგენილია საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციის მიერ. იგი გამოიყენება როგორც საბაჟო ტარიფების, ისე საერთაშორისო სტატისტიკის წარმოების მიზნით. HS არის იერარქიულად სტრუქტურული და გვთავაზობს დაახლოებით 5000 სახეობის საქონლის სიღრმისეულ სტატისტიკურ ანალიზს. იგი შედგება 96 თავისგან. თითოეულ თავს მინიჭებული აქვს ორციფრიანი კოდი. თითოეული სახეობის პროდუქტი დაყოფილია ქვესახეობებისგან, რომელსაც შესაბამისად მინიჭებული აქვს ოთხციფრიანი და ექვსციფრიანი კოდი. HS მოიცავს ისეთი ტიპის პროდუქციას, რომელსაც საბოლოო დანიშნულება არ გააჩნია (ელექტროენერგია). HS-ში არ შედის მომსახურება, მაგრამ მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა მაგალითად არქიტექტორის მომსახურება. ამავდროულად მასში შედის ისეთი ტიპის საქონელი, რომელიც წარმოებული არ არის, მაგალითად, დანადგარები. დღესდღეობით მოქმედებს მისი გაუმჯობესებული ვერსია, რომელიც მიმოქცევაში გამოვიდა 2007 წელს.

CPC პროდუქციას ახასიათებს მათი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით. ეს კრიტერიუმი ისეთივეა, როგორცაა ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის

დროს. CPC არ არის პროდუქციის კლასიფიკატორი. იგი ძირითადად ეყრდნობა ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორებს. ამ მიზეზის გამო CPC კოდირების სისტემა სრულიად განსხვავებულია ISIC კოდირების სისტემისგან. მიუხედავად განსხვავებული მიდგომისა, CPC კლასიფიკაციის დროს მხედველობაში მიიღება კონკრეტული პროდუქტის ეკონომიკური წარმოშობის კრიტერიუმი. ამ კრიტერიუმის მიხედვით (რომელიც ევროკავშირის მიერ არის შემუშავებული NACE და CPA კლასიფიკატორებისთვის), პროდუქციის კლასიფიკაცია საქონელსა და მომსახურებას ერთი სახის ეკონომიკურ საქმიანობაში აერთიანებს. მიუხედავად ყველაფრისა, წარმოშობის კრიტერიუმი არ არის ყოველთვის პრაქტიკული, იმისდა მიუხედავად, გამოიყენებს თუ არა HS-ს ყველაზე დეტალურ დონეს. 2006 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკურმა კომისიამ შეიმუშავა CPC მოდიფიცირებული ვერსია CPC ver. 2.

NACE და ISIC ეკონომიკას გარკვეულწილად ერთნაირად განიხილავს. NACE თითქმის ყველა კატეგორია არის ზუსტად იგივე, როგორც ISIC კლასიფიკატორში. ISIC Rev. 4-ის პირველი და მეორე დონე (სექცია და დანაყოფი) არის იდენტური NACE Rev. 2-ის სექციის და დანაყოფისა, ხოლო მესამე და მეოთხე დონე (ჯგუფები და კლასები) არის დაყოფილი NACE Rev. 2-ში. ეს კი თავის მხრივ დამოკიდებულია ევროპულ მოთხოვნებზე. ამავდროულად NACE Rev. 2 -ში ჯგუფები და კლასები გარკვეულწილად დამოკიდებულია ISIC Rev. 4 ანალოგიურ მაჩვენებლებთან. ასეთი დაყოფის ძირითადი მიზანი ის არის, რომ კლასიფიკატორი უნდა გახდეს უფრო დამაკმაყოფილებელი ევროპულ ეკონომიკის სტრუქტურასთან.

გაეროს და სხვა სამთავრობო ორგანოების მიერ შემუშავებულია სხვადასხვა კლასიფიკატორები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია როგორც ISIC, ისე NACE კლასიფიკატორებთან. ამგვარი ტიპის კლასიფიკატორები განვითარდა ისეთი სფეროებისთვის, როგორიცაა განათლება, დასაქმება, ტურიზმი და სხვა. დღესდღეობით გავრცელებულია ისეთი ცნობილი კლასიფიკატორები, როგორიცაა COFOG (სამთავრობო ფუნქციების კლასიფიკატორი, (The Classifications of the Functions of Government)), ISCED(განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი(The International Standard Classification of Education)), ISCO The International Standard Classification of Occupations), TSA (ტურიზმის საერთაშორისო ანგარიში, (The Tourism

Satellite Account)), ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო სექტორის კლასიფიკატორი (The Information and Communication Technology Sector Classification)), მედია ინდუსტრიის სექტორის კლასიფიკატორი (The Content and media industries sector definition) (http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-RA-07-015/EN/KS-RA-07-015-EN.PDF)

რაც შეეხება ევროკავშირში მოქმედ კლასიფიკატორებთან ურთიერთობას, აქ უნდა გამოვყოთ რამდენიმე კლასიფიკატორი, რომლებიც ძალზე მჭიდრო ურთიერთობაში არიან NACE-ს თანამედროვე ვერსიასთან. პირველი მათგანი არის CPA (Central Product Activity), რომელიც წარმოადგენს CPC ევროპული ვერსიას. ძირითადი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ CPA არის უფრო დეტალური, ხოლო მისი სტრუქტურა უფრო შინაარსობრივი, ვიდრე CPC. ევროკავშირმა შეიმუშავა ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმები, მოიყვანა რა NACE კლასიფიკატორთან შესაბამისობაში. ეს კი იმით დასრულდა, რომ მეოთხე დონემდე (კლასამდე) CPA სტრუქტურა ესადაგება NACE-ს. ზოგადად, CPC ქვეანგარიშები რეორგანიზებულია მათი ეკონომიკური წარმოშობის მიხედვით, ხოლო კოდირების სისტემა, მცირე განსხვავების მიუხედავად, არის იდენტური NACE თანამედროვე ვერსიასთან.

კომბინირებული ნომენკლატურა (CN) არის ევროკავშირის ეკონომიკური კლასიფიკატორი, რომლის გამოყენების ძირითად მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო და საბაჟო ტარიფების შესახებ ეკონომიკური სტატისტიკის წარმოება და მისი შემდგომი ანალიზი. კომბინირებული ნომენკლატურა შემუშავდა 1988 წელს და ყოველწლიურად ხდება მისი რევიზია. იგი წარმოადგენს 8 ციფრიან კოდირებულ სისტემას, საიდანაც 2 ციფრი HS (Harmonized Commodity Description and Coding System, managed by the World Customs Organisation) კოდირების სისტემას ემთხვევა.

„PRODCOM“ წარმოადგენს ევროკავშირში მოქმედ ერთ-ერთ კლასიფიკატორს, რომელიც აანალიზებს წარმოებული და გადამამუშავებული პროდუქციის სტატისტიკას. წარმოებული პროდუქციის კლასიფიკატორი (ე.წ. “PRODCOM” სია), რომელზეც დაფუძნებულია წარმოებული პროდუქციის სტატისტიკა, დგება PRODCOM-ის საბჭოს მიერ. PRODCOM სათაურები ემთხვევა CN-ს სათაურებს, ხოლო კოდირების სისტემა კი არის CPA კოდირების სისტემის ანალოგიური.

წარმოებული და გადამამუშავებული პროდუქციის კოდირების სისტემა 8 ციფრიანია, სადაც პირველი 6 ციფრი არის CPA კოდების ანალოგიური. ასე რომ, PRODCOM გარკვეულწილად CPA-სთან არის კავშირში, ხოლო თავის მხრივ CPA მჭიდრო კავშირში იმყოფება NACE სისტემასთან. ამ ორ კლასიფიკატორს შორის გარკვეულ კავშირზე შეიძლება ვისაუბროთ.

კიდევ ერთი კლასიფიკატორი, რომელიც მოქმედებს ევროკავშირში და რომელთანაც მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს, არის მთავარი ინდუსტრიული ჯგუფი (MIGs – Main industrial Groupings). MIGs არის ძირითადი სამრეწველო საქონლის აბრევიატურა, რომელშიც შედის კაპიტალური საქონელი, შუალედური საქონელი, სამომხმარებლო მალფუჭებადი და არა-მალფუჭებადი საქონელი და ენერგეტიკა. MIGs იყენებს სხვადასხვა ინდიკატორს, მათ შორის, წარმოებული პროდუქციის ინდექსს და მწარმოებლური ფასების ინდექსს.

თავი 3: გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა

გასული საუკუნის 90-იან წლებში სოციალისტური რეჟიმის რღვევის შედეგად აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების დიდი ნაწილი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას შეუდგა, რომლის საყრდენს კერძო საკუთრება შეადგენს. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების დიდი ნაწილი ე.წ. გარდამავალ პერიოდში აღმოჩნდა.

ტერმინი „გარდამავალი ხანის ეკონომიკა“, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად და ფორმირებად მაკროსისტემაში, განსაზღვრავს განსახორციელებელი გარდაქმნების მიმართულებასა და ხარისხს (ბახტაძე 2006: 4). გარდამავალი ხანის ეკონომიკის ცნების გამოყენება განპირობებულია იმით, რომ ერთი კონკრეტული ტერმინით აღინიშნოს ის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ერთობლიობა, რომელიც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს და რომლის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაზე მონოპოლიის ლიკვიდაცია და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრება. ცნობილია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ცდილობენ ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას, წარმავალი ეპოქის ტექნიკის, ტექნოლოგიების, წარმოების მართვის ორგანიზაციის, მატერიალური და კულტურულ ფასეულობათა მიბაძვით.

XX საუკუნის 80-იან წლებში გარდამავალი ეპოქის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გატარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არაეფექტიანი ეკონომიკის არსებობა წარმოადგენდა. ამავდროულად ძალზე დაბალი იყო შრომისნაყოფიერება და იწარმოებოდა უხარისხო პროდუქცია. საკმაოდ რთული იყო მთავრობისთვის იმის გადაწყვეტილების მიღება, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სამომხმარებლო საქონლის განაწილება. ერთი მხრივ, საკმაოდ დიდი იყო დეფიციტი იმ საქონელსა თუ მომსახურებაზე, რომელზეც მოთხოვნა არსებობდა, ხოლო მეორე მხრივ, საკმაოდ მაღალი იყო ე.წ. ჩაწოლილი საქონლის მარაგები, რაც საზოგადოებისათვის დანაკარგს წარმოადგენდა.

ეკონომიკური ზრდა ძირითადად ორი ფაქტორით განისაზღვრება: 1) რესურსების ნამატით; 2) ამ რესურსებზე მწარმოებლურობის გადიდებით. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის 90% მიღწეული იყო სამუშაო ძალის

და კაპიტალის მობილიზებით (ბახტაძე 2006: გვ.5). მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შეინიშნებოდა მიგრაციის დიდი რაოდენობა - სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქში მძიმე მრეწველობაში საქმდებოდა. ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოებისთვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდა. აღმოსავლეთ ევროპაში წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოების პრობლემები უფრო რთული აღმოჩნდა ლათინური ქვეყნების პრობლემებთან შედარებით, სადაც საპრივატიზაციოდ გამოტანილი იყო ასობით და არა ათასობით საწარმო, რაც იმაში გამოიხატა, რომ ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად წარმოიშვა პოლიტიკური პრობლემებიც.

საზოგადოდ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმის ძირითადი მიზანი მწარმოებლურობის ამაღლებაა. ეს კი, თავის მხრივ, რამდენიმე ფაქტორს მოიცავს: სტიმული მისცეს ეკონომიკური ზრდის უფრო სწრაფ ზრდას და განვითარებას; აამაღლოს შრომის მწარმოებლურობა; გააუმჯობესოს რესურსების გამოყენების ეფექტიანობა; აწარმოოს პროდუქციის საკმარისო რაოდენობა; შეამციროს იმ საქონლის მარაგები, რომელზეც არ არის მოთხოვნა; გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი (ბახტაძე 2006: გვ.4).

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობისთვის საჭირო არის ისეთ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, სადაც საქონლისა და მომსახურების განაწილება შესაძლებელი იქნება მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. ამისთვის კი აუცილებელია ისეთი სტრუქტურების ფორმირება, რომლებიც ხელს შეუწყობს საბაზრო სისტემის ეფექტიან ფორმირებას. ასეთი ტიპის სტრუქტურული ცვლილებები მოიცავს საფინანსო ინსტიტუტებს, კანონებს და სხვა ტიპის ცვლილებებს, რომლებიც წახალისებს საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გაცვლას.

ეკონომიკური რეფორმა რამდენიმე ელემენტს მოიცავს: **მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია** ითვალისწინებს ეკონომიკური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას ინფლაციის უმნიშვნელო დონითა და რესურსების გამოყენების მაღალი ხარისხით. გარდამავალ პერიოდში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა გულისხმობს: ისეთი გადაუდებელი და მიმდინარე პრობლემების შეფასებასა და გადაწყვეტას, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, ჭარბი ფულადი მასა (ჭარბი

ლიკვიდურობა) და ინფლაცია, საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, საგარეო ვალი და უცხოური ვალუტის შეზღუდული რეზერვები; სოციალური დაცვის სისტემის შექმნასა და სოციალური დაცვის უფლებების უზრუნველყოფას; გრძელვადიან პერიოდში ქმედითი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს მიმდინარე არაპირდაპირი მაკროეკონომიკური კონტროლი, ამისათვის საჭირო სპეციალური ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების შექმნას, აგრეთვე ეკონომიკაში მკაცრი ფინანსური რეჟიმის შემოღებას (ბახტაძე 2006: 7).

ფასებისა და საბაზრო რეფორმის განხორციელება გულისხმობს: შიდა ფასების ლიბერალიზაციას; საპროცენტო განაკვეთისა და ხელფასების ლიბერალიზაციას, შემოსავლების განაწილების სისტემის გარდაქმნას; საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, სავალუტო კურსის მდგრადობას და ეროვნული ვალუტის ნორმალურ მიმოქცევას, საგარეო ვაჭრობის სფეროში კვოტების გაუქმებას და საბაჟო ტარიფების დაწევას (ბახტაძე 2006: 7).

რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნა. იგი თავის მხრივ მოიცავს როგორც მცირემასშტაბიან, ასევე მსხვილმასშტაბიან პრივატიზაციას, რომელიც თავის თავში გულისხმობს: მართვის სისტემების რეორგანიზაციას; საკუთრების უფლების გადანაწილებას; კომერციალიზაციას; დემონოპოლიზაციას; ძირითადი კაპიტალის შეფასებას, აქციების გამოშვებას და მათ შეფასებას; საცხოვრებელი ფონდების შეფასებას.

რაც შეეხება ფინანსური ბაზრისა და ინსტიტუტების განვითარებას, იგი წარმოადგენს რეფორმის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას. იგი მოიცავს: სამართლებრივი და მარეგულირებელი ინსტიტუტების ფორმირებას; წარმოების მართვას, ფინანსური სექტორის ჩათვლით; სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმის განსაზღვრას და სახელმწიფო ადმინისტრირების გამკაცრებას; საინფორმაციო სისტემების შექმნას (ბახტაძე 2006: 7).

გარდამავალი ეკონომიკის ეკონომიკური რეფორმები პოლიტიკურ არასტაბილურ ზეგავლენას განიცდიან. ამის გამო რეფორმების პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ეკონომიკური რეფორმები, რომელიც საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისკენ არის მიმართული, დამოკიდებულია საკუთრივ ქვეყნის

პოლიტიკურ ცვლილებებზე. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უფრო რთული აღმოჩნდეს, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც გარკვეული ზომით არსებობს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, არის არასტაბილურობის ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკურ პრობლემებს ავსებენ. ამგვარი პრობლემები მრავალი მიზეზის გამო შეიძლება იყოს გამოწვეული, კერძოდ:

ა) **ჯგუფური ინტერესებით** - ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მქონე ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი ხელისუფლება რეფორმების მოწინააღმდეგედ გამოდიოდა, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ ახალი ეკონომიკური სისტემა მათ ძალაუფლებას შეასუსტებდა, ხოლო საწარმოებში დასაქმებულთა შიში იმაში გამოიხატებოდა, რომ საწარმოთა პრივატიზაციის შედეგად ისინი უმუშევარი დარჩებოდნენ;

ბ) **საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არცოდნით** - გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობაში, თავდაპირველად, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესახებ არასწორი წარმოდგენა არსებობდა. მათ ცუდად ან საერთოდ არ ესმოდათ რესურსების ეფექტურად განაწილების პრინციპი, რაც ცუდად აისახებოდა მათ განწყობაზე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას წარმოიშვა დიდი უთანაბრობა შემოსავლებში, ხოლო ისეთ დარგებში, რომლებიც ტექნოლოგიურ სირთულეებს განიცდიან, ხდება მუშა-ხელის მასობრივი გათავისუფლება.

გ) **საერთო-ეროვნული და რეგიონალური არასტაბილურობა** - კომუნისტური რეჟიმის დაშლის შედეგად თავი იჩინა ომმა იუგოსლავიაში სერბებსა და ხორვატებს შორის მიგვიყვანა ათასობით ადამიანის დაღუპვამდე. საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკაში იყო 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური მხარე და 10 ავტონომიური ოლქი, რომლებიც დასახლებული იყო 200 ეროვნების 250 მლნ. ადამიანით (ბახტაძე 2006: 8). ეროვნებათშორისი დაძაბულობის გამოვლინებანი არსებობდა სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდავეთსა თუ ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამგვარი დაძაბულობის ფონზე, შოკური თერაპიის შესახებ მომხრეებსა თუ მოწინააღმდეგეებს შორის სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ეკონომიკური რეფორმა

როგორი წარმატებული არ უნდა იყოს, მას დანაკარგები, გარკვეული დოზით, ყოველთვის თან ახლავს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია უმუშევრობის მაღალი დონე, პირველადი მოთხოვნილების საქონლის უკმარისობა მოსახლეობის გარკვეულ ფენებში, ცხოვრების დონის დაცემა. „შოკური თერაპიის“ განხორციელება მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც ეკონომიკა ნაკლებად არის დეფორმირებული და ხალხიც ამგვარი ხისტი რეფორმებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს.

3.1 შეფასების კრიტერიუმები

სტაბილიზაციის პოლიტიკა იმ პრობლემების გადასაწყვეტად გამოიყენება, რომლებმაც მოკლევადიანი პრობლემები უნდა გადაწყვიტოს, ისეთები, როგორცაა ინფლაცია, უმუშევრობა, ბიუჯეტის დეფიციტი. ამისთვის სახელმწიფოს ისეთი ბერკეტები გააჩნია, როგორც არის ქვეყნის ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა. სტრუქტურული ადაპტაციისას საქმე შეეხება იმ პრობლემებს, რომლებიც ეკონომიკური ზრდის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. მკაცრი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკამ, გარკვეულწილად, ეფექტიანად შეიძლება იარსებოს როგორც გარდამავალ, ისე საბაზრო ეკონომიკაში. ამისათვის კი საჭიროა არსებობდეს კონტროლი იქ, სადაც საბაზრო მექანიზმი სუსტად არის განვითარებული. ასეთ პირობებში სტაბილიზაციის პოლიტიკა არ შეიძლება დაეყრდნოს იმ რეაქციას, რომლებიც განვითარებულ საბაზრო სისტემაში შეინიშნება. დიდი შანსია, რომ მზარდმა საპროცენტო განაკვეთებმა კაპიტალდაბანდებათა შემცირება არ გამოიწვიოს, რადგან ასეთ ვითარებაში სახელმწიფო საწარმოებს ის დანახარჯები დიდად არ აინტერესებთ, რადგან გაკოტრების რეალური საფუძველი არ არსებობს.

რაციონალური ფასების როლი. ეკონომიკის ეფექტიანად მოქმედებისთვის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე საჭირო არის შემოიღონ რაციონალური ფასების პოლიტიკა. დაუშვებელია, რომ დაწესდეს ისეთი შეზღუდვები საწარმოს მიმართ, როცა ფასები სახელმწიფოს მიერ კონტროლდება და მისი დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება მდგრად დონეს. საწარმოს მესაკუთრეებსა თუ მმართველებს სტიმული არა აქვთ, რომ გარისკონ წარმოების გაფართოება, თუ საწარმო ვერ შეძლებს საბაზრო ფასის დაწესებას. ეს კი არის იმის წინაპირობა, რომ საჭირო ხდება სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს სტრუქტურული რეფორმაც.

საკუთრების უფლების მნიშვნელობა. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირველდაწყებითი მცდელობა საკუთრების უფლების სფეროში რეფორმის გარეშე წარმოდგენელია. საბაზრო სისტემებს შეუძლიათ ფუნქციონირება საკუთრების სხვადასხვა ფორმების პირობებში, კერძოდ, სახელმწიფო, კოლექტიური და კოოპერატიული საკუთრების ჩათვლით. ბაზარზე მრავალი სახელმწიფო საწარმო კონკურენციას უწევს კერძოს, თუმცა კერძო სექტორი მათ ადანაშაულებს არასამართლიან კონკურენციაში, რამდენადაც სახელმწიფო საწარმოები გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მთავრობისაგან ღებულობენ სუბსიდიებს და სხვადასხვა სპეციალურ შეღავათებს. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი დიდ როლს თამაშობს დასავლეთის ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში. ჩინეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში სახელმწიფო და კოლექტიური საწარმოები საშინაო ბაზარზე აქტიურ კონკურენციას უწევენ კერძო სექტორს. თუმცა საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკის თანახმად, საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე სახელმწიფოს უპირველეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს მის ხელთ არსებული საწარმოების სწრაფი პრივატიზაცია, განსახელმწიფოებრიობა.

სტაბილიზაციის დანახარჯები. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც გამოწვეული შეიძლება იყოს მკაცრი ფულად-საკრედიტო თუ ფისკალური პოლიტიკის შედეგად, არის წარმოებისა და დასაქმების შემცირება. ეს იმით აიხსნება, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოების ფაქტორთა ბაზრები ნაკლებად არის განვითარებული. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული გამოცდილება ადასტურებს, რომ პოლონეთში, იუგოსლავიასა და უნგრეთში წარმოება 1991 წელს, წინა წელთან შედარებით, შესაბამისად, 14%, 3% და 6,5%, ხოლო აღმოსავლეთ გერმანიაში 50%-ით შემცირდა (ბახტაძე 2006: 10).

გრძელვადიანი სტრუქტურული რეფორმები. სტაბილიზაციური პოლიტიკის განხორციელების პარალელურად საჭირო ხდება ისეთი რეფორმების დაწყება, რომელიც ეხება საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და საგარეო-ეკონომიკურ სფეროს, აგრეთვე სტრუქტურული რეფორმების გატარება საკუთრების, საწარმოთა, ფასებისა და შრომის ბაზრის სფეროში. გრძელვადიან პერიოდში

სტაბილიზაციური პოლიტიკის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე, რასაც სახელმწიფო ახორციელებს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში ინფლაცია, როგორც ასეთი, არ არსებობდა ღია სახით, მაგრამ მას ვხვდებით ე.წ. დათრგუნული სახით, რასაც ადასტურებს ის დეფიციტი იმ საქონელსა თუ მომსახურებაზე, რაზეც იმ პერიოდში მოთხოვნა იყო და დანაზოგების მნიშვნელოვანი ზრდა. ამგვარი პროცესი ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებობდა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში იგი ნაკლებად იყო წარმოდგენილი. ინფლაციის მაღალი დონე, რომელიც სამომხმარებლო საქონელზე მაღალი მოთხოვნის გამოა, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. როცა მოთხოვნა შეზღუდული არ არის და ჭარბი ლიკვიდობა არსებობს, წარმოიშობა ინფლაცია, რომელიც პირდაპირ მოქმედებს სტრუქტურული რეფორმების წარმატებით განხორციელებაზე. პირველ ეტაპზე მთავარ ამოცანას წარმოადგენს ჭარბი ფულადი მასისგან გათავისუფლება, რისი გადაწყვეტის მიზნითაც, მსოფლიო ბანკი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე რამდენიმე მიდგომას სთავაზობდა (ბახტაძე 2006 11): მოსახლეობისა და საწარმოების ხელთ არსებული ფინანსური აქტივების ნაწილის გაყინვას ან კონფისკაციას; ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შემცირებას ფასების გადიდების მიზნით; სახელმწიფო საწარმოთა ძირითადი კაპიტალის გაყიდვას ფასიანი ქაღალდების, აქციებისა თუ ობლიგაციების სახით.

პირველი და მეორე ვარიანტის მიხედვით ჭარბი ფულადი მასის პრობლემის გადაჭრა მარტივი გზით არის შესაძლებელი, რომ გადაიჭრას (ფასების ერთდროული აწევა ამცირებს ფულად მასას). მიუხედავად ამისა, არსებობს ალბათობა იმისა, რომ შემცირდეს მოსახლეობის მხარდაჭერა რეფორმებისადმი. ხოლო მესამე ვარიანტის მიხედვით, სახელმწიფო საწარმოთა დეპოზიტები შესაძლებელია, რომ აქციებად გადაიქცეს, ხოლო შემდეგ ეს აქციები საწარმოში დასაქმებულ პერსონალს გადაეცეს. ამგვარი ნაბიჯი გარკვეულწილად საწარმოთა ჭარბი ლიკვიდობის შთანთქმას გამოიწვევს, მაგრამ მზარდი საბიუჯეტო ეფექტის გამო, იგი სამომხმარებლო ეფექტის მატებას გამოიწვევს.

3.2 ფისკალური პოლიტიკა

გარდამავალი ეკონომიკის თითქმის ყველა ქვეყანაში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. ამგვარი პრობლემის გადაწყვეტა მრავალ სიძნელეს წარმოქმნის. უპირველეს ყოვლისა, ეს საზოგადოების სოციალური მოთხოვნების ზრდასთან არის დაკავშირებული.

რეფორმების საწყის ეტაპზე ძირითადი ყურადღება გასამახვილებელია სუბსიდიებისა თუ საინვესტიციო დანახარჯების შემცირებაზე. სუბსიდიებზე უარის თქმა წარმოადგენს სახელმწიფო ხარჯების შემცირების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას. რამდენადაც სუბსიდიების ნაწილი გამიზნული იყო პირველადი მოხმარების საქონლის შესაძენად, მისი გაუქმება ან შემცირება, გარკვეული დოზით კომპენსირებულ უნდა იქნეს უმუშევრობისა და დაბალი შემოსავლების მქონე პირთათვის სოციალური გარანტიების მიცემაზე.

გარდამავალ პერიოდში კლებას იწყებს კაპიტალდაბანდებათა შემცირება. XX საუკუნის შუახანებში ინვესტიციების მოცულობამ ძირითად კაპიტალში მიაღწია მშპ-ს 40% (ბახტაძე 2006: 12). ამ სისტემის სიძლიერე იმაში გამოიხატებოდა, რომ ძლიერი იყო კაპიტალის მობილიზაციის დონე. გარდამავალ ქვეყნებში ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მიემართებოდა ისეთი პროექტების განსახორციელებლად, როგორც მძიმე მრეწველობა იყო, რაც ნაკლებეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს. არსებობს მეორე ტენდენცია - მისწრაფება ინვესტიციების შემცირებაზე. მაგრამ ინვესტიციები მთავარი წინაპირობაა იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში საგადასახადო ბაზას წარმოადგენდა ბრუნვიდან გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, საბაჟო მოსაკრებლები, ბრუნვიდან გადასახადით იბეგრებოდა საბოლოო საქონელი. საშემოსავლო გადასახადი შემოსავლების უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი გარდამავალ ქვეყნებში ბიუჯეტის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა.

3.3 გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები

გარდამავალი პერიოდის ქვეყნების ეკონომიკის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მისი გლობალური დაუბალანსებლობა. ეს არის ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი მაკროეკონომიკური პრობლემა. მისი დაძლევის გზად კი მიჩნეულია მეცნიერულ-ტექნიკური და სტრუქტურული გარდაქმნები. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რომელსაც გამოვლენის მრავალი ფორმა გააჩნია, წარმოადგენს რეფორმების პერიოდში გარკვეული ხასიათის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გადახლართვის შედეგს. გარდამავალი პერიოდის ქვეყნების საწყისი პირობები ერთმანეთისგან მჭიდროდ განსხვავდებიან. ამგვარი ტიპის განსხვავება გამოხატულებას მაკროეკონომიკური დაუბალანსებლობის ხარისხში პოვებს. ეს კი გამოიხატება საგარეო ვაჭრობის და საბიუჯეტო დეფიციტის, ჭარბი ფულადი მასის, მცირე სავალუტო რეზერვების, საბანკო სისტემაში დანაკარგებისა თუ სახელმწიფო საწარმოებში ზარალის არსებობაში.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმების თანმიმდევრული შემუშავების მიმართ მრავალი მიდგომა არსებობს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის არსებით წინაპირობას და ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს რეფორმის პროცესში წარმოადგენს ფასების რეფორმა. თითოეულ ქვეყანას აქვს დიდი არჩევანი რეფორმების გატარების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი ფაქტობრივი განვითარება დამოკიდებულია უფრო მეტად ქვეყნის შიგნით სასტარტო პირობებზე, საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის ხარისხზე, პოლიტიკურ სტაბილურობასა და პოლიტიკურ მხარდაჭერაზე. გარდამავალი ხანის საწყის სტადიაზე აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს მკაცრი საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რათა შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი, შთაინთქას ჭარბი ლიკვიდობა და შეიზღუდოს საკრედიტო ექსპანსია.

საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე მყოფ იმ ქვეყანებში, სადაც არსებობს მნიშვნელოვანი საფასო გადახრები და ფასებზე სუბსიდიები მშპ-ის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, მაკროეკონომიკური წონასწორობის მისაღწევად აუცილებელია საწყის ეტაპზე დაწესებულ იქნას უფრო რეალური ფასები. ერთდროულად უნდა იქნეს გატარებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის

პოლიტიკა და ფასების რეფორმა. ვინაიდან ამ უკანასკნელის არსებობისთვის საჭირო არის კონკურენტული ბაზარი, რომლის საყრდენს წარმოადგენს კერძო საკუთრება, პირველი რიგის საჭიროებას წარმოადგენს იმას, რომ სახელმწიფომ განახორციელოს მის ხელთ არსებული საწარმოების სწრაფი პრივატიზაცია.

ამასთან აუცილებელია გატარდეს შემოსავლების პოლიტიკა, რათა შეიზღუდოს ხელფასების ზრდა ფასების ზრდის საპასუხოდ. იმის მიხედვით თუ რამდენად იქნება ეფექტიანი სტაბილიზაციური პოლიტიკა ქვეყანაში წარმოიქმნება აუცილებლობა შეიქმნას სოციალური დაცვის სისტემა, რათა დავიცვათ იმ ადამიანების ცხოვრების დონე, ვისზედაც არასასურველ გავლენას მოახდენს ეკონომიკური რეფორმა. რეფორმის ყველაზე მტკივნეულ შედეგად აღიქმება უმუშევრობა. სოციალური დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს დაბალ-შემოსავლიანი მოსახლეობის დაცვა ფასების ზრდის გავლენისაგან.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების არსებითი გამოხატულებაა ფასებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთმომგებიანი ვაჭრობის ლიბერალიზაცია. საბაზრო ეკონომიკაში ფასები მრავალ ამოცანას წყვეტს. საბაზრო ფასები ერთმანეთს უფარდებს რესურსების იშვიათობას, ღირებულებას, მომხმარებლებისა და წარმოების ფაქტორთა მესაკუთრეების გადაწყვეტილებებს. (ბახტაძე 2006: 16) თავის მხრივ, კონკურენცია უზრუნველყოფს რესურსების განთავსების ეფექტიანობას. თავისუფალი ფასწარმოქმნა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. საწყის პერიოდში საბაზრო ფასების მოქმედება სასურველია შავი ბაზრისა და ჩაწოლილი საქონლის აღმოსაფხვრელად, ბაზარზე საქონლის თავისუფალი მოძრაობის შეზღუდვისათვის. სასურველია, რომ ფასებზე კონტროლი მოიხსნას რეფორმის დასაწყის პერიოდში. თავისუფალი ფასები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქონლის დეფიციტის აღმოფხვრისათვის, საქონლისა და მომსახურების ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის. თავისუფალი ფასების დაწესებისთვის, აუცილებელია შეიზღუდოს სახელმწიფო რეგულირება და განვითარდეს კონკურენტული ბაზრები. საბაზრო ფასების თავისუფალ დაწესებასთან მჭიდრო კავშირშია პრივატიზების პროცესიც. თუ სახელმწიფო ფასების დამწესებელია, საწარმოს მმართველი პასუხისმგებლობას იცილებს საწარმოს მომგებიანობაზე, რადგან, ამ დროს,

შეუძლებელია განისაზღვროს წარმოების ეფექტიანობა, ამავდროულად არსებობს თუ არა დარგში მოგების მიღების შესაძლებლობები. საწარმომ რომ მაქსიმალური მოგება მიიღოს, აუცილებელია დაინერგოს ტექნოლოგიური სიახლეები, ხოლო საწარმო რისკზე წავიდეს. ამისათვის მას უნდა ჰქონდეს სტიმული, მეორე მხრივ კი შეეძლოს ფასებზე ზეგავლენის მოხდენა.

გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში დეფიციტი ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. საქონლის დეფიციტი სახელმწიფოს მხრიდან დაბალი ფასების დაწესების პირობებში ვლინდება. შედეგად საბაზრო უწონასწორობას აქვს ადგილი. იმისათვის, რომ საქონელსა თუ მომსახურებაზე დეფიციტი მოიხსნას, უნდა გამოიყენონ გარკვეული ტიპის მეთოდები. ერთ-ერთია ე.წ. „რიგები“. მეთოდის ეს ტიპი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ ევროპის უმრავლეს ქვეყანაში. დეფიციტის მოხსნის სხვა მეთოდებიდან აღსანიშნავია საბარათო სისტემა.

სახელმწიფოს მხრიდან მსხვილი სუბსიდიების გამოყენება დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. ცენტრალური მთავრობის მხრიდან წესდებოდა დაბალი ფასები, რაც ბევრად ჩამორჩებოდა საბაზრო ფასებს. ამავდროულად, გამოიყოფოდა სუბსიდიები იმ საქონელზე, რომელზეც იმ პერიოდში მოთხოვნა არსებობდა. ასეთ დარგებს კი მიეკუთვნებოდა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, საცხოვრებელი ბინები და კვების პროდუქტები. არსებობს შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო საწარმოებისადმი საბაზრო დონესთან შედარებით უფრო დაბალი ფასების დადგენის შედეგია მსხვილი სუბსიდიები და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების არარსებობა. ფასების რეფორმა არ იქნება წარმატებული თუ ბაზრები არ იქნება კონკურენტუნარიანი იმისათვის, რომ ბაზრები იყვნენ კონკურენტულნი, საჭიროა ეროვნული მეურნეობის დარგების დემონოპოლიზაცია. კონკურენციის გაძლიერების ერთ-ერთი საშუალება არის საგარეო ვაჭრობის მეშვეობით საერთაშორისო კონკურენციისთვის ბაზრის გახსნა. რაციონალური ფასების დაწესება შესაძლებელია მსოფლიო ბაზარზე არსებული საქონლისა და მომსახურების ფასებთან მიახლოებით. მათი ამოქმედება კი შესაძლებელია საგარეო ვაჭრობის განვითარების გზით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის პერიოდში ბიუჯეტის შესამცირებლად საჭიროა შთაინთქას ჭარბი ლიკვიდობა და შეიზღუდოს საკრედიტო ექსპანსია. ამ პერიოდში აუცილებელია მოქნილი და ფისკალურ-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. ბიუჯეტის შემცირება შესაძლებელია იმ დონემდე, რომ შენარჩუნდეს ფულის მიწოდება ინფლაციური ემისიის გარეშე. იმ ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს ფასების რეალურ დამახინჯებას და სადაც ფასების სახელმწიფო სუბსიდირება მეკ-ის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, მაკროეკონომიკური წონასწორობის მისაღწევად აუცილებელია, რომ რეფორმის ადრეულ პერიოდში შემოღებულ იქნას რეალური ფასები, რაც უზრუნველყოფს სუბსიდიების ნაწილობრივ შემცირებას, ხოლო რესურსების ეფექტიანი განაწილება შედარებით ეფექტიანი ხდება.

თავდაპირველად აუცილებელია შემოსავლების პოლიტიკის გატარება იმ საწარმოების მიმართ, რათა შეიზღუდოს ხელფასის რეაქცია ფასების ზრდაზე. ეს კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან არ არსებობს საწარმოთა საქმიანობისა და კონკურენციის მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ხელფასის ზრდის შეზღუდვას. საგარეო-ეკონომიკური სექტორისთვის, საგადამხდელო ბალანსის დადებითი სალდოს მისაღწევად რეფორმების დასაწყისში, დიდი ალბათობით მოითხოვს დევალვაცია და ეროვნული ვალუტის რეალური გასაცვლელი კურსის დადგენა, საგარეო ვალის მართვა. სამთავრობო ხარჯების შემცირება ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად, ფულის მიწოდების შეზღუდვა აუცილებლად გამოიწვევს უმუშევრობას. აღნიშნული პრობლემის დასაძლევად კი აუცილებელია ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის შექმნა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ცხოვრების მაღალი დონე.

3.4 გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისთვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო და ფასების პოლიტიკა. როგორც ცნობილია, საფინანსო პოლიტიკის სწორი წარმართვა და ფორმულირება ზეგავლენას ახდენს

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, უმუშევრობის შემცირებასა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე. აქედან გამომდინარე, გარდამავალ პერიოდში, აუცილებელია საფინანსო სისტემისადმი ახლებური მიდგომა, სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსება, ფასების ლიბერალიზაციის და მართვის საკითხების შესწავლა. სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად წყაროს მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს. ამ უკანასკნელს კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაში. თავის მხრივ, საბიუჯეტო ხარჯების ძირითადი მიმართულებები დიდადაა დამოკიდებული მთლიანი შიდა პროდუქტის სამომავლო ფორმირებაზე.

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობაში ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა სახელმწიფო ფინანსების განმტკიცება. ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზაციის მაღალი დონე წარმოადგენს მდგრადი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელების წინაპირობას, რაც მთავრობას აძლევს საშუალებას, განახორციელოს მის მიერვე აღებული ვალდებულებები. გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, როცა ინფლაცია კრიტიკულ დონეს აღწევს, აუცილებელია გატარდეს საბიუჯეტო შემოსულობათა მიმართ დაცვის სხვადასხვა ღონისძიებები. ამის შემდეგ კი საჭიროა შედარებით სიღმისეული რეფორმების გატარება.

საფინანსო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის გამოთანაბრებითი პოლიტიკის განხორციელება. ამას საფუძვლად უნდა დაედოს ტერიტორიული ერთეულების ამა თუ იმ გადასახადების ფორმირებაში მონაწილეობის ხარისხი, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი გადასახადის გაზრდაში მათი როლის ჩახშობა.

იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს საფინანსო რეფორმა, აუცილებელია ბიუჯეტის გრძელვადიანი პროგნოზირება, რათა ჩამოყალიბდეს ფინანსური ფუნქციონირების პერსპექტიული მიმართულებები. ეს კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მიაღწიონ შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობის და სტრუქტურის შესაბამისობას როგორც სახელმწიფოებრივ, ისე რეგიონულ დონეზე. ამგვარი პრინციპების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს შემოსავლების დინამიკის შეფასება, ხოლო აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ხარჯების დასაშვები დონის განსაზღვრა.

სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკის განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ვალის საკითხებს. ამისათვის აუცილებელია, შეიქმნას მართვის როგორც საგარეო, ისე შიდა დავალიანების ეფექტიანი მექანიზმები. საგარეო დავალიანების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს სარგებლობის მიღწევა საგარეო დავალიანებისაგან, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და გადახდისუნარიანობის შენარჩუნება. ეს კი შესაძლებელია იმით, რომ უნდა გაანალიზდეს ურთიერთკავშირი ინვესტიციებს, ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო სესხებს შორის, ხოლო შიგა ვალის მომსახურების და მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სხვადასხვა სახის საკანონმდებლო თუ მეთოდური ხასიათის დოკუმენტების შემუშავება (ბახტაძე 2006: 59).

საფინანსო პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი არის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. გარდამავალ პერიოდში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის ფინანსური სისტემა, საკრედიტო, საბიუჯეტო და ფულადი რესურსების საშუალებით საწარმოთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მექანიზმები. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაცია. იგი უზრუნველყოფს ფულადი მასის ისეთ დინამიკას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება, როგორც ინფლაციური პროცესების შეჩერება, ისე წარმოების განვითარების სტიმულირება.

გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში, საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა საბანკო სისტემას ენიჭება. საბანკო სისტემის რეფორმამ უნდა უზრუნველყოს ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო რეგულირების სამი ძირითადი ინსტრუმენტის, სავალდებულო რეზერვების, რეფინანსირების განაკვეთისა და საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის განხორციელება.

როგორც ცნობილია, სავალდებულო რეზერვებით, ბანკების მიერ თავისუფალი რესურსებით ზემოქმედება მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. სავალდებულო რეზერვების ნორმის გადიდება (შემცირება) ამცირებს (აფართოებს) კომერციული ბანკების სამომავლო პოტენციალს. ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტებს შორის დიდი

მნიშვნელობა აქვს საპროცენტო განაკვეთს. იგი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებისა და დეპოზიტების სარგებლის განაკვეთებს. სარგებლის განაკვეთი კი საფუძვლად საბაზრო განაკვეთს უდევს. ცენტრალური ბანკის მიერ ფინანსური სისტემის რეგულირების კიდეც ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს რეფინანსირება. იგი მიჩნეულია საბანკო სისტემის საკრედიტო დაბანდებებისა და ლიკვიდურობის მოქნილ მექანიზმად.

გარდამავალ პერიოდში საბანკო სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას და ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში საბაზრო ურთიერთობების განვითარებას. თავის მხრივ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფისათვის აუცილებელია საკრედიტო რეგულირების განხორციელება, რადგან იგი წარმოადგენს ზემოქმედების საშუალებას ისეთ ეკონომიკურ პარამეტრებზე, როგორცაა კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, ვალუტის კურსის დონე და ა.შ.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მიერ ბანკების საქმიანობის რეგულირება და მათზე კონტროლის გაძლიერება. ამგვარი რეგულირება გამოიხატება მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დაწესებით. იგი გამოიყენება ბანკის კლიენტების დაცვის მიზნით, ხოლო ბანკებს უნდა გააჩნდეს შედარებით მაღალი პასუხისმგებლობა და შემდგომ სარისკო და ნაკლებეფექტიანი საკრედიტო გარიგებებიდან თავის არიდება.

ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთი აქტუალური საკითხს წარმოადგენს საგადამხდელო ბალანსის რეგულირება. საგადამხდელო ბალანსი, ერთი მხრივ, წარმოადგენს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის საფუძველს, ხოლო მეორე მხრივ, ეფექტიანი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაცია, აუცილებელია საგადამხდელო ბალანსზე ზემოქმედება მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებით, როგორებიც არის ფასები შიდა ბაზარზე, ეროვნული შემოსავალი და დასაქმების დონე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთ წინაპირობას ეფექტიანი ფინანსური სისტემის შექმნა წარმოადგენს. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ორიარუსიანი საბანკო სისტემა არსებობს, რომელიც ცენტრალური და

კომერციული ბანკისგან შედგება. კომერციული ბანკები სპეციალიზირდებიან ისეთი მნიშვნელოვანი დარგების დაფინანსებაზე, როგორც არის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, საგარეო ვაჭრობა და ა.შ.

გარდამავალ პერიოდში საბანკო და საფინანსო სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიზანია: ხელი შეუწყოს დანაზოგების მობილიზაციას, საგადასახდელო მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლებას საფინანსო ინსტრუმენტების გაფართოების გზით; აამაღლოს დეფიციტური რესურსების განაწილების ეფექტიანობა საწარმოების მიხედვით. პირველ ეტაპზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობაში შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება სამეწარმეო სექტორში ფონდების მიზნობრივი განაწილების შესახებ. ამასთან შეიქმნება პირობები, როცა კაპიტალდაბანდებებს აქვთ უპირატესობა სამომხმარებლო ხარჯებთან შედარებით; დადგინდეს საფინანსო დისციპლინა როგორც საწარმოებისთვის, ისე ბანკებისთვის; ამაღლდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობა მთელი საფინანსო სისტემის სრულყოფის გზით (ბახტაძე 2006: 67);

მაღალგანვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები მაღალეფექტიანია, რადგანაც ისინი მოიცავს სხვადასხვა სახის დაწესებულებას, რომლებიც მომხმარებლებს სხვადასხვა სახის მომსახურებას სთავაზობს. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს დანაზოგთა ზრდას. ამგვარ სისტემას სხვადასხვა ინსტრუმენტების ფართო ნაკრები გააჩნიათ, ისეთები, როგორც არის ობლიგაციები, თამასუქები, ვადიანი დეპოზიტები. საფინანსო ინსტიტუტები მოიცავს სხვადასხვა კომპანიებს, ისეთებს, როგორც არის საინვესტიციო ბანკები, კერძო საპენსიო ფონდები და ა.შ.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საფონდო ბირჟები რეფორმირების ადრეულ ეტაპზევე უნდა შეიქმნას, მაგრამ ინფორმაციის შეგროვების არასრულყოფილების გამო, ქვეყნების უმრავლესობას წლები დასჭირდება, ვიდრე ამგვარი ტიპის ბაზრები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

საქართველოში ფინანსური ბაზრის განვითარება თავისებური პრობლემებით ხასიათდება. დღესდღეობით, ძალზე დაბალია ეროვნული წარმოების დონე, ხოლო ეროვნული ეკონომიკა საბაზრო პრინციპებს ნაკლებად ემორჩილებოდა. ფაქტიურად ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი ნაკლებად არის განვითარებული, ახალი

ემისიები თითქმის არ ხდება. შესაბამისად, კაპიტალის ბაზარი სუსტადაა განვითარებული, რის შედეგადაც იგი ვერ აკმაყოფილებს ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნებს.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი სექტორულ ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. საფონდო ბირჟის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, როგორცაა: კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ, კანონი მუნიციპალური და სახელმწიფო ქონების გამიჯვნის შესახებ, ცვლილებების შეტანა საგადასახადო კოდექსში და ა.შ (ბახტაძე 2006: 68).

საფონდო ბაზრის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და დაცულია საფინანსო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: 1) ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობის პრინციპი; 2) სახელმწიფოს მინიმალური ჩარევისა და მაქსიმალური თვითრეგულირების პრინციპი; 3) თანაბარი შესაძლებლობის პრინციპი, რაც გულისხმობს კონკურენციის სტიმულირებას, სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ცალკეული პრივილეგიების აღკვეთას, სახელმწიფოს ორგანოების მიერ საფონდო ბაზრის პროფესიონალ მონაწილეთა საჯარო შეფასებების აკრძალვას (ბახტაძე 2006: 69).

საქართველოში ფინანსური ბაზრის ფორმირებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება. სწორედ რომ კერძო მესაკუთრეებს გააჩნიათ გარიგებათა დადების უნარები, შესაძლებლობები ფინანსურ ბაზრებზე. ამასთან აუცილებელია გარკვეული ტიპის ნორმატიული ბაზის სრულყოფა, მაგალითად კანონში „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონში“. 2007 წლამდე საქართველოს საფონდო ბირჟა დინამიურად ვითარდებოდა და პიკს სწორედ აღნიშნულ პერიოდში მიაღწია. მიუხედავად ამისა, 2007 წლისთვის კანონში შევიდა გარკვეული ტიპის ცვლილებები. მანამდე კანონში არსებობდა ფუნდამენტური ჩანაწერი - „ფასიანი ქაღალდები, რომელიც დაშვებულია სავაჭროდ ბირჟაზე, ანუ საჯარო სივრცეში, შეიძლება ივაჭრებოდეს მხოლოდ ბირჟაზე“ (საუბარია მხოლოდ იმ ფასიან ქაღალდებზე, რომლებიც დაშვებულ იყო ბირჟაზე). ცვლილების შედეგად გაქრა ჩანაწერი „მხოლოდ საფონდო ბირჟაზე.“

ფინანსური რესურსმა, რომელიც საფონდო ბირჟის ამუშავებამდე მხოლოდ ბანკებისკენ მიემართებოდა იპოვა სხვა გზაც და იქ დაიწყო ამ ფულადმა რესურსებმა მუშაობა. ამავე დროს, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორი ხდება ეროვნული ბანკი, რითაც ფაქტიურად შეწყდა სახელმწიფოებრივი მუშაობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე. 2007-2008 წლებში სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში შეტანილი ცვლილებებით აკრძალვეს შეეხო ყველა ფინანსურ ინსტიტუტს გარდა ბანკებისა. გარდა ამისა, იგივე 2007 წელს კომერციული ბანკების შესახებ კანონში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც კომერციულ ბანკებს ეზრდებათ ფუნქციები და ისინი იღებენ ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციასაც კი.

დღესდღეობით, საქართველოს ფინანსურ ბაზარს რიგი თავისებურებანი გააჩნია, რომელთა შორის გამოსაყოფია შემდეგი: მცირე მოცულობები და არალიკვიდურობა; მატერიალური ბაზის, ვაჭრობის, ტექნოლოგიების, რეგულაციური და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, დეპოზიტური და კლირინგული ქსელის განუვითარებლობა, სახელმწიფოს დაბალი მარეგულირებელი როლი; რისკის მაღალი დონე; ეკონომიკის არასტაბილურობა; საინვესტიციო კრიზისი; საბაზრო დეფიციტი და ბაზრის აგრესულობა და ა.შ (ბახტაძე 2006: 69).

თავი 4: საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები და სტრუქტურული ცვლილებები გარდამავალ პერიოდში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაცია განსხვავებული ტრაექტორიით წარიმართა. მსგავსი სასტარტო პირობებიდან ამ ქვეყნებმა, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორის ზეგავლენით, განვითარების განსხვავებულ დონეს მიაღწიეს. საკმარისი დრო გავიდა საიმისოდ, რომ შეფასდეს ტრანსფორმაციის პროცესი, მისი დინამიკა და მახასიათებლები იმის გათვალისწინებით, რა ამოცანები იყო დასახული და რა შედეგები მივიღეთ. საწყის ეტაპზე პოსტსოციალისტური ქვეყნების მოდერნიზაცია, ანუ ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლა, გაიგივებული იყო დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობასთან. თავის მხრივ, ეს, ძირითადად, დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობდა. ამ ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური კომპონენტების გარდა, ტრანზიციას სხვადასხვა, მათ შორის, სოციალური, კულტურული, მენტალური, ღირებულებითი და ა.შ. განზომილებებიც გააჩნდა, რომელთა ერთობლიობამ დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში მოდერნიზაციის განსხვავებული კურსი ჩამოაყალიბა.

ამ თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, გამოიყოს ქვეყანათა ჯგუფებიც, რომლებიც პროგრესის მსგავსი დინამიკით და ტრანსფორმაციის მსგავსი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ნიშნებით ხასიათდება. პირობითად, სამი ამგვარი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება. პირველ ჯგუფს წარმოადგენს “ახალი ევროპის” ის ქვეყნები, რომელთა ტრანსფორმაციის მიმართულება დიდწილად განსაზღვრა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებამ. მეორე ჯგუფში ის ქვეყნები შედიან, სადაც ეკონომიკის ზრდის ფონზე მოდერნიზაციის პროცესი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანას დაშორდა და პოლიტიკურმა სისტემამ ავტორიტარული ხასიათი შეიძინა. ხოლო მესამე ჯგუფში ის ქვეყნები შეიძლება მოვიაზროთ, სადაც დასავლური ვექტორი გამოკვეთილია, როგორც განვითარების ორიენტირი, თუმცა ეკონომიკური განვითარების კურსის მდგრადობა და სტაბილური დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება ტრანზიციის მიმდინარე ეტაპის ამოცანად რჩება.

ამ მხრივ, ოცდახუთწლიანი პერიოდი, შესაძლებელია, პირობითად ორ ნაწილად დაიყოს: 1990 წლიდან 2003 წლამდე და 2003 წლიდან დღემდე. თუ 2003 წლამდე ადგილი ჰქონდა, ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობრივ პოლიტიკას და მკვეთრ ეკონომიკურ რყევებს, 2003 წლის შემდგომ იყო მცდელობა ეკონომიკური პოლიტიკის კონსოლიდაციის, ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და “მოდერნიზაციის” განახლებული და უფრო აქცენტირებული ხედვების გარშემო.

4.1 საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები 1990-2003 წლებში

ოცდახუთი წლის წინათ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, არაეფექტიანი, ცენტრალიზებულად გეგმური მეურნეობიდან გადასულიყო საბაზრო ეკონომიკაზე. საქართველოში ეკონომიკური განვითარება დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საკმაოდ რთული გზით წარიმართა და გარდაქმნების პროცესი, არცთუ იშვიათად, ვერ უზრუნველყოფდა მნიშვნელოვან პროგრესს ეროვნული მეურნეობის სტაბილური განვითარების თვალსაზრისით. 90-იანი წლები იყო ყველაზე რთული პერიოდი, რომელიც დაიწყო ეთნოკონფლიქტებით და სამოქალაქო დაპირისპირებით. ამას ერთვოდა ფინანსური კრიზისიც. მართალია, შემდგომში კრიზისი დაიძლია, მაგრამ გარდაქმნის პროგრამებმა ვერ უზრუნველყო ქვეყნის განვითარება.

საქართველოში, ისევე, როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში, ეკონომიკური გარდაქმნის სტრატეგიული გზა ძირითადად ემყარებოდა ევოლუციური განვითარების მოლოდინს, საბაზრო კანონებთან თანდათანობით ადაპტირებას, რასაც შედარებით ნაკლები რყევები უნდა გამოეწვია. თუმცა, სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, ეკონომიკა საბაზრო შოკში აღმოჩნდა და რადიკალური ცვლილებების გატარება მოითხოვა. სტრატეგიული პროგრამების წარმატებით განხორციელებას ყოველთვის გააჩნდა თანმდევი ეფექტები, რომლებიც თავს იჩენდა განვითარების ყველა ეტაპზე და ტრანზაქციულ ხარჯებს მოითხოვდა. საქართველოში არსებული ეკონომიკური ცოდნა და გამოცდილება ვეღარ განსაზღვრავდა მოსალოდნელი ცვლილებების მთელ სპექტრს და ეკონომიკის

მოულოდნელი სცენარით განვითარება ერთგვარ გამოცდას უწყობდა ხელისუფლებას.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური გარდაქმნების საწყის ეტაპზე განისაზღვრა ეკონომიკის ტრანსფორმაციის ორი გზა: ევოლუციური და ე.წ. “შოკური”. ისინი ემყარებოდა ევოლუციური და რევოლუციური გარდაქმნების შესაძლებლობებს. ორივე მიმართულებას ჰქონდა არგუმენტები. “შოკურ თერაპიას” ძირითადად მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ფასების ლიბერალიზაციისათვის მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად, ხოლო სხვა სფეროებში, მაგალითად, ვაჭრობის, მეწარმეობის და სოციალურ სფეროებში, რეფორმებს უფრო ხანგრძლივი პერიოდით განსაზღვრავდნენ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად ემხრობოდა საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით, “გრადუალურ” გადასვლას. თუმცა, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკა 90-იანი წლების დასაწყისში, პრაქტიკულად, შოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამან მოითხოვა რადიკალური ცვლილებების გატარება. ნეოკლასიკურ ეკონომიკაზე დაფუძნებული რევოლუციური, ე.წ. “შოკური” მიდგომა მოითხოვს ტრანსფორმაციის განხორციელებას ლიბერალიზაციის, სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ტრანსფორმაციის გზით. ევოლუციური მიდგომა ინსტიტუციალიზმსა და პოსტკეინსურ მიდგომებს ეყრდნობა და მოითხოვს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინების გზით, რაც, ფაქტობრივად, მის თანდათანობით ტრანსფორმაციას ითვალისწინებს (Stiglitz: 1996: 9-12).

ქართულ რეალობაში ეკონომიკური პოლიტიკის ნაბიჯები ორივე მიმართულების ერთობლიობას ითვალისწინებდა. რეფორმები ძირითადად მიმართული იყო ლიბერალიზაციის, სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ტრანსფორმაციის განხორციელებისაკენ. ეკონომიკური ლიბერალიზაცია გულისხმობდა: ფასების ლიბერალიზაციას, საწარმოებზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმებას და თავისუფალ საგარეო ვაჭრობას; სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებაში გადაცემას პრივატიზების გზით; მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ფულადი მასის რეგულირებით და საკრედიტო ინსტიტუტების რეფორმირებით.

შიდა და გარე დარტყმების პირდაპირმა ეკონომიკურმა შედეგებმა ფაქტიურად გამორიცხეს მთავრობის ეფექტიანი მუშაობის თითქმის ყველა შესაძლებლობა. ინგრეოდა შემოსავლების სისტემა, კატასტროფულად იზრდებოდა დავალიანებები, რასაც დაერთო ჯერ სწრაფი, ხოლო შემდეგ ჰიპერინფლაცია, რომელმაც სახელმწიფო სექტორის მუშაკთა ხელფასები სიმბოლურად აქცია და მოსახლეობის უმრავლესობა სიდატაკის ზღვარს დაბლა დასცა. 1990-1993 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი საშუალოდ წლიური 28%-ით მცირდებოდა და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით, მოსახლეობის ერთ სულზე იგი 4433 აშშ დოლარიდან 1437 აშშ დოლარამდე შემცირდა. 1995 წლისათვის წარმოება 1990 წლის დონესთან შედარებით 78%-ით შემცირდა, რაც თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა “დიდი დეპრესიის” დროს აშშ-ში წარმოების დაცემის დონეს. ამასთან, თუ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში წარმოების დაცემის პერიოდი საშუალოდ 4 წელი იყო, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მან 7 წელი შეადგინა. როგორც ჩანს, საქართველოში დაცემის პერიოდი იყო შედარებით ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე ღრმა. ამასთან, ეკონომიკამ დიდწილად ჩრდილოვან სექტორში გადაინაცვლა.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან საქართველოში, ფაქტობრივად, ყველაზე გვიან – 1995 წლიდან იწყება მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი მშენებლობა და ეკონომიკის ტრანსფორმაცია. 1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკა გამოდის კრიზისული მდგომარეობიდან, რასაც ხელი შეუწყო ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა. ეკონომიკის ზრდის პიკი იყო 1997 წელი და მშპ-ს ზრდის ტემპმა 10.7% შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2003 წლამდე. შემდგომ ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა და 1998 წელს რუსეთის საფინანსო კრიზისმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკის განვითარება. 1996 წელს საქართველოს მშპ-მ შეადგინა 3,868.5 მლნ ლარი (3,064.6 მლნ აშშ დოლარი), 1999 წელს – 5,668.7 მლნ აშშ ლარი (2,814.1 აშშ დოლარი), 2003 წელს კი – 8,564.1 მლნ ლარი (3,990.8 მლნ აშშ დოლარი) (www.geostat.ge).

ცხრილი 1: გარდამავალი პერიოდის ქვეყნების რეცესია (დაცემა)

(<http://siteresources.worldbank.org/INTTRANSITION/Newsletters/20561622/JanFeb2002.pdf>)

ქვეყნები	წარმოების დაცემის ხანგრძლივობა (1990-1995 წლები)	კუმულატიური წარმოების შემცირება (%)	რეალური მშპ 2000 წ. (1990=100)
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები	4	23	107
პოსტსაბჭოთა ქვეყნები	7	51	63
სომხეთი	4	63	67
აზერბაიჯანი	6	60	55
ბელორუსი	6	35	88
საქართველო	5	78	29
ყაზახეთი	6	41	90
ყირგიზეთი	6	50	66
მოლდოვა	7	63	35
რუსეთი	7	40	64
ტაჯიკეთი	7	50	48
უკრაინა	10	59	43
უზბეკეთი	6	18	95

უკვე ამ პერიოდიდან ჯერ კატასტროფულმა ინფლაციამ გამოიწვია უცხოური ვალუტის, კერძოდ, დოლარის მნიშვნელობის ზრდა საქართველოში, ხოლო შემდგომ კი ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის კვალობაზე მისმა ხვედრითმა წილმა (დოლარიზაციის კოეფიციენტმა) 2003 წლის ბოლოს მიაღწია მაქსიმალურ ნიშნულს – 86%-ს. საქართველოში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ორვალუტიანი ზონა: ეროვნული ვალუტა ემსახურებოდა მიმდინარე გადასახდელებს, მცირე სამეწარმეო გარიგებებსა და სამომხმარებლო ხარჯებს, ხოლო დოლარი – მსხვილ სამეწარმეო გარიგებებსა და სამომხმარებლო ხარჯებს, აგრეთვე საინვესტიციო მიზნებს.

რეალურად ახალჩამოყალიბებული სახელმწიფო ვერ ახერხებდა, უზრუნველყო სახელმწიფო ფინანსების ქმედითობა და ამოელო გადასახადები. სახელმწიფო ბიუჯეტის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში უმნიშვნელო იყო. მან 1995 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 5% შეადგინა, შემდგომ პერიოდში გაიზარდა, თუმცა 12%-ს ვერ გადააჭარბა. 2004 წლამდე ეს იყო ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამდენად, სახელმწიფოს გააჩნდა სუსტი ფინანსური,

ეკონომიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობები საიმისოდ, რომ რაიმე სერიოზული ცვლილება მოეხდინა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

1994-1998 წლებში გატარდა რიგი რეფორმები ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, ცვლილებები განიცადა საბანკო სისტემაში, შემოიღეს ეროვნული ვალუტა – ლარი, დაიწყო მცირე და საშუალო საწარმოების პრივატიზება, განხორციელდა ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ეს იყო ეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების რეფორმა, რომლის მიზანი იყო ჰიპერინფლაციის შეჩერება, ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსება და საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის ინსტიტუციონალური პირობების შექმნა. ამ რეფორმების შემდეგ სწრაფად გაიზარდა ეროვნული შემოსავალი, რაც ქვეყნის შიგნით რეფორმების გატარებასთან ერთად, განპირობებული იყო 1996-1998 წლებში ბაქო-სუფსის და 2003-2005 წლებში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობით. მიუხედავად ამისა, საქართველოს განვითარების დონე არასაკმარისი აღმოჩნდა სოციალური პრობლემების გადასაჭრელად და მსოფლიო ბანკის მონაცემებით, იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთა დღიური შემოსავალი 1.25 აშშ დოლარზე ნაკლები იყო, 1997-2001 წლებში 5.3%-დან 6.0%-მდე გაიზარდა.

1990-1994 წლების ძლიერი დაცემის შემდეგ 1995-1998 წლებში აღმავლობა ხანმოკლე იყო. ამ პერიოდში შედარებით გაიზარდა მოსახლეობის შემოსავლები, ხელფასები, პენსიები, თანდათანობით ამუშავდა მცირე და საშუალო ბიზნესი, შემცირდა უმუშევართა რაოდენობა. 1998-1999 წლებში გლობალური სავალუტო კრიზისის ფონზე ზრდის ტემპები ისევ დაეცა და 2004 წლამდე საქართველო ვითარდებოდა დაბალი ტემპით. თუმცა, თუ საქართველოს ეკონომიკამ 1994 წელს შეადგინა 1990 წლის დონის 18.7%, 2003 წელს იგივე მაჩვენებელი დაახლოებით 73%-ია (World development indicators. World Bank. 2002). საქართველო არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი საგარეო შოკების მიმართ და ვერ აიცილა თავიდან მეზობელი ქვეყნების – რუსეთისა და თურქეთის სავალუტო კრიზისების ზემოქმედება 1998 და 2000 წლებში, რაც შეიძლება მივაწეროთ არათანმიმდევრულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, სანახევრო სტრუქტურულ რეფორმებს და არატრანსპარენტულ საფინანსო სისტემას, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობდა კორუფციის გაძლიერებას. იმისდა მიუხედავად, რომ ქვეყნის საგარეო დამოკიდებულების ხარისხი მაღალი იყო

ხოლო ამავე პერიოდში ქვეყანაში განლაგებული იყო რუსული სამხედრო ბაზები, უკონტროლოდ შემოტანილი გაუფასურებული რუსული რუბლით ხდებოდა დიდი ოდენობით აშშ დოლარის შესყიდვა და რუსეთში გატანა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან რუსეთის იაფფასიანი კონტრაბანდული ტვირთების იმპორტის ზრდამ აშშ დოლარების გადინებას შეუწყო ხელი, საქართველოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის და ხელისუფლების პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში სრულად თუ არა მცირე დოზით მაინც შეეძლო მისი თავიდან აცილება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ჰიპერინფლაცია, სახელმწიფო ბიუჯეტის მცირე შემოსავლები და 1998 წლის ფინანსური კრიზისი წარმოადგენდა.

ინფლაცია. საქართველოში 1990-1995 წლების ჰიპერინფლაციამ საშუალოდ შეადგინა 3310.6%, რის შედეგადაც ცხოვრების დონე ყველგან დაეცა, შემოსავლების განაწილებამ სოციალურად უთანასწორო ხასიათი შეიძინა, უმუშევრობამ კი კულმინაციას მიაღწია. ჰიპერინფლაცია საქართველოში თითქმის სამჯერ აღემატებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინფლაციის საშუალო მაჩვენებელს. შემდგომ პერიოდში იგი მკვეთრად დაეცა, თუმცა კვლავ მაღალი იყო საიმისოდ, რომ დაწყებულიყო სტაბილური განვითარება. 1996-2003 წლებში საშუალო ინფლაციამ შეადგინა 16.0% და კვლავ აფერხებდა კეთილდღეობის ზრდას. ამავე პერიოდში ფასების ლიბერალიზაციამ გაზარდა სავაჭრო ბალანსში საგადასახდლო დეფიციტი ქვეყანაში კონკურენტუნარიანი საქონლის არარსებობის გამო. ვალუტის თავისუფალი კურსის შემოღებამ კი გამოიწვია მკვეთრი დევალვაცია და იმპორტულ საქონელზე ფასების ზრდა. ამასთანავე, კაპიტალის ნაკლებობის შედეგად გაიზარდა სარგებლის განაკვეთები და შეფერხდა კაპიტალდაბანდებები.

სახელმწიფო ბიუჯეტი. წარმოებისა და კაპიტალდაბანდებათა დაცემამ სახელმწიფო საფინანსო სისტემას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. 1992 წელს წარმოებისა და სათანადოდ შემოსავლების ვარდნის კვალდაკვალ - რასაც დასაბეგრი ბაზის რღვევა მოჰყვა - კატასტროფულად დაეცა სახელმწიფო შემოსავლები. მშპ-ში შემოსავლების წილი 1991 წლის 30%-დან 1992 წელს 14%-მდე დაეცა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 2%-დან 34%-მდე გაიზარდა (GEPLAC 1995: 12).

მთავრობამ საბიუჯეტო კრიზისი დროებით მოვლენად მიიჩნია და ამ დეფიციტის დაფარვა საგარეო სესხების საშუალებით სცადა. ხოლო ამ შესაძლებლობის მოსპობისა და კუპონის შემოღების შემდეგ, მთავრობამ საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვა ემისიური კრედიტებით, კუპონის ბეჭვდითა და სხვადასხვა დავალიანების ზრდით განაგრძო. გამალებულმა მონეტარულმა ექსპანსიამ 1993 წლის ბოლოს და 1994 წლის დასაწყისში კიდევ უფრო გააღვივა ჰიპერინფლაციური ცეცხლი, გააღრმავა რა დასაბეგრი ბაზის ნგრევის პროცესი.

მთავარ პრობლემას წარმოადგენდა მთავრობის წინააღმდეგობა, შეემცირებინა ხარჯები, მას შემდეგაც კი, როდესაც სესხების ყველა შესაძლებლობა ამოწურული იყო. როდესაც ხარჯები შემოსავლებს აღემატება, შედეგად მიღებული დეფიციტი შეიძლება დაიფაროს სესხის, უცხოური ვალუტის რეზერვების შემცირების ან ფულის ბეჭვდის მეშვეობით. სახელმწიფოსთვის, რომელსაც დიდი ვალი აქვს, ძნელია სესხის აღება საზღვარგარეთ. გამორიცხული იყო შიდა ვალის აღების ალტერნატივაც: არასახელმწიფო სექტორის შემოსავლებიც ფაქტობრივად ნულს გაუტოლდა, მაგრამ შიდა დანაზოგების არსებობის შემთხვევაშიც კი, სათანადო საფინანსო სისტემის განუვითარებლობა არ მისცემდა საშუალებას მთავრობას სახელმწიფო ობლიგაციის გამოშვების გზით აეღო შიდა სესხი. სახელმწიფო ხარჯების მთავარ ნაწილს სხვადასხვა სახის სუბსიდიები და დახმარებები შეადგენდნენ, რომელთა წილიც ხარჯებში 1993 წლის 57%-დან 1994 წლის 70%-მდე გაიზარდა (GEPLAC 1995: 12). სწორედ ეს ხარჯები ქმნიდნენ ძირითად პრობლემას და ახდენდნენ მთავრობის პარალიზებას დეფიციტის საკითხის განხილვისას. დოტაციებისა და დახმარებების ფართოდ დანერგილი სისტემა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, წარმოქმნის ძლიერ დაინტერესებულ ჯგუფებს, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ თავისი პრივილეგირებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად. იმ დროს, როდესაც მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას შემოსავლების გადანაწილება წარმოადგენს, სუბსიდიებისა და დახმარებების გადახდის ტვირთი გადასახადის გადამხდელებს ეკისრება. თუ დღევანდელი გადამხდელები ამას ვერ ახერხებენ, მაშინ ეს პრობლემა მომავალ გადამხდელებს დააწევს, თუ მოიძებნება მსესხებელი, რომლებიც დეფიციტს დაფარავს. ამ უკანასკნელის შესაძლებლობაც ფაქტიურად გამოირიცხა.

ამავე პერიოდში ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ის, რომ ქვეყანა ნაკლებად ყოფილიყო დამოკიდებული გრანტებზე. გრანტებიდან მიღებულ შემოსავალს ძირითადად წარმოადგენდა კვების პროდუქტებიდან მიღებული თანხები, რაც 1993 წელს სახელმწიფო შემოსავლების 73% შეადგინა, ხოლო 1994 წელს - 45%-მა (GEPLAC 1995: 16). 1995 წლის პირველი ნახევრისთვის ეს წილი 25%-მდე შემცირდა (GEPLAC 1995: 17). 1995 წლის ზამთარში ევროკავშირის მიერ გადარიცხულ იქნა გრანტი, 23 მილიონი ეკიუ გადაირიცხა საპარტნიორი ფონდში, აქედან 10 მილიონი - სოფლის მეურნეობის დაკრედიტებაზე, ხოლო დანარჩენი 13 მილიონი გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც თავის მხრივ ეტაპობრივად მოხმარდა იგივე სოფლის მეურნეობას. თანხების ამგვარი განაწილება წარმოადგენს იმ კომპრომისს, რომელიც მიღწეულ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და ევროკავშირს შორის. საპარტნიორო ფონდისთვის გამოყოფილი სახსრები, არასაბიუჯეტო ფონდების მსგავსად, ზღუდავდა მთავრობის შესაძლებლობას საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგა ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა. გეგმიური ეკონომიკის პირობებში საგადასახადო სისტემა სახელმწიფო საწარმოების მოგებასა და ბრუნვაზე იყო დამოკიდებული. საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველსავე დღიდან საწარმოებს ახალი მოთხოვნები წამოუყენა, რამაც განაპირობა ის, რომ მათი შემოსავლები მკვეთრად შემცირდა და, შესაბამისად, შემცირდა საგადასახადო შემოსავლები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად მოხდა თვისობრივი ცვლილებები საგადასახადო სისტემაში. თუმცა, პირველ ხანებში სიტუაცია მეტად რთული იყო. ამის ერთ-ერთ წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ინფლაცია სწრაფად აუფასურებდა ამოღებულ გადასახადებს.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა გადასახადებისგან თავის არიდების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა. გადასახადებისგან თავის არიდების პრაქტიკა ე.წ. მოჯადოებულ წრეს ქმნის. ის ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის მანკიერ პრაქტიკას ირჩევს, კარგავს მფარველობას ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტებისგან, როგორსაც წარმოადგენს სასამართლო, საბანკო სისტემა. თუ ქვეყანაში ყველა ეკონომიკური სუბიექტი თავს არიდებს გადასახადების გადახდას, ქვეყნის მატერიალური ბაზა გარკვეულწილად იფიტება, სახელმწიფო სუსტდება და

ველარ ახერხებს დამცავი ფუნქციების განხორციელებას, რის შედეგადაც ხსენებულ ნიშას ორგანიზებული დამნაშავეობა და რეკეტი იკავებს, რაც საქართველოში პრაქტიკულად განხორციელდა კიდეც. ხოლო ისეთი საწარმოები, რომლებიც პატიოსნად იხდიან გადასახადებს, დაუცველნი რჩებიან, ამიტომ იძულებულნი ხდებიან მიმართონ ჩრდილოვანი ეკონომიკის პრაქტიკას და გადასახადებს აღარ იხდიან. შედეგად საგადასახადო ბაზა კიდეც უფრო ვიწროვდება და ე.წ. მოჯადობეული წრე საბოლოოდ იკვრება.

1994 წლის ნოემბრიდან ფინანსთა სამინისტრომ შემოიღო ხარჯების აღრიცხვის სისტემა. მოსალოდნელი შემოსავლების გაანგარიშების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრომ დააწესა მკაცრი ლიმიტები სამინისტროებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ. 1995 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების ანაზღაურებას სახელმწიფო ხარჯების 12% მოხმარდა, ხოლო დოტაციების წილი კი 10%-ზე ოდნავ მეტი იყო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ უკანასკნელის წილი 1994 წლის მთლიან ხარჯებში 75%-ს უდრიდა. სახელმწიფო მოხელეთა ხელფასები კი იმდენად დაბალი იყო, რომ ისინი იძულებულნი გახდნენ სხვადასხვა საქმიანობით ყოფილიყვნენ დაკავებულნი, რათა დაეკმაყოფილებინათ ცხოვრების ელემენტარული პირობები. ამან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მთლიანად სახელმწიფო აპარატის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

როგორც ცნობილია, ფულს სამი ფუნქცია გააჩნია. იგი წარმოადგენს გაცვლის საშუალებას, აღრიცხვის ერთეულს და დაგროვების საშუალებას. საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ფულის ეს სამი ფუნქცია სამ ვალუტას შორის იყო გადანაწილებული. ქართული კუპონი (მის შემოღებამდე კი რუსული რუბლი) ოფიციალურ გარიგებებს ასახავდა; რუსული რუბლი გამოიყენებოდა როგორც გაცვლის საშუალება, ხოლო ამერიკული დოლარი კი დაგროვების საშუალება იყო. ამავდროულად ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ე.წ. „ურთიერთობის საშუალებას“ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.

კუპონი ოფიციალურ ვალუტად 1993 წლის აპრილში შემოიღეს, როგორც დროებითი ვალუტა. მისი შემოღების ძირითადი მიზანი იყო ის, რომ რუსეთის ცენტრალური ბანკიდან რუბლის გადმორიცხვა ფერხდებოდა. კუპონის გამოყენების არეალი იყო გაუფასურებული უნაღდო მანეთის გასანაღდებლად, ხოლო

მოგვიანებით სამანეთო ანგარიში გადაყვანილ იქნა საკუპონე ანგარიშად. იმავე 1993 წელს კუპონი გამოაცხადეს ერთადერთ საგადასმდელო ანგარიშად. სინამდვილეში ყველა ოფიციალურ გარიგებაში კვლავ რუსული რუბლი და ამერიკული დოლარი გამოიყენებოდა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე პასუხისმგებელია ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი, ხოლო ფულადი მასის რეგულირებისთვის ორი ძირითადი საშუალება არსებობს: 1) ბრუნვაში არსებული ფულადი ნიშნების რაოდენობა; 2) კომერციული ბანკების საკრედიტო ემისია. როდესაც კუპონი იყო ოფიციალური ვალუტა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს გააჩნდათ ფულადი მასის კონტროლის შეზღუდული საშუალება, ვინაიდან იმ პერიოდში ძირითადად ხმარებაში რუსული რუბლი და ამერიკული დოლარი გამოიყენებოდა, ხოლო მათი ზედამხედველობის ფუნქცია კომერციულ ბანკებზე კიდევ უფრო სუსტად გამოიყურებოდა.

ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ მხოლოდ მიმოქცევაში არსებული კუპონების რაოდენობაზე და მოთხოვნებზე სარეზერვო თანხებისადმი. ფულადი მასების ასეთი ზრდა საბანკო სისტემაში იმთავითვე ინფლაციას იწვევდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ მთავრობას კიდევ უფრო მეტი რაოდენობის კუპონის ემისია უნდა განეხორციელებინა, რომ მოეხდინა იგივე მსყიდველობისუნარიანი თანხების მისაღებად.

თითქმის საბოლოო კრახის წინაშე მდგომმა მთავრობამ დახმარებისთვის საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა და 1994 წლის მეორე ნახევრიდან შეუდგა ე.წ. სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელებას, რომლის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა:

- პირველი - ბიუჯეტის დეფიციტის შეძლებისდაგვარი შემცირება ხარჯების შემცირებისა (სუბსიდიების შეკვეცით) და შემოსავლების ზრდის ხარჯზე;
- მეორე - ამ შემცირებული დეფიციტის დაფინანსება საზღვარგარეთული გრანტებითა და არაინფლაციური კრედიტებით, ძირითადად საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან;

დაბეგვრა, სახელმწიფო შემოსავლები და ხარჯების მართვა ეკონომიკური რეფორმის პროცესის ყველაზე სუსტ კომპონენტს წარმოადგენდა 1996 წლისთვის. ეკონომიკის გამოცოცხლებასთან ერთად, უკვე 1996 წელს, შემოსავლების წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 13.5%-ს მიაღწია. 1996 წლის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენდა 568.856 ათას ლარს, ხარჯები კი 818,017 ათას ლარს (ლიბერალური აკადემია: 2011: გვ.11). შემდგომში მისი წილი მერყეობდა პერიოდულად, მაგრამ 2004 წლამდე ამ მაჩვენებელს არ აღემატებოდა. 2003 დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენდა 1,239,160.0 ათას ლარს, ხარჯები კი 1,478,960.0 ათას ლარს (ლიბერალური აკადემია 2011: გვ. 11). ეს იყო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დსთ-ს მთელ სივრცეში. შედარებისათვის, ამავე პერიოდში ბალტიისპირეთის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 35-37%-ს, ხოლო დსთ-ს საშუალო მაჩვენებელი – 25-30%-ს (Tax Reform in the Baltics, Russia, and other countries of the former Soviet Union, IMF 1999).

1998 წლის ფინანსური კრიზისი. 1998 წლის აგვისტოში კრიზისმა იფეთქა რუსეთში და “დომინოს ეფექტით” ირიბი ზემოქმედება მოახდინა როგორც საქართველოს, ისე სხვა პოსტსაბჭოთა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკაზე. კრიზისის შედეგად ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად დაეცა, ფასები გაიზარდა, შემცირდა განვითარების ტემპი. ამ პერიოდში რუსეთი იყო საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი. მასზე მოდიოდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 15.2%, იმპორტის – 11.4% და ექსპორტის – 34.1%. ეკონომიკური კრიზისის შედეგად გაუარესდა საქართველოს სავაჭრო ბალანსი, გაიზარდა ფასები იმ პროდუქტებზე, რომლებიც ტრადიციულად იმპორტის გზით შემოდიოდა.

რუსეთიდან ”ფინანსური შოკის” ზეგავლენა ძლიერი იყო საქართველოზე, რაც განაპირობა როგორც ეკონომიკური რეფორმების ნაკლოვანებებმა, ისე ეკონომიკური სუბიექტების პესიმისტურმა მოლოდინმა. ეროვნული ვალუტის დევალვაციამ გამოიწვია ინფლაციის ახალი ტალღა, ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის შემცირება, მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება. აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში საბანკო კრიზისი არ დაწყებულა, თუმცა ეკონომიკური მდგომარეობა სწრაფად ვერ გამოსწორდა და ჩამოყალიბდა უძრავობის პერიოდი. ფინანსური კრიზისის შედეგები გამოვლინდა რეალურ სექტორში, ასევე

მნიშვნელოვანი დევალვაცია განიცადა ვალუტამ, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ისედაც სუსტი ეკონომიკა ფაქტობრივად სრულიად მოშლილიყო.

კრიზისის კულმინაციის პერიოდში ლარის კურსი თითქმის 100 პუნქტით დაეცა, საიმპორტო საქონელზე დოლარის კურსის გაძვირებასთან დაკავშირებით ფასები გაიზარდა 1.5-ჯერ. ლარის ყველაზე დაბალი გაცვლითი კურსი დაფიქსირდა 1999 წლის 23 თებერვალს და შეადგინა 1 აშშ დოლარი – 2.4010 ლარი, სამი თვით ადრე, 1998 წლის 23 ოქტომბრისთვის კურსი შეადგენდა 1 აშშ დოლარი – 1.3800 ლარი (შემოდებული იქნა 1995 წლის სექტემბერში, ლარის შემოდების მომენტისთვის დაფიქსირდა გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლარი – 1.3000 ლარის ნიშნულით) (საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.ge). ამავე პროპორციით გაიზარდა ფასები იმ სამამულო საქონელზე, რომლებიც მზადდებოდა შემოტანილი ნედლეულით. ამასთან ერთვოდა საბიუჯეტო შემოსავლების შემცირება, კრიზისი ხელფასებისა და პენსიების გაცემაში, სახელმწიფო ვალის ზრდა და იმპორტის კატასტროფული შემცირება.

ეკონომიკურმა აგენტებმა, თავიანთი შემოსავლების დაცვის მიზნით, ნაცად ხერხს მიმართეს და სავალუტო ბაზარზე ზეწოლის გზით კიდევ უფრო გაამძაფრეს კრიზისი. ამით შეიზღუდა სავალუტო ბაზარი, გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე. ბაზრის შეზღუდვამ, აგენტების პესიმისტურმა მოლოდინმა და რისკის ფაქტორით გამოწვეულმა შიშმა კიდევ უფრო გააღრმავა ლარისადმი უნდობლობა და მისი კურსი კიდევ უფრო დაეცა.

ეროვნული ვალუტისადმი უნდობლობის ფონზე დოლარიზაციის კოეფიციენტის ზრდა უწყვეტად გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც 2004 წლამდე. 1998 წელს მან შეადგინა 69%, 1999 წელს – 79%, 2004 წლის დასაწყისში კულმინაციას მიაღწია და 85% შეადგინა. ამ ნიშნულის ზემოთ მოსახლეობა ყოველდღიური დანახარჯებისათვის (სამომხმარებლო საქონელი და გადასახადები) უკვე ლარს იყენებდა. ეს დინამიკა მიანიშნებს საქართველოში სავალუტო კრიზისის ენდოგენურ მიზეზზე, რაც ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკისადმი ეკონომიკური აგენტების უნდობლობასა და დაპირისპირებაში გამოვლინდა. ხოლო ეგზოგენურად არსებობდა გლობალური სავალუტო-საფინანსო კრიზისის ჯაჭვური რეაქციით გავრცელების რამდენიმე მიზეზი: საქართველოს ჰქონდა ის

ფუნდამენტური პრობლემები, რაც ახასიათებს ტიპურ დაბალგანვითარებულ ეკონომიკას. ეს იყო საბიუჯეტო დეფიციტი, მზარდი სახელმწიფო ვალი, ქვეყნის ეკონომიკის დაბალი მონეტიზაცია, სუსტი საბანკო სისტემა და არასაკმარისი პროგრესი ინსტიტუციურ და სტრუქტურულ რეფორმებში.

ტრანსფორმაცია ქვეყანაში ნელი ტემპით მიმდინარეობდა, საბაზრო მექანიზმები კი სუსტად მუშაობდა. ამასთან, ძლიერი ადმინისტრაციული ჩარევა საბაზრო ინსტიტუტების საქმიანობაში ხელს უშლიდა კერძო სექტორის განვითარებას და ასტიმულირებდა კორუფციასა და ახალი სახელმწიფო ოლიგარქიის ფორმირებას. ამას ემატება უძრაობის, სტაგნაციის ხაზი სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაში, რაც ქმნის სუბიექტების ფსიქოლოგიურ მოლოდინს, რომ კრიზისი განმეორდება. ამისი მაგალითია იგივე უნდობლობა ეროვნული ვალუტისადმი. დაბალი იყო მონეტიზაციის დონე, რაც მეტყველებდა ბანკების შეზღუდულ როლზე. დაზოგვის დაბალი დონის, ნაღდი ანგარიშსწორების მაღალი წილისა და დოლარიზაციის მაღალი კოეფიციენტის პირობებში, ბანკების განვითარება მიმდინარეობდა შეზღუდულ სივრცეში. ამ ფაქტორებთან ერთად დაბალი ინვესტირების დონე აძლიერებდა ეკონომიკის არასტაბილურობას, ხოლო დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი აძლიერებდა საქართველოს დამოკიდებულებას გარეფაქტორებზე, რაც დოლარის დევალვაციის შემთხვევაში უარყოფითად მოქმედებდა ეროვნულ ეკონომიკაზე და საქართველოში წარმოებულ ფასეულობებზე. ეს და სხვა მაჩვენებლები, მართალია, გამოხატავდა საქართველოში არსებულ სუსტ ფინანსურ მდგომარეობას, დინამიკაში ისინი ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდებოდა.

მთლიანობაში, 90-იანი წლებში ეკონომიკა არაერთგვაროვნად განვითარდა. 1998 წლიდან ცნობილი სავალუტო კრიზისის შემდგომ სტრუქტურული რეფორმები შეფერხდა და ეკონომიკური ზრდის ტემპი დაეცა. საქართველოში დაიწყო “უძრაობის პერიოდი,” რომელმაც თითქმის “ვარდების რევოლუციამდე” გასტანა. თუმცა, ქვეყანა მაინც ვითარდებოდა ზომიერად დაბალი ტემპით, საშუალოდ 3-3.5%-ით. ამ პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი სწორედ რომ გარდამავალი პერიოდის “უძრაობაზე” მეტყველებს, ანუ იმაზე, რომ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების მოლოდინის პერიოდში წარმოიშვა

ხელისუფლების მხრიდან კონსერვატორული უმოქმედობა. რეალური ცვლილებები, ფაქტობრივად, აღარ ხორციელდებოდა. ამის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია და გაიზარდა არალეგალური ეკონომიკის მასშტაბი. გაიყინა პენსიები, ხელფასების მოცულობა და, შესაბამისად, გაიზარდა ადამიანების მცირერიცხოვანი ჯგუფის სიმდიდრე, ეს ადამიანები ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ელიტას შეადგენდნენ. საშუალო ხელფასმა შეადგინა საარსებო მინიმუმის მხოლოდ 60-70%, პენსიებმა კი – მისი მეათედი ნაწილი. ამასთან, 1998-2003 წლებში მათი რეალური სიდიდე შემცირდა კიდევ.

მიუხედავად ასეთი განვითარებისა, ქვეყანაში ხორციელდებოდა გარკვეული ინსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც წინააღმდეგობრივად წარიმართებოდა, თუმცა, მთლიანობაში, გზას უკვალავდა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

4.2 ინსტიტუციური ცვლილებები

პრივატიზაცია. საქართველოში 1992 წელს დაწყებული პრივატიზების პროცესი, სხვა მიზნებთან ერთად, მიმართული იყო იმისკენ, რომ სახელმწიფოსაგან გათავისუფლებულიყო ის საწარმოები, რომელთა მართვაც მას არ შეეძლო ეფექტურად. შესაბამისად, მათი შემდგომი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იყო დამატებითი კაპიტალდაბანდებები, რომელიც სახელმწიფოს არ გააჩნდა და არც სესხის სახით შეიძლება ყოფილიყო აღებული.

საწყის ეტაპზე პრივატიზებას დაექვემდებარა მცირე და საშუალო საწარმოები. კანონმდებლობით განისაზღვრა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, ხოლო ე.წ. არასტრატეგიული დანიშნულების ობიექტები დაექვემდებარა განსახელმწიფოებრიობას, რაც მიზნად ისახავდა კონკურენტული ბაზრის შექმნას. მრავალი საწარმო იძულებული იყო, შეეჩერებინა საქმიანობა ხოლო ვადაგადაცილებული დავალიანების მქონე საწარმოების რიცხვი მკვეთრად მატულობდა რამდენიმე მიზეზის გამო: მათ პროდუქციას არ ჰქონდა ბაზარი, საწარმოს ასამუშავებლად არ არსებობდა საკმარისი კაპიტალდაბანდება, ხელმძღვანელობას არ გააჩნდა საბაზრო ეკონომიკის საკმარისი გამოცდილება, საბანკო სისტემა ვერ პასუხობდა ბიზნესის მოთხოვნებს, მათი საპროცენტო

განაკვეთები ხელმიუწვდომელი იყო ბიზნესისათვის და სხვ. 1999 წელს 16 ათასზე მეტი საწარმოს დავალიანებამ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე 338.4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც იმ პერიოდში სახელმწიფო შემოსავლების ნახევარზე მეტს შეადგენდა. 1998 წელს მიღებული იქნა კანონი “საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაციის შესახებ”, რომელმაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი დავალიანებების გადავადებას და ამით, ფაქტობრივად, მოახდინა ზომბი (მკვდარი) ეკონომიკის ფორმირება.

შემდგომ ეტაპზე, 1997 წლიდან, მასობრივ პრივატიზებაში ჩაერთო მთელი მოსახლეობა და დაიწყო მსხვილი საწარმოების პრივატიზება სააქციო საზოგადოებებად მათი გარდაქმნით, თუმცა ეს საწყის ეტაპზე ძირითადად განხორციელდა პოლიტიკური მიზნებით (უმეტესად, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების, USAID და სხვა დონორი ორგანიზაციების კონსულტაციებით) და მისი მიზანი, მოზიდული ყოფილიყო უცხოური ინვესტიციები, ნაკლებად შედეგიანი იყო. ამასთან, როდესაც საკონტროლო პაკეტი იყიდებოდა, ბიუჯეტში შესული თანხები არ ხმარდებოდა კომპანიების რეინვესტირებას, შესაბამისად, ეს საწარმოები რთული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ამასთან, ასეთი სახის კომპანიების მართვის გაუმჭვირვალობის და კადრების ნაკლებობის გამო ვერ ხერხდებოდა შიდა ინვესტორების დაინტერესება, შესაბამისად, გამწვანდა საფონდო ბირჟის ფორმირებაც. აუცილებელი ხდებოდა ასეთი კომპანიების მართვის სტრუქტურის შეცვლა, რასაც, წესით, მნიშვნელოვნად უნდა ამაღლებინა საწარმოების კაპიტალიზაციის დონე, აქციების ლიკვიდურობა და აქციონერთა უფლებების დაცვა. მიუხედავად საწარმოების განსახელმწიფოებრიობისა, ეკონომიკა მხოლოდ უმნიშვნელოდ ვითარდებოდა და საწარმოები განიცდიდნენ ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების და პერსონალის ნაკლებობას. კერძო მესაკუთრეებს არ ჰქონდათ არავითარი გამოცდილება დამოუკიდებელი საწარმოს ფუნქციონირებისათვის. ამიტომ საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა გაჩერდა და ვერ შეძლო საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლა. ის საწარმოები კი, რომლებიც აგრძელებდნენ ფუნქციონირებას, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რესტრუქტურირებული ვალის საფუძველზე “ახერხებდნენ” საქმიანობას და რჩებოდნენ არაკონკურენტუნარიან

საწარმოებად. ამდენად, პრივატიზების პროცესმა ვერ უზრუნველყო ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, თუმცა ინსტიტუციურად საფუძველი ჩაუყარა საბაზრო ეკონომიკის დანერგვას.

ვაჭრობის პირობების ლიბერალიზაცია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისთვისაც დრამატული გამოდგა. სავაჭრო ურთიერთობების გაუარესებამ მნიშვნელოვნად შეცვალა სავაჭრო ბალანსი და მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობა. ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი იზრდებოდა როგორც იმპორტის, განსაკუთრებით საწვავის, ფასების ზრდის ხარჯზე, ასევე მთავარი სავაჭრო პარტნიორებიდან მოთხოვნის შემცირების გამო. საგადასახადო დეფიციტის ზრდის თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ. ახალ, გაუარესებულ პირობებზე მორგება გარდაუვალი გახდა, ხოლო ამ პროცესის შემდგომი გაჭიანურება მომწოდებლებისთვის (ძირითადად თურქმენული გაზის) საკრედიტო დავალიანების გაზრდის ხარჯზე ხდებოდა.

90-იანი წლების დასაწყისში საგარეო დავალიანებების მოცულობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ქვეყნის გადახდისუნარიანობის დონეს. საგარეო ვალის მომსახურეობა მხოლოდ მიმდინარე ანგარიშზე დადებითი ნაზრდით თუ არის შესაძლებელი. იმ პერიოდში ამ პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა სამი მთავარი ეკონომიკური მეთოდის გამოყენება: გაზრდილიყო შემოსავლები ექსპორტიდან; შემცირებულიყო ხარჯები იმპორტიდან; განხორციელებულიყო პირველი ორის კომბინაცია.

საქართველოს ეკონომიკა დიდად იყო დამოკიდებული ენერგომატარებლების იმპორტზე მსოფლიო ფასებთან შედარებით გაცილებით დაბალ ფასებში. შედეგად, დაბალი ფასების მიერ ქვეყნისთვის უფრო მტკივნეული აღმოჩნდა დარტყმა, ვიდრე ის შოკი, რომელიც მსოფლიო ქვეყნებმა მიიღეს XX საუკუნის 70-იან წლებში. 90-იანი წლების დასაწყისში ენერგორესურსების იმპორტზე ფასების შემცირება შეუძლებელი იყო, რადგან ქვეყანაში საწარმოო ინფრასტრუქტურა ძალზე ენერგოტევადი იყო, ხოლო მოსახლეობა გარკვეულწილად შეჩვეული იყო ენერჯის უხვ მოხმარებას. ელექტროენერჯიაზე ნებისმიერი ტიპის სუბსიდირება ახშობდა ენერგეტიკულ ეფექტიანობას, ხოლო სუბსიდიების მოხსნა კი ამცირებდა მოთხოვნას

ელექტროენერჯის იმპორტირებაზე. მოსახლეობის შემოსავლები იმდენად მცირე იყო, რომ ისინი ვერ ახერხებდნენ საწვავისა თუ ელექტროენერჯის საფასურის გადახდას, ხოლო სუბსიდიების გამოყენება კი იმ პერიოდში არსებული პრობლემების მხოლოდ გადიდებას ნიშნავდა.

ვაჭრობის პირობების გაუარესებამ, მოთხოვნისა და მიწოდებისთვის მიყენებულმა დარტყმებმა მნიშვნელოვნად შეცვალა სავაჭრო ბალანსი და ძირითადი პარტნიორები. სავაჭრო დეფიციტი იზრდებოდა როგორც იმპორტის (განსაკუთრებით) საწვავის ფასების ხარჯზე, ასევე საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებში დარჩენი ძველი სავაჭრო პარტნიორებისგან მოთხოვნის შემცირების შედეგად. საგადასახადო დეფიციტის კატასტროფული ზრდის თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნებიდან დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ. ახალ, გაუარესებულ პირობებზე მორგების გარდაუვალობა ნათელი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხდებოდა ამ პროცესის შემდგომი გაჭიანურება მომწოდებლებისთვის (ძირითადად თურქმენეთის გაზის) საკრედიტო დავალიანების გაზრდის ხარჯზე. საგარეო ვალის მოცულობამ გაცილებით გადააჭარბა ქვეყნის გადახდისუნარიანობის დონეს, რის შედეგადაც ეკონომიკას ამ ვალის მომსახურების ისეთი დამატებითი ტვირთი დააწვა, რომლის დაფინანსებაც მიმდინარე ანგარიშის დადებითი ნაზრდით თუ მოხერხდებოდა. როგორც ყოველთვის დეფიციტის დაბალანსების გარეშე წყაროების არარსებობის დროს, არსებობს პრობლემის გადაჭრის სამი გზა: პირველი - გაზრდილი შემოსავლები (ექსპორტიდან); მეორე შემცირებულიყო ხარჯები (იმპორტზე) და მესამე განხორციელებულიყო პირველი ორი ვარიანტის კომბინაცია.

ახალ პირობებში იმპორტის უცვლელი დონის შესანარჩუნებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ექსპორტის გაზრდა. ამ ამოცანის სირთულის ჯეროვნად შეუფასებლობა ყოვლად დაუშვებელი იყო. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ვაჭრობის სტრუქტურაც კი (მიუხედავად მისი უკიდურესად გეგმიური ხასიათისა) ნაწილობრივ ასახავდა საქართველოს კონკურენტუნარიანობას სოფლის მეურნეობასა და ტურიზმის სფეროში. ეს დარგები დღესად რჩება ექსპორტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად. ტრადიციული საექსპორტო დარგები მნიშვნელოვნად დაზარალდა წარმოებისა და კაპიტალდაბანდებათა ვარდნის

შედეგად, ხოლო რაც შეეხება ტურიზმს, მას განსაკუთრებით დიდი დარტყმა მიაყენა ომმა და საერთო არეულობამ. ყოველივე ეს დამატებით პრობლემებს უქმნიდა ექსპორტის განვითარებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის ყველაზე მტკივნეული ეფექტი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მიმართულების ცვლილებაში გამოიხატა. 1996 წლისთვის საქართველო გაცილებით ნაკლებს ვაჭრობდა საბჭოთა კავშირში შეძვალ სახელმწიფოებთან, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოსთან. ასე, განსხვავებით 1992 წლისგან, როდესაც ვაჭრობა მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოსთან ფაქტობრივად ერთნაირი იყო, 1995 წლისთვის დანარჩენ მსოფლიოსთან ვაჭრობის წილმა მთელი საგარეო ვაჭრობის 2/3 შეადგინა. ეს თანაფარდობა თითქმის ერთნაირი იყო ექსპორტშიც და იმპორტშიც, თუმცა იმპორტის ამ სურათს არღვევდა სასურსათო დახმარების დიდი ნაკადი.

საქართველოს წინაშე მდგარ ამოცანას წარმოადგენდა ერთი მხრივ, განვითარებინა ექსპორტი იმ სექტორებში, რომლებიც გარკვეული უპირატესობით გამოირჩევიან და, მეორე მხრივ, სასწრაფოდ განესაზღვრა ის დარგები, რომლებსაც შეეძლოთ კონკურენტუნარიანები გამხდარიყვნენ. ამ მიზნით საჭირო იყო სავაჭრო ნაკადების უკეთესი ფიქსაცია და მათი სათანადო ასახვა მოეხდინა სტატისტიკურ ანგარიშებში. ვაჭრობის აღრიცხვის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა საბაჟო და სააქციზო შემოსავლებს. სატარიფო პოლიტიკის ლიბერალურობის მიუხედავად, არსებობდა უამრავი სატარიფო და სააქციზო გამონაკლისები, რაც ართულებდა მებაჟეთა საქმიანობას და ხშირად აჩენდა გაუმართლებელ უპირატესობებს.

ამ სირთულეების მიუხედავად, საქართველოში ნელა, მაგრამ თანდათანობით ხდებოდა ლიბერალური სავაჭრო რეჟიმისათვის წინაპირობების შექმნა, 1992-1996 წლებში დაიწყო იმპორტზე შეზღუდვების თანდათანობით გაუქმება, ხოლო 1995 წელს გაუქმდა კვოტების სისტემა. თანდათანობით მცირდებოდა ექსპორტირებადი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან აკრძალული საქონლის ჩამონათვალიც.

საქართველოში ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ინსტიტუციური პირობა შექმნა საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ. 1996 წლის 26 ივნისს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მიენიჭა დამკვირვებლის სტატუსი. 1996 წლის

ივლისში საქართველოს მხარემ ოფიციალურად განაცხადა აღნიშნული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღების სურვილი, რაც, ფაქტობრივად, თავისუფალი და ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის ფორმირებისაკენ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი იყო. ვმო-ის გენერალურმა საბჭომ ჩამოაყალიბა წევრი ქვეყნების სამუშაო ჯგუფი საქართველოს გაწევრიანების საკითხზე სამუშაოდ. სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მისაღებად დაწესებული პროცედურის შესაბამისად, 1997 წლის მარტში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) სამდივნოს ოფიციალურად გადაეგზავნა “მემორანდუმი საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ”.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანების პროცესში გატარდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რათა მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის მაქსიმალური ჰარმონიზაცია მსო-ის მოთხოვნებთან. გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება (შენარჩუნდა მხოლოდ მეტად შეზღუდული ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვა). იგივე შეეხო ლიცენზირებას, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ჩამონათვალი და სააქციზო განაკვეთები, იმპორტზე ტარიფის განაკვეთები დაწესდა საბაჟო ღირებულების 12% ან 5%-ის ოდენობით. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით საქართველოში გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, დაწესდა რიგი შეღავათები საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე. ამგვარმა ლიბერალურმა სისტემამ წინაპირობები შექმნა საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად.

1999 წლის 6 ოქტომბერს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურმა საბჭომ მოიწონა სამუშაო ჯგუფის მოხსენება და ხელი მოეწერა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმებაზე საქართველოს მიერთების ოქმს. 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება მოახდინა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების ოქმისა და 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სრულუფლებიანი 137-ე წევრი გახდა. საქართველომ აიღო ვალდებულებები, რომლებიც შეეხებოდა ფართო სპექტრის საკითხებს: სამეწარმეო საქმიანობისა და ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირების, საგადასახადო სისტემას, სტანდარტიზაცია-

სერტიფიკაციის, სანიტარულ და ფიტოსანიტარული ნორმების, სუბსიდიების გამოყენების, ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებსა და ა.შ. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ბმული ტარიფების ცხრილთან მიერთება. იმ სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფები დაფიქსირდა უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე გაწევრიანების მომენტისთვის მოქმედი ტარიფი (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცევტული პროდუქცია, მანქანა-დანადგარები, ზოგიერთი ნედლეული და ა.შ.), საქართველო გაწევრიანების დღიდან ვალდებული იყო, მოქმედი ტარიფი შეესაბამებინა “ბმულის” მოთხოვნებისთვის, დაეწესებინა მისი დონის ან უფრო დაბალი ტარიფი (ბმული ტარიფების ცხრილები წარმოადგენს საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის იმ მაქსიმალური განაკვეთების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენების უფლება აქვს საქართველოს ვმო-ის წევრებისგან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე).

ტარიფთა მაღალი დონეები გაწევრიანებისას შეთანხმდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ალკოჰოლი, ხილის წვენები, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, თამბაქო და ა.შ.), აგრეთვე, მცირე რაოდენობის სამრეწველო პროდუქციაზე (სამშენებლო მასალები, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი და ა.შ.).

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შედეგად აშშ-მ საქართველოს მოუხსნა ე.წ. ჯექსონ-ვენის შესწორების მოქმედება, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შეზღუდვას და მიანიჭა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მუდმივ ბაზაზე, შემდგომ კი – განზოგადებულ პრეფერენციათა სისტემის (GSP) ბენეფიციარის სტატუსი. საქართველომ მიიღო უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი 148 წევრი ქვეყნის ბაზარზე, რაც ნიშნავდა, რომ საქართველოდან იმპორტირებულ საქონელს მათ ბაზარზე ექმნებოდა, სხვა ქვეყნების საქონელთან შედარებით, მსგავსი ხელშეწყობის რეჟიმი. სხვა უპირატესობებთან ერთად, ეს გამოიხატებოდა წევრი ქვეყნების მიერ საიმპორტო ტარიფების შემცირებაშიც.

მიუხედავად ვაჭრობის ლიბერალიზაციისა, აღნიშნულ ინსტიტუციურ ცვლილებებს ეკონომიკაზე თვალსაჩინო ეფექტი არ მოუხდენია. დაბალი ხარისხის საქონელი და მაღალი ხარჯები კვლავინდებურად საქართველოს

არაკონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი იყო, რაც ხელისშემშლელად მოქმედებდა მოსახლეობის კეთილდღეობაზე და იწვევდა სავაჭრო დეფიციტის ზრდას. დეფიციტმა კულმინაციას მიაღწია 1997 წელს და შეადგინა 704 მლნ აშშ დოლარი, რაც 1997 წლის სავაჭრო ბრუნვის (1,108 მლრდ აშშ დოლარი) 63.5%-ს შეადგენდა (http://www.wto.org/english/thewto_e/minist_e/min98_e/mc98_e/st44.pdf).

მართალია, შემდგომ იგი შემცირდა, მაგრამ ძირითადად არა წარმოების განვითარების, არამედ შავი ლითონის ჯართის ექსპორტის ზრდის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი გარემოს ფორმირებას.

ინვესტიციები. ძირითადი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს ეკონომიკის ზრდას, იყო ინვესტიციების დაბალი დონე და არასახარბიელო საინვესტიციო გარემო, რაც თავის მხრივ, განპირობებული იყო კორუფციის მაღალი დონით, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებით გამოწვეული არასტაბილური გარემოთი, ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობით და სხვ.

XX საუკუნის 90-იან წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელო იყო იქამდე, ვიდრე დიდი საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების განხორციელება არ დაიწყო 1997 წლიდან. 1997-98 წლებში ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა შეადგინა მშპ-ს 6.9- 7.3%, მაგრამ შემდგომ ინვესტიციების წილი მკვეთრად დაეცა 2%-მდე. ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2003 წელს გაიზარდა და მან 8.4% შეადგინა (<http://databank.worldbank.org>), რაც განპირობებული იყო ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობით.

თუ კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის მილსადენების მშენებლობას არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა სერიოზული უცხოური ინვესტიციები საქართველოში არ დაბანდებულა. მათი დაბანდება გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან ყველა მნიშვნელოვან შემოსავალს კლანური ჯგუფები აკონტროლებდნენ, ხოლო თუ ვინმე მოიწადინებდა თავისუფალი საბაზრო კანონებით საქმიანობას, ისინი აღმოჩნდებოდნენ კრიმინალების ზემოქმედების ქვეშ. ამდენად, საინვესტიციო გარემო საქართველოში მეტად მძიმე იყო. ამ ვითარების დაძლევა მხოლოდ ჩრდილოვანი ეკონომიკასთან და კორუფციასთან ბრძოლით იყო

შესაძლებელი. ადამიანების მოტაცება, ბიზნესმენების დატერორება, საგადასახადო და მაკონტროლებელი ინსტიტუტების ზეწოლა და ბიზნესის დაკნინებულ მდგომარეობაში ყოფნა იყო საინვესტიციო განვითარების ხელისშემშლელი პირობა.

მთლიანობაში გარდამავალ პერიოდში წარმოიშვა დაპირისპირება არალეგალურად გამდიდრებულ და გაღატაკებულ ფენებს შორის. მათ შუაში იდგა არა საშუალო ფენა, არამედ ხელისუფლება. ის, თავისი ტრადიციული პოლიტიკით, არ უწყობდა ხელს საშუალო ფენის ფორმირებას და გაზრდას, რომელსაც ქვეყნის განვითარებაში გენერატორის როლი უნდა შეესრულებინა. ასეთი ფენის არსებობის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ინტელიგენციის შრომის მნიშვნელოვანი ადგილი საზოგადოებაში, ცოდნისა და განათლების გამოყენება, მაგრამ ეს აუცილებელი პირობები არ ჩამოყალიბებულა.

ეკონომიკის ძირითად სუბიექტებს წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებიც არალეგალურად ქმნიდნენ ეკონომიკურ წესებს. ამ წრეებში ჩაერთვნენ მეწარმეების, ხელისუფლების და შავი სამყაროს წარმომადგენლები. ასეთმა ურთიერთობამ მიიღო ტოტალური ხასიათი და საზოგადოების ფართო ფენები ჩათრეულნი აღმოჩნდნენ კანონისმიღმა დამკვიდრებული წესებით განპირობებულ პრაქტიკაში.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება სპონტანური ძალების კომბინირებული მოქმედებით ხდებოდა და, რამდენადაც არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ინსტიტუციური პირობები სპონტანური ძალების თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას არ იძლეოდა, საბაზრო ინსტიტუტებიც სახელმწიფოს ინტერვენციებით ყალიბდებოდა და წინსვლისა და შეფერხებების (“STOP AND GO”) გზით იმართებოდა.

ქვეყანას სჭირდებოდა ახალი კონცეფცია. ცხადი გახდა, რომ “ვაშინგტონის კონსენსუსის” თეორიამ ამოწურა თავისი თავი და იგი ვეღარ იქნებოდა სტრატეგიული განვითარების იდეოლოგიური საფუძველი. ტრანსფორმაციის განმაზოგადებელი პირობა იყო სახელმწიფოს როლის მნიშვნელობის შემცირება. ცხადია, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები უნდა შემცირებულიყო, მაგრამ სახელმწიფოს გარეშე არც ინსტიტუტების სპონტანური წარმოშობა იქნებოდა დამაკმაყოფილებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლიდან მსოფლიო ბანკმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება გარდამავალი პერიოდის ქვეყნების მიმართ და

ბაზრის ავტომატური რეგულატორის ნაცვლად სახელმწიფოს როლის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. ("Государство в меняющемся мире". Всемирный Банк, 1997). საქართველოს განვითარება მოითხოვდა ახალ მიდგომას, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო შემდგომი სტრატეგიული განვითარება.

საქართველოს უძრაობის მდგომარეობიდან თავის დაღწევა შეეძლო დემოკრატიული კურსის გაძლიერებით, რაც, ფაქტობრივად, ეკონომიკური ლიბერალიზაციის განმტკიცებასთან ერთად, მოითხოვდა სახელმწიფო ინსტიტუტების რადიკალურ ცვლილებასა და ახალი პოლიტიკური დემოკრატიული კურსის ფორმირებას.

4.3 საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები 2003-2013 წლებში

2003 წლის შემდგომ პერიოდში ხელისუფლება დადგა ახალი საშინაო თუ საგარეო გამოწვევების წინაშე. ქვეყანაში დაგროვდა მრავალი მწვავე სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემა. ამ პრობლემებს შორის უნდა გამოიყოს შემდეგი: ენერგეტიკული და საბიუჯეტო კრიზისები და უმუშევრობის მაღალი დონე.

უმთავრესი ამოცანა, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ დასახა, იყო ფინანსური დისციპლინის დამყარება, კანონიერი ეკონომიკური თამაშის წესების აღდგენა, რაც გულისხმობდა ჩრდილოვანი, კლანური სტრუქტურების რღვევას, მათი ძირითადი სუბიექტების მიერ უკანონოდ მითვისებული ქონების კონფისკაციას და გადანაწილებას საზოგადოების ღარიბი სოციალური ფენების სასარგებლოდ. ამ მიზნით განხორციელდა წარსულში რამდენიმე მაღალჩინოსნის დაპატიმრება, მათი ქონების ჩამორთმევა, გადაუხდელი გადასახადების ამოღება. ამ ღონისძიებებს დაექვემდებარნენ ექსპრეზიდენტ შევარდნაძის ოჯახის წევრებიც. ამ გზით ბიუჯეტში რევოლუციის შემდგომი პირველი სამი თვის განმავლობაში შეიტანეს 50 მილიონ აშშ დოლარამდე. პარალელურად განხორციელდა სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, საკანონმდებლო ბაზის შეცვლა, რაც ძირითადად მოიცავდა ლიბერალური საგადასახადო კოდექსის შემოღებას, მაკონტროლებელი ორგანოების შემცირებასა და შეზღუდვას.

ამ ამოცანების განხორციელება ხელისუფლებამ დაიწყო მთავრობის რეორგანიზაციით, რაც ითვალისწინებდა კორუფციიდან მის გათავისუფლებას,

ბიუროკრატის შემცირებას, სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობის ზრდას და მათი შრომის ანაზღაურების გაზრდას. ამ მიზნით შეიცვალა კონსტიტუცია, გაუქმდა ძველი საპრეზიდენტო ხელისუფლებისათვის განკუთვნილი სამსახურები და ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურები.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა საგადასახადო-საბიუჯეტო სექტორში. საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება და საბიუჯეტო-ფინანსური დისციპლინის დამყარება სააკაშვილის ხელისუფლების ძირითად მახასიათებლად და მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა, საბიუჯეტო პროცესი და ფისკალური პოლიტიკა ორმხრივადაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკასთან. ერთი მხრივ, ეს სისტემა წარმოადგენს ხელისუფლების ძირითად ბერკეტს, რათა გაატაროს ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური პოლიტიკა, მეორე მხრივ, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში სარკისებურადაა ასახული ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ტენდენციები.

საგადასახადო რეფორმა. “ვარდების რევოლუციის” შემდგომ ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად საგადასახადო გარემოს ლიბერალიზაცია გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ “ლიბერალიზაციას”, რომელიც უმთავრესად საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულ ცვლილებებში გამოიხატა, თან სდევდა საგადასახადო ადმინისტრირების უკიდურესი გამკაცრება. 2004 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის ბაზას წარმოადგენდა 1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საგადასახადო კოდექსი, აგრეთვე რამდენიმე კანონი, მაგალითად: “საგზაო ფონდის შესახებ”, “საბაჟო კოდექსი” და ა.შ. 1997-2004 წლებში მოქმედ საგადასახადო კოდექსში მრავალი ცვლილება განხორციელდა, ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სრულიად ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2004 წლის 22 დეკემბერს. ძველი საგადასახადო კოდექსის საფუძველზე საქართველოში მოქმედებდა 13 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, 6 ადგილობრივი გადასახადი და 1 საბაჟო გადასახადი, რომელიც რეგულირდებოდა საქართველოს საბაჟო კოდექსით, ანუ სულ 20 გადასახადი.

ახალი საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა 5 საერთო-სახელმწიფოებრივი და 2 ადგილობრივი გადასახადი, რასაც ემატებოდა საბაჟო კოდექსით

რეგულირებული საბაჟო გადასახადი. ანუ გადასახადების რაოდენობა 8-მდე შემცირდა. ახალი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნებოდა: საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი; აქციზი; სოციალური გადასახადი. ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნებოდა: ქონების გადასახადი; სათამაშო ბიზნესის გადასახადი. საბაჟო კოდექსით განსაზღვრული იყო საბაჟო გადასახადი.

ამასთან, ახალი საგადასახადო კოდექსით შეიცვალა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, რომელიც 2005 წლის 1 იანვრამდე იყო პროგრესული შემოსავალთან მიმართებაში – 12%, 15%, 17% და 20%, ხოლო დივიდენდებისთვის და პროცენტებისთვის შეადგენდა 10%-ს, შემოვიდა ერთი პროპორციული განაკვეთი – 12%. დივიდენდის და პროცენტის სახით მიღებულ შემოსავლებზე განაკვეთი უცვლელი დარჩა. არ შეცვლილა არც მოგების გადასახადის განაკვეთი – 20%, დამატებული ღირებულების გადასახადი კი 20%-დან 18%-მდე შემცირდა.

2005-2010 წლებში კვლავ მიმდინარეობდა ცვლილებების განხორციელება საგადასახადო კოდექსში, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი და სანაცვლოდ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25%-მდე გაიზარდა.
- 2007 წლის 1 იანვრიდან საბაჟო გადასახადს საბაჟო კოდექსის ნაცვლად არეგულირებს საგადასახადო კოდექსი.
- 2007 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა სათამაშო ბიზნესის გადასახადი და ის გარდაიქმნა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლად.
- 2009 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25%-იდან შემცირდა 20%-მდე.
- 2008 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის განაკვეთი 20%-დან შემცირდა 15%-მდე.
- 2009 წლის 1 იანვრიდან დივიდენდების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის განაკვეთი 10%-იდან შემცირდა 5%-მდე; პროცენტების სახით მიღებულ შემოსავლებზე 2009 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო განაკვეთი 10%-დან შემცირდა 7.5%-მდე, 2010 წლის 1 იანვრიდან კი – 5%-მდე.

2004 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი მოქმედებდა იქამდე, ვიდრე 2011 წლის 1 იანვარს ძალაში არ შევიდა 2010 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსი. ახალი საგადასახადო კოდექსით დადგინდა 6 გადასახადი, რომელთაგან 5 საერთო-სახელმწიფოებრივია – საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, იმპორტის გადასახადი და ერთი ადგილობრივი – ქონების გადასახადი.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც გადასახადის სახეებსა და განაკვეთებს შეეხო, შედარებით ნაკლებად აისახა საგადასახადო ტვირთის შემცირებაზე: გადასახადების სახეები შემცირდა 20-დან 6-მდე, მაგრამ მიწის გადასახადი, ავტომობილის მფლობელთა გადასახადი რეალურად არ გაუქმებულა და ინტეგრირებული იქნა ქონების გადასახადში. სოციალური გადასახადის გაუქმების პარალელურად საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 12%-დან 25%-მდე და მხოლოდ შემდგომ შემცირდა 20%-მდე, ანუ ცვლილებების იმ ეტაპზე ამ ორი გადასახადის ერთგვარ ინტეგრირებასთან გვექონდა საქმე. ცალკე საკითხია ის, რომ სოციალური გადასახადი სოციალურ შენატანად შეიძლება გარდაქმნილიყო სოციალური სისტემის რეფორმის ფონზე, თუმცა ასეთი რეფორმა არ განხორციელებულა. სათამაშო ბიზნესის გადასახადი გარდაიქმნა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლად. ქონების გადაცემის გადასახადით დაბეგვრის ობიექტი მოექცა საშემოსავლო გადასახადში. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი კი ამავე სახელწოდების მოსაკრებლად გადაიქცა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2004 წლის 1 იანვრამდე არსებული გადასახადის მრავალი სახეობის მიუხედავად, ბიუჯეტში ფისკალური ეფექტი მინიმალური იყო. ძირითადი შემოსავლების მობილიზება, უპირველეს ყოვლისა, არაპირდაპირი გადასახადებიდან (დღგ, აქციზი) და შემდგომ უკვე საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან ხდებოდა. ასე რომ, ამ მხრივაც უშუალოდ საგადასახადო ტვირთის შემცირებაზე გადასახადის რაოდენობის შემცირება ნაკლებად აისახა. შედარებით შემცირდა ტვირთი საკანონმდებლო კუთხით დღგ-ს განაკვეთის 20%-დან 18%-მდე დაწევით და მოგების გადასახადის 20%-დან 15%-მდე შემცირებით. საშემოსავლო გადასახადის კუთხით პროგრესული გადასახადიდან 12%-იან პროპორციულ განაკვეთზე გადასვლა მნიშვნელოვანი

ლიბერალიზაცია იყო. თუმცა შემდგომ მისი განაკვეთის გაზრდამ ჯერ 25%-მდე, შემდგომ 20%-მდე და დაბეგვრის არეალის გაფართოებამ შეასუსტა რეალური საგადასახადო ტვირთის შემცირების ეფექტი. მითუმეტეს, სოციალური გადასახადი (რომელიც გაუქმდა საშემოსავლოს განაკვეთის ზრდასთან ერთად) ძირითადად დაქირავებით მომუშავეებზე ვრცელდებოდა, საშემოსავლო გადასახადის არეალმა კი ყველა ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლები მოიცვა და, გარკვეული მორატორიუმების შემდგომ, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც 12%-დან 20%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი იყო საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის თანდათანობით შემცირება (20%-დან ჯერ 18, ხოლო შემდეგ 15%-მდე). 2008 წლის კრიზისით გამოწვეული პრობლემების გამო ეს პროცესი შეჩერდა და გადასახადი კვლავ 20%-ია. ასევე, საყურადღებოა, რომ რეფორმების პროცესში, საგადასახადო დავებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული იქნა გადასახადის გადამხდელებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟში განხილვა, მაგრამ ამ მუხლის იმპლემენტაციაც ვერ მოესწრო. მუხლი გაუქმდა იმ არგუმენტით, რომ ამით სახელმწიფოს ფისკალური ზიანი მიადგებოდა. ეს ფაქტი ერთგვარი მახასიათებელია მთელი პოსტრევოლუციური საგადასახადო პოლიტიკისა, რამდენადაც კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პარალელურად საგადასახადო ადმინისტრირება მიმდინარეობდა სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების განსაკუთრებული პრესის ფონზე. ამდენად, რეალური საგადასახადო ტვირთი გაცილებით მეტადაა გამოხატული მშპ-თან საგადასახადო შემოსავლების ზრდის დინამიკაში, ვიდრე განაკვეთებთან დაკავშირებულ კალკულაციებში. ქვემოთ განხილული იქნება მშპ-თან მიმართებაში საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტენდენცია, რაც ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ცვლილებაში აისახა.

საბიუჯეტო სფეროს რეფორმა. 2004 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა 2003 წლის 24 აპრილს მიღებული საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობამ. კანონის მიხედვით შემოიღეს უფრო დეტალური და ოპტიმალური საბიუჯეტო კალენდარი, ახლებურად განისაზღვრა ბიუჯეტის

ანგარიშგების პროცედურები და წესები. აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში წარუდგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას.

საბიუჯეტო სისტემის კანონის მიხედვით 2004 წლის დასაწყისიდან სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო პროცესში მონაწილე ყველა მხარჯავი დაწესებულების შემოსულობები, ხოლო აპრილის თვიდან ბიუჯეტის ყველა შემოსულობა ირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე და ხმარდება წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსებას, ანუ მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული შემოსავალი აღარ რჩება მის განკარგულებაში, რის შესაბამისადაც გაუქმდა ე.წ. სპეცსახსრები. აღნიშნულის შესაბამისად სახაზინო სამსახურში დაიხურა საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეციალური შემოსავლების ანგარიშები და ამ ანგარიშებზე რიცხული ნაშთები მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ანგარიშზე.

ბიუჯეტის სტრუქტურასთან დაკავშირებით 2004 წლიდან არსებული ბიუჯეტის შემოსავლითი და გასავლითი მხარის ფორმატი შეიცვალა 2009 წლის 1 იანვარს. 2004-2008 წლებში ბიუჯეტს ჰქონდა ორი მხარე: შემოსულობები და გადასახდელები. შემოსულობები მოიცავდა შემოსავლებს, გრანტებს და სესხებს. შემოსავლები, თავის მხრივ, მოიცავდა საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალურ შემოსავლებს. გადასახდელები მოიცავდა ხარჯებს, დაკრედიტებასა და ვალის ამორტიზაციას. ხარჯები, თავის მხრივ, მოიცავდა მიმდინარე ხარჯებს და კაპიტალურ ხარჯებს. ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და გრანტებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ხარჯებსა და დაკრედიტებას შორის დადებითი სხვაობა წარმოადგენდა ბიუჯეტის პროფიციტს, ხოლო უარყოფითი სხვაობა – დეფიციტს.

2009 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ბიუჯეტის ახალი ფორმატის მიხედვით, შემოსულობები მოიცავს შემოსავლებს, არაფინანსური აქტივების კლებას, ვალდებულებების ზრდას. შემოსავლები, თავის მხრივ, მოიცავს გადასახადებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს. ბიუჯეტის გადასახდელები მოიცავს ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდას და ვალდებულებების კლებას. ხარჯები, თავის მხრივ, მოიცავს შრომის ანაზღაურებას,

საქონელს და მომსახურებას, პროცენტს, სუბსიდიებს, გრანტებს, სოციალურ უზრუნველყოფას, სხვა ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა – ბიუჯეტის მთლიანი სალდო. დადებითი მთლიანი სალდო ბიუჯეტის პროფიციტია, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო – ბიუჯეტის დეფიციტი.

2004 წლის 5 აპრილიდან განხორციელდა უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომლის შესაბამისადაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ეროვნულ ბანკში და მის ფილიალებში დაიხურა შემოსავლების 12500-მდე სატრანზიტო ანგარიში და გაიხსნა სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიში. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საფინანსო რესურსების ოპერატიულ მართვაზე და ქვეყნის საფინანსო სფეროში მოაქცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მობილიზებული ყველა საბიუჯეტო სახსრები, რამაც საფუძველი დაუდო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგიონალური ხაზინის შექმნას და ქვეყანაში ერთიანი საფინანსო წესრიგის დამყარებას.

პრივატიზაცია. 2003 წლის შემდგომ განსაკუთრებული ინტენსივობით წარიმართა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის პროცესი. მთავრობის ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად დაჩქარებული პრივატიზაცია იქცა. პრივატიზაციის საკმაოდ აგრესიული და აქტიური პოლიტიკა საზოგადოების გარკვეული ჯგუფების პროტესტს იწვევდა. პრივატიზაციის პროცესში არ არსებობდა რაიმე ტიპის შეზღუდვები ე.წ. “სტრატეგიული” ობიექტების გასხვისებასთან მიმართებაში. ასევე არ იზღუდებოდა ოფშორული კომპანიებისა და სხვა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიებისთვის საკუთრების გადაცემა. 2003-2010 წლებში 4280 ობიექტის პრივატიზაცია მოხდა, პრივატიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 1.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (ლიბერალური აკადემია 2011: გვ.45). პრივატიზაცია შეეხო როგორც მსხვილ, ისე მცირე საწარმოებს და მიწას.

პრივატიზაციის პროცესში აქცენტი კეთდებოდა, უპირველეს ყოვლისა, ფისკალურ ეფექტზე ანუ პრივატიზაციის გზით საბიუჯეტო შემოსავლების აკუმულირებაზე. პრივატიზაციის პროცესში მთავრობა ხშირად საბაზრო მოთამაშის

ამპლუაში გვევლინებოდა, როდესაც კერძო სექტორისთვის დამახასიათებელი მეთოდებით ცდილობდა, აეწია საპრივატიზაციო ობიექტების ფასი და “სარფიანად” გაეყიდა. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ახალი კერძო მესაკუთრეები ვერ ასრულებდნენ ვალდებულებებს, რაც 2005-2007 წლებში ხშირად იწვევდა უკვე პრივატიზებული ობიექტების მესაკუთრეების ცვლილებას. შესაბამისად, 2008 წლისათვის მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოთა რიცხვი, მსხვილი საწარმოებიდან კი მხოლოდ რამდენიმე (მაგ: რკინიგზა, მაგისტრალური გაზსადენი, ენერგეტიკული ობიექტები) დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში.

პრივატიზაციის პროცესში გატარებულმა პოლიტიკამ, რომელიც არასაწარმოო ობიექტებსაც შეეხებოდა (მაგ. შენობები ქალაქის ცენტრალურ უბნებში), იმ დაჩქარებულ პოლიტიკასთან ერთად, რასაც უცხოელი ინვესტორები და კომერციული ბანკები ატარებდნენ უძრავი ქონებისა და მშენებლობის სფეროში ინექციებით, საბოლოო ჯამში უძრავი ქონების ფასები მნიშვნელოვნად გაზარდა, რაც შენარჩუნდა 2008 წლის აგვისტოს ომამდე. აგვისტოს ომის შემდგომ სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა. კერძოდ, იკლო მოთხოვნამ ასეთ ობიექტებზე, თუმცა ფასები გაცილებით ნაკლები ტემპით დაეცა. აღსანიშნავია, რომ უძრავ ქონებაზე ფასების ზრდას მთავრობა ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების ერთ-ერთ მახასიათებლად განიხილავდა.

პრივატიზაციის პროცესი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებისა და ზრდისთვის, რამდენადაც ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად საპრივატიზაციო ობიექტების შეძენას და მასთან დაკავშირებულ შემდგომ ოპერირებას უკავშირდებოდა. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, პრივატიზაციამ და მასთან დაკავშირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ერთი მხრივ, მშპ-ს ზრდის, მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ფისკალური ეფექტის თვალსაზრისით.

დერეგულაცია. 2004 წლამდე არსებული სხვადასხვა ტიპის რეგულაციები ეკონომიკაში დაბალი ეფექტურობით გამოირჩეოდა. მარეგულირებელი ინსტიტუტები, ფაქტობრივად, ვერ ფუნქციონირებდა და ვერ ასრულებდა საკუთარ ამოცანებს (მაგ. კონკურენციის დაცვა, საქონლის ხარისხისა და უვნებლობის

კონტროლი, მშენებლობის უსაფრთხოება და ა.შ.) და, მეორე მხრივ, კორუფციის მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა, მათ შორის ყოველდღიურ ურთიერთობებში. “ვარდების რევოლუციის” შემდგომი მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა სხვადასხვა ტიპის რეგულირების სისტემების გაუქმება ან მინიმიზება. ასეთი პოლიტიკა ეფუძნებოდა სამ არგუმენტს:

- ეს სისტემები არაეფექტიანია და მაინც ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს;
- მარეგულირებელ ინსტიტუტებში მაღალია კორუფციის დონე და ანტიკორუფციული პოლიტიკის ფარგლებში ასეთი ინსტიტუტები მიუღებელია;
- ეკონომიკის ლიბერალიზაცია გულისხმობს რეგულირების სფეროების და ფორმების შეკვეცას, მათ შორის, ზოგიერთი ტიპის რეგულაციებზე უარის თქმას.

სწორედ აღნიშნული არგუმენტაციის ფარგლებში გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური და მის ნაცვლად ამოქმედდა “თავისუფალი კონკურენციის სააგენტო” მკვეთრად შეზღუდული ფუნქციებით, მთავრობის იმ პოზიციის ფონზე, რომ ანტიმონოპოლიური რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან საერთოდ არ წარმოადგენს აუცილებლობას და ეს ბაზარს უნდა ჰქონდეს მინდობილი.

ამასთან, გაუქმდა სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემები და შესაბამისი ინსტიტუციები, ასევე ის სტრუქტურები, რომლებიც ახორციელებდნენ ტექნიკურ რეგულირებას, სტანდარტიზაციას, ლიცენზიების და ნებართვების გაცემას. საკუთრივ ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა 84%-ით შემცირდა. დღეისათვის ლიცენზიები და ნებართვები შენარჩუნდა მხოლოდ მაღალი რისკის შემცველი პროდუქციისა და მომსახურების, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სპეციფიკური საქმიანობის წარმოებისათვის. ამასთან, გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, დამკვიდრდა “ერთი სარკმლის” და “დუმილი თანხმობის ნიშანიას” პრინციპი. რეფორმის შედეგად მოხდა ნებაყოფლობითი სტანდარტების სისტემაზე გადასვლა და სისტემაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შემცირება, რასაც ხელი უნდა შეეწყოს სამეწარმეო საქმიანობისათვის. ამ პირობებში მეწარმეს საშუალება ეძლეოდა, შეერჩია ქვეყანაში

რეგისტრირებული სტანდარტი თავისი საქმიანობისათვის – აელო ნებისმიერი ქვეყნის ან ნებისმიერი საერთაშორისო ან რეგიონული სტანდარტი და გამოყენებინა საკუთარი საქმიანობისათვის, მეტიც, შეემუშავებინა საკუთარი სტანდარტი ახალი პროდუქციისათვის და დაერეგისტრირებინა ის სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში.

მნიშვნელოვანი დერეგულაცია განხორციელდა შრომის ბაზარზეც. 2006 წელს მიიღეს შრომის ახალი კოდექსი, რომელმაც, ფაქტობრივად, მინიმუმამდე დაიყვანა რეგულირების სფეროები. ამ მხრივ საქართველო მსოფლიოში მოწინავე ადგილზეა ლიბერალური შრომის კანონმდებლობით. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში შრომის კანონმდებლობის ლიბერალურობის კომპონენტში საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებდა 2007-2009 წლებში (<http://www.heritage.org/index/visualize>). ამასთან, საქართველოს შრომის კოდექსი ეწინააღმდეგება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პრინციპებს, ევროპულ სტანდარტებს და ევროპის სოციალურ ქარტიას(Commission of the European Communities, “Implementation of the European Neighbourhood Policy in 2007” Progress Report Georgia, გვ, 11).

მთლიანობაში მთავრობის ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, განსაკუთრებით 2004-2008 წლების პერიოდში, მკვეთრად გადაიხარა “ლიბერტარიანული” მიმართულებით და ცალკეულ შემთხვევაში რიტორიკამ ანარქო-კაპიტალისტური სახე მიიღო, მათ შორის, მოქალაქეთა სხვადასხვა ტიპის უსაფრთხოებების სისტემებზე (მაგ. სურსათის უვნებლობა, ტექნიკური დათვალიერება და ა.შ.) სახელმწიფოს მხრიდან მთლიანად უარის თქმის და საბაზრო სისტემისთვის მინდობის თვალსაზრისით.

საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოში განხორციელდა რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა რეორგანიზაციას, ლიბერალიზაციასა და სავაჭრო რეგულირების გამარტივებას. ეს რეფორმები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 2003 წლის ნოემბრის შემდგომი პერიოდიდან და ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად საქართველოს სავაჭრო საზღვრები კიდევ უფრო გაიხსნა: გამარტივდა ექსპორტ-იმპორტის პროცედურები, შემცირდა გადასახადის განაკვეთი და სახეები, გამარტივდა სატარიფო და არასატარიფო რეგულირება, განხორციელდა

სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიცირება თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებით რეგიონულ და მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან, გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, შემცირდა თავისუფალი კონკურენციის ბარიერები საბაჟოს, ლიცენზირების და ნებართვების, საკუთრების რეგისტრაციის გამარტივებით, შეიცვალა შრომის რეგულირება, გაუმჯობესდა კრედიტებზე ხელმისაწვდომობა. მთავრობის რეფორმები ითვალისწინებდა სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გაუქმებას ვაჭრობაში, კონკურენტუნარიანი საბაზრო პირობების ჩამოყალიბებასა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, საერთაშორისო ვაჭრობის დივერსიფიცირებას, რასაც ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა უნდა გამოეწვია.

საქართველოში თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ფორმირებამ გავლენა მოახდინა ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობაზეც. შეიქმნა გარკვეული სტიმული მათი რესტრუქტურისათვის, რათა მეწარმეებს უფრო ეფექტურად და მოქნილად მოეხდინათ რეაგირება საბაზრო მოთხოვნის ცვლილებებზე. თუმცა, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი თანაბრად სარგებლიანი ვერ აღმოჩნდა ადგილობრივი საწარმოებისათვის. უთანასწორო კონკურენცია განაპირობა იმანაც, რომ ზოგიერთი მთავარი ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა მისდევს პროტექციონისტულ პოლიტიკას. მაგალითად, ცნობილია, რომ თურქეთი არის საქართველოში მარცვლეულის მთავარი იმპორტიორი (უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მარცვლეული შედის ხუთ ძირითად საიმპორტო პროდუქციის რიცხვში). მარცვლეულის წარმოებას ასტიმულირებს თურქეთის მთავრობა ამ დარგის სუბსიდირების გზით. ეს კი აძლევს მას საშუალებას, საქართველოში იაფად გაყიდოს საკუთარი პროდუქცია, რითაც კიდევ უფრო ავიწროვებს თავისთავად არაკონკურენტუნარიან ქართულ აგრარულ პროდუქციას.

იმ პირობებში, როდესაც ქართული ეკონომიკის მწარმოებლური შესაძლებლობები ნაკლებად ვითარდებოდა და მოხმარება იზრდებოდა, თავისუფალმა ვაჭრობამ იმპორტის მოცულობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია და სავაჭრო დეფიციტი გაზარდა (დეტალურად იხილეთ ქვემოთ). თავისუფალმა ვაჭრობამ კიდევ უფრო ნათლად გამოავლინა ქართული ეკონომიკის დაბალი კონკურენტუნარიანობა როგორც აგრარულ, ისე ინდუსტრიულ სექტორებში.


ამასთანავე, თავად ვაჭრობამაც ვერ შექმნა პირობები ამ კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის.

4.4 ძირითადი მაკროეკონომიკური ტენდენციები

მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების პარალელურად, მთავრობის ძალისხმევა მიმართული იყო ეკონომიკაში კორუფციისა და სახელმწიფო ჩარევის რადიკალური შემცირებისკენ, რასაც საინვესტიციო გარემო უნდა გაუმჯობესებინა. 2004-2007 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიური მაჩვენებლის ზრდამ შეადგინა 9.3%. ამასთან, ყველაზე მაღალი ორნიშნულიანი ზრდა დაფიქსირდა 2007 წელს და 12.6% შეადგინა.

ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას 2008 წლამდე შეადგენდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საბანკო სისტემის განვითარება. ცალკე აღებული მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ეკონომიკური განვითარების შეფასებისათვის ნაკლებად გამოსაყენებელია, მითუმეტეს, საქართველოს შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკა სტრუქტურულად არ არის ფორმირებული და მაღალია დეკაპიტალიზაციის ხარისხი. ამ პირობებში “სწრაფი ზრდის ეფექტმა”, შესაძლოა, შეცდომაში შეგვიყვანოს ეკონომიკის განვითარებასთან მიმართებაში.


დიაგრამა 1: საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების და მთლიან მოხმარებაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2003-2013 წლებში (www.geostat.ge)



დიაგრამა 1-ზე მოცემულია საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების და მთლიან მოხმარებაზე გაწეული ხარჯების დინამიკა, რაც აჩვენებს, რომ საბოლოო მოხმარებაზე გაწეული დანახარჯების დინამიკა გაცილებით მზარდი იყო და 2006 წლიდან გადააჭარბა დამატებული ღირებულების ზრდის დინამიკას. ეს დიაგრამა აჩვენებს, რომ ქართული ეკონომიკა მოხმარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის ნიშნებს უფრო ავლენდა და ნაკლებად იზრდებოდა ეკონომიკის მწარმოებლურობის უნარი. 2008-2013 წლებში ინფლაციის პრობლემის წინა პლანზე წარმოჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც ქართული ეკონომიკის ამ მახასიათებელში უნდა ვეძიოთ.

ამასთანავე, საბოლოო მოხმარების ხარჯებში, ძირითადად, მნიშვნელოვნად იზრდებოდა სახელმწიფო სექტორის მოხმარება კერძო სექტორთან შედარებით. ეს ნათლად ჩანს დიაგრამა 2-ზე. აქ ნაჩვენებია სახელმწიფო სექტორისა და შინამეურნეობების ხარჯების ზრდის დინამიკა პროცენტულად წინა წელთან შედარებით. 2004-2008 წლებში მხოლოდ 2006 წელს აღემატებოდა შინამეურნეობების ხარჯების ზრდის დინამიკა სახელმწიფო სექტორისას. სხვა წლებში სურათი საპირისპიროა და მნიშვნელოვანი სხვაობაა სახელმწიფო ხარჯების უპირატესი ზრდის თვალსაზრისით. 2009-2010 წლებში კი ორივე მიმართულებით ზრდის დინამიკა მინიმუმამდეა დაყვანილი და, შესაბამისად, სხვაობებიც ნაკლებად მნიშვნელოვანია. ეს მაჩვენებლები იმის ილუსტრაციაა, რომ სახელმწიფო სექტორის ხარჯები და მისი წვლილი მშპ-ს ზრდაში მთლიანობაში გაცილებით მეტი დინამიზმით ხასიათდებოდა, ვიდრე კერძო სექტორისა.

დიაგრამა 2: შინამეურნეობებისა და სახელმწიფო სექტორის ხარჯების ზრდა წინა წელთან (%)
(www.geostat.ge)



უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო სექტორი არამართო ხარჯების თვალსაზრისით ახდენდა ეკონომიკაზე ზეგავლენას, არამედ, ამავდროულად ამ ხარჯების ერთ-ერთ ძირითად წყაროს საბიუჯეტო-საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენდა.

ანალიზი ცხადყოფს, რომ 2004-2010 წლებში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდის დინამიკა გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე დამატებული ღირებულების ზრდის დინამიკა. ეს ტენდენცია მყარად შენარჩუნებული იყო 2008 წლის ჩათვლით. 2009-2010 პოსტკრიზისულ წლებში მცირდება დამატებული ღირებულების ზრდაც და საგადასახადო შემოსავლების ზრდის დინამიკაც, კერძოდ, 2009 წელს ორივე ეს მაჩვენებელი უარყოფითია, შესაბამისად - 6% და -8%, 2010 წელს კი დამატებული ღირებულება წინა წელთან შედარებით 16%-ით გაიზარდა, საგადასახადო შემოსავლები კი - 11%-ით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო ყოველწლიურად ეკონომიკიდან გადასახადების სახით იღებს გაცილებით მეტს, ვიდრე იზრდება ეკონომიკის მწარმოებლურობის უნარი. ეს კი, ადრე თუ გვიან, ეკონომიკის დამუხრუჭებასაც იწვევს და საბიუჯეტო პრობლემებსაც.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოში 2003 წლის შემდგომი მშპ-ს ზრდის დარგობრივი სტრუქტურა. ცხრილი 1 აჩვენებს საქართველოს მშპ-ს ზრდის სტრუქტურულ თავისებურებებს (2003=100). შესაძლებელია დარგების რამდენიმე უფრო ძირითადი მსხვილი ჯგუფის გამოყოფა. “საფინანსო საქმიანობა” და “ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების” ზრდის ჯაჭვური ინდექსები მაღალი ზრდით ხასიათდება და, შესაბამისად, 490.1% და

362.6%-ია. ეს მიუთითებს ფინანსური სექტორის მასშტაბის მკვეთრ ზრდაზე. მომსახურების სფეროდან აღსანიშნავია “სასტუმროების და რესტორნების” დარგის მკვეთრი ზრდა – 216.7%-ით, რაც მშენებლობასა და ხელისუფლების მხრიდან ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე განსაკუთრებული აქცენტით, ასევე ამ სფეროში ფასების ზრდითაა განპირობებული.

განვითარდა მშენებლობის დარგი და ზრდის ინდექსი შეადგენს 192.2%-ს, რაც უმთავრესად დაკავშირებულია სწორედ საბანკო სექტორის მიერ ამ სფეროში გაცემული კრედიტების მასშტაბის ზრდასთან ანუ უშუალოდ უკავშირდება ზემოაღნიშნული ფინანსური სექტორების ზრდას. ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ “ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა,” რომელთა ზრდის ინდექსიც კიდევ უფრო მაღალია და 292.7%-ს შეადგენს.

“კავშირგაბმულობის” ზრდა – 276.1%-ით უშუალოდ ამ სერვისის მოხმარების მასშტაბის ზრდის შედეგია. ასევე მკვეთრად გაიზარდა “ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი” – 195.0%, რაც, მშენებლობის დარგის მსგავსად, გამოწვეულია საბანკო სექტორის მსხვილი საკრედიტო ინექციებით ამ სექტორში. სამივე დარგის ზრდის დინამიკა საქართველოს ეკონომიკის სამომხმარებლო ორიენტაციამაც განაპირობა.

გადამამუშავებელ მრეწველობაში ზრდა ძირითადად ტრადიციული შავი და ფერადი ლითონური წარმოებისა და ქიმიური წარმოების პროდუქციის ზრდასთანაა დაკავშირებული. ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო 2008 წლამდე და, თავის მხრივ, განპირობებული იყო მსოფლიოში ლითონურ პროდუქციაზე მოთხოვნისა და, შესაბამისად, ფასების ზრდით. განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის დარგების ზრდა კი, უმთავრესად, ამ მიმართულებებით სახელმწიფო დანახარჯების ზრდითაა განპირობებული.

სოფლის მეურნეობის დარგში საგანგაშო შემცირების ტენდენცია ჩამოყალიბდა და მისი ზრდის ჯაჭვური ინდექსი 2003 წელთან შედარებით მხოლოდ 93.7%-ია, ანუ 2004-2013 წლებში შემცირდა 6.3% -ით.

მშპ-ს დარგობრივი ანალიზის სტრუქტურა ავლენს ქართული ეკონომიკის ზრდის გარკვეულ სურათს. ერთი მხრივ, ფინანსურ სექტორთან დაკავშირებული დარგების: უძრავი ქონების, მშენებლობისა და ვაჭრობის სექტორის გამოკვეთილად მაღალი ზრდა ერთიან კონტექსტშია განსახილველი და ის უშუალოდ უკავშირდება საბანკო სექტორის გაფართოებას, და ნაწილობრივ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რაც ქვემოთ იქნება განხილული. მეორე მხრივ, სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი როლი მშპ-ს ზრდაში გამოიხატება განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დახმარებისა და მომსახურების კომუნალური სექტორის განვითარების კუთხით.


ცხრილი 1: მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ჯაჭვური ინდექსები (2003=100%) (www.geostat.ge)

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	100.0	92.1	103.2	91.1	94.1	89.9	84.0	80.6	87.5	84.2	93.7
სამთომშობვეებითი მრეწველობა	100.0	80.1	73.8	87.7	104.1	121.1	133.8	140.4	128.4	136.8	140.6
დამამუშავებელი მრეწველობა	100.0	111.6	127.3	155.6	174.9	173.2	157.0	186.2	211.1	238.9	259.5
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	100.0	96.0	100.9	114.5	123.0	129.6	136.9	141.8	151.9	152.9	160.7
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	100.0	98.4	110.6	113.9	145.7	138.1	137.3	130.6	141.6	137.9	147.3
შენებლობა	100.0	135.9	155.0	168.3	194.4	174.4	167.4	174.9	181.7	214.8	192.2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	100.0	108.2	118.3	141.6	155.5	173.3	145.7	164.3	172.9	185.0	195.0
სასტუმროები და რესტორნები	100.0	103.2	120.9	133.5	148.8	158.1	150.2	169.4	186.0	207.2	216.7
თრანსპორტი	100.0	103.7	107.7	125.9	141.2	128.5	128.0	148.0	158.2	169.2	174.6
ავშირგაბმულობა	100.0	117.0	150.5	170.7	185.4	214.5	207.8	230.1	248.7	273.8	276.1
საფინანსო საქმიანობა	100.0	112.8	172.5	236.1	272.0	275.7	283.2	321.0	398.9	457.9	490.1
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომსახურებისათვის მომსახურების გაწევა	100.0	128.1	141.6	166.2	204.5	213.7	204.4	225.6	253.6	267.1	292.7
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	100.0	100.6	101.5	101.7	107.2	110.6	113.8	116.7	120.0	124.5	128.3
სახელმწიფო მმართველობა	100.0	109.7	102.8	100.4	116.4	128.7	129.8	131.0	135.3	139.8	142.8
ანათლება	100.0	101.8	115.9	129.8	142.2	162.1	169.4	174.8	179.6	185.2	189.6
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	100.0	104.2	112.1	129.4	143.4	153.2	166.4	171.2	173.4	178.4	178.4
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	100.0	106.5	126.0	135.0	167.2	168.7	146.0	162.2	176.4	188.9	192.0
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	100.0	101.1	129.6	138.5	148.5	158.0	162.3	178.0	205.2	219.0	217.6
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	100.0	92.1	145.1	123.4	178.5	220.7	221.2	244.3	294.9	325.0	362.6
მშპ საბაზისო ფასებში	100.0	105.6	116.6	127.8	142.8	147.0	140.8	150.9	160.9	170.9	177.3
გადასახადები პროდუქციაზე	100.0	108.3	109.5	117.2	137.9	139.3	138.5	139.0	154.1	165.2	167.0
სუბსიდიები პროდუქციაზე	100.0	99.2	99.7	88.8	94.6	102.6	106.7	111.2	121.1	120.5	137.6
მშპ საბაზრო ფასებში	100.0	105.9	116.0	126.9	142.9	146.6	141.1	149.9	160.6	170.9	176.6
მშპ დეფლატორი	100.0	108.4	117.0	126.9	138.9	151.9	148.8	161.6	177.0	178.8	177.5

4.4.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2004 წლიდან საქართველოში საინვესტიციო ნაკადების მკვეთრი ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა. ამ ტენდენციას ძირითადად განაპირობებდა შედარებითი ფისკალური სტაბილურობა, ლიბერალური ეკონომიკური კურსი და ქვეყნის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო დონეზე განხორციელებული მასობრივი პიარ-კამპანიები. საინვესტიციო აქტივობის თვალსაზრისით, სიტუაცია გარკვეულწილად უარყოფითად იცვლება 2007-2008 წლებიდან. გარდა ამისა, მოხდა “ვარდების რევოლუციამდე” მიღებული უკანონო შემოსავლების ლეგალურ ჩარჩოში მოქცევა. ამ ფულის დიდი ნაწილი ინვესტირებული იქნა სამშენებლო, ფინანსურ სფეროებში და ტელეკომუნიკაციებში, რამაც, თავის მხრივ, პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა მშპ-ს ზრდაზე.

დიაგრამა 3: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (www.geostat.ge)




მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ნახტომისებური ზრდა მოხდა 2006 წელს და მან შეადგინა 1190,4 ათასი აშშ დოლარი, 2007 წელს კი ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში და შეადგინა 2014,8 ათასი აშშ დოლარი. 2008 წელს დაიწყო ინვესტიციების შემცირება, განსაკუთრებით მე-3 და მე-4 კვარტალში, ანუ მსოფლიო კრიზისისა და საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომის შემდგომ. თუმცა, წლიურმა ინვესტიციებმა

მაინც სოლიდურ ნიშნულს მიაღწია და შეადგინა 1563,0 ათასი აშშ დოლარი. 2009 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა 658,4 მლნ. ლარი შეადგინა, თუმცა 2010-2013 წლებში იგი ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა პრეკრიზისულ დონეს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-თან მიმართებაშიც იზრდებოდა 2005-2007 წლებში: 2007 წელს მშპ-ს 19,8% იყო, 2008 წელს კი შემცირდა და 12,2% შეადგინა. 2009-2013 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-თან მიმართებაში 5-7%-ის ფარგლებში მერყეობს და ამ მაჩვენებლით ვერ ცდება 2004-2005 წლების დონეს.

დიაგრამა 4: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-ში (www.geostat.ge)



ინვესტიციების სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით აჩვენებს, რომ ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სფეროებზე მუდმივად ინვესტიციების უდიდესი წილი მოდის, საშუალოდ, მეხუთედი, ხოლო სოფლის მეურნეობაში კი ინვესტიციების წილი უმცირესია და საშუალოდ 1-2%-ს შეადგენს. ენერგეტიკაში ინვესტიციების წილი მაღალი იყო 2007-2008 წლებში, შემდგომ 2009-2010 წლებში მკვეთრად დაეცა, 2013 წლის კი კვლავ გაიზარდა და მთლიანი ინვესტიციების 25.98%-ს მიაღწია. მაღალია ინვესტიციების მოცულობა მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში. სასტუმროებისა და რესტორნების

სექტორში სხვადასხვა წლებში ინვესტიციების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, თუმცა იგი იკლებს 2009-2010 წლებში. უძრავი ქონების სექტორში კი ინვესტიციების წილი განსაკუთრებით 2008 წლიდან გაიზარდა. მერყევა ინვესტიციების მაჩვენებელი მშენებლობაში: 2009 წელს 16% 2010 წელს მკვეთრად დაეცა (0,6%-მდე) და 2013 წელს კვლავ გაიზარდა 5.29%-მდე.

ინვესტიციების მთლიანი და სექტორული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გამოვკვეთოთ შემდეგი:

- უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებსა და მშპ-ს ზრდის დარგობრივ სტრუქტურას შორის მნიშვნელოვანი კორელაცია არსებობს. ამასთან, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები მშპ-ს ზრდის ერთ-ერთ ძირითად მდგენელად უნდა იქნას განხილული.

ცხრილი 2: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორულ კრილში 2007-2013 წლებში (%) (www.geostat.ge)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	0.77	0.50	3.39	1.06	1.33	1.77	1.26
სამთომოპოვებითი მრეწველობა	4.28	1.16	2.28	6.56	3.60	0.53	4.64
დამამუშავებელი მრეწველობა	15.49	12.04	18.95	21.53	10.77	18.42	10.59
ენერჯეტიკა	18.00	18.85	-0.32	2.69	18.25	19.68	25.98
მშენებლობა	8.53	3.63	15.98	0.58	4.31	4.59	5.29
სასტუმროები და რესტორნები	12.01	11.63	5.70	2.10	2.03	1.94	-1.42
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	20.68	27.03	14.95	26.41	11.32	7.99	14.87
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0.02	0.04	0.04	0.15	1.51	1.93	0.08
უძრავი ქონება	1.52	17.76	22.39	14.64	20.12	5.79	4.49
საფინანსო სექტორი	7.83	0.70	7.54	13.19	15.01	17.83	17.66
დანარჩენი სექტორები	10.87	6.66	9.09	11.10	11.74	19.53	16.54

- ცალკეულ სექტორებში მკვეთრი ცვლილებები ინვესტიციების მოცულობასა და ინვესტიციების სექტორულ სტრუქტურებს შორის წლების მიხედვით მიუთითებს ეკონომიკური ზრდის სიმყიფესა და არამდგრადობაზე.
- ინვესტიციების დინამიკა მნიშვნელოვნად უკავშირდება პრივატიზაციის პროცესს, მათ შორის, როგორც უშუალოდ პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს, ისე პრივატიზაციის შემდგომ განხორციელებულ “ინექციებს” შესაბამის ობიექტებში. ერთი მხრივ, ამ ტიპის ინვესტიციები ხშირ შემთხვევაში აქტივების მესაკუთრის შეცვლას უკავშირდება და არ იწვევს ახალი მწარმოებლური აქტივების ფორმირებას. მეორე მხრივ,

პრივატიზაციასთან დაკავშირებული ინვესტიციების ზრდის რესურსი თანდათანობით მცირდება და ცალკეულ წლებში ამგვარი ინვესტიციების მაჩვენებლის ნახტომისებური ზრდა არასრულყოფილად ასახავს ეკონომიკის ზრდის შიდარესურსული პოტენციალის რეალურ სურათს.

4.4.2 საქართველოს საგარეო ვალი

საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარდა, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა საგარეო ფინანსური ნაკადები, რომელიც საგარეო ვალის ზრდით და უცხოეთიდან ფულადი ტრანსფერების ფორმით შემოედინებოდა. მთლიანი საგარეო ვალი მოიცავს როგორც სამთავრობო სექტორისა და ეროვნული ბანკის ვალს, ისე კერძო სუბიექტების, მათ შორის, ფინანსური ინსტიტუტების და საწარმოების დავალიანებებსაც.

საზოგადოდ, ქვეყნისთვის ვალის აღება იმ შემთხვევაში არის გამართლებული თუ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა საკმაოდ მაღალია, ხოლო აქედან გამომდინარე, სწრაფად იზრდება ექსპორტიდან შემოსავალი. ყველაფერი ეს უზრუნველყოფს ექსპორტიდან მიღებულ უცხოური ვალუტის შემოსავალს, რის ხარჯზეც არის შესაძლებელი საგარეო დავალიანების საპროცენტო გადასახდელები და ძირითადი თანხის დაფარვა. იმ შემთხვევაში, თუ გადასახდელები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე შემოსავალი უცხოურ ვალუტაში, მაშინ წარმოიქმნება საგადასახდელო ბალანსისა და საბიუჯეტო პრობლემები.


საქართველოს მიერ მიღებული კრედიტები სამ ნაწილად იყოფა: **ტექნიკური კრედიტი** - რომელსაც საფუძვლად დაედო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება; **სასაქონლო კრედიტები** - წარმოიქმნა მოწოდებული პროდუქციის შედეგად; **სარეაბილიტაციო კრედიტები** - მიმართული იყო ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის რეაბილიტაციისთვის.

მთლიანი საგარეო ვალი 2004-2013 წლებში თითქმის გაოთხმაგდა და 2004 წელს 3050926.2 ათასი აშშ დოლარიდან 2013 წელს 13179857.2 ათას აშშ დოლარამდე გაიზარდა. მთლიანი საგარეო ვალის ზრდის დინამიკა მნიშვნელოვანია, რამდენადაც

უცხოური, შესაბამისი ვალდებულებებით დატვირთული ფინანსური ნაკადები წარმოადგენს ქვეყნის მშპ-ს ზრდის ერთ-ერთ ძირითად წყაროს.

ამავდროულად, ცალკე უნდა აღვნიშნოთ მთლიანი საგარეო ვალის ის კომპონენტი, რომელიც სახელმწიფო სექტორის მიერ იქნა აღებული. ამ მხრივ, სამთავრობო სექტორის და ეროვნული ბანკის ხაზით ჯამური დავალიანება 2006 წლის დასაწყისისთვის წარმოადგენდა 1,893,835.2 ათას აშშ დოლარს, 2013 წლისთვის კი გაიზარდა 4,523,210.4 ათას აშშ დოლარამდე.

დიაგრამა 5: საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა 2003-2013 წლებში (მლნ. ლარი) (www.nbg.ge)



4.4.3 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

2008 წლის აგვისტოს ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე გამოიკვეთა ეკონომიკური კრიზისის “ქართული ვერსიის” მახასიათებლები. ეკონომიკის დაცემის მიზეზებიდან უნდა გამოვყოთ საგარეო ფაქტორები, როგორებიცაა რუსეთთან ჯერ გართულებული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები, შემდგომ 2008 წლის აგვისტოს ომი და გლობალური ფინანსური კრიზისი და ყველა ის საშინაო ფაქტორი, რაც ინფლაციას წარმოშობდა.

2008 წლის მეორე ნახევარში ქვეყანა შევიდა რეცესიის ფაზაში. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი მძიმე შედეგებით დამთავრდა. ქვეყანამ განიცადა დიდი პირდაპირი ეკონომიკური ზარალი და აისახა ზრდის მაჩვენებლის მკვეთრ შემცირებაში. 2008 წელს მშპ-ს ზრდამ მხოლოდ 2.1% შეადგინა, მაშინ, როდესაც 2007 წელს ეს ციფრი 12.3% იყო. ომს მოჰყვა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზიანი და სერიოზული სოციალური პრობლემები.

ამასთან, თანმხვედრი გლობალური ფინანსური კრიზისი ეკონომიკის დაცემის მეორე ძირითად მიზეზად იქცა. დასავლეთის კომპანიებმა შეწყვიტეს საქართველოს ბანკებისთვის კრედიტების გაცემა, რამაც წარმოშვა ლიკვიდურობის მწვავე უკმარისობა. ამ მოვლენებს მოჰყვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მკვეთრი შემცირება საქართველოს ეკონომიკაში. 2009 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 180 დოლარი, ხოლო 2010 წელს კიდევ უფრო ნაკლები – 125 დოლარი, რაც თითქმის სამჯერ ნაკლებია 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2009 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ორჯერ შემცირდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 658.4 მლნ დოლარი, 2010 წელს კი კიდევ უფრო ნაკლები – 553.1 მლნ დოლარი. ამასთან, საბანკო სესხები 2009 წელს წინა პერიოდთან შედარებით 13.5%-ით შემცირდა.

ქვეყნის ფისკალური და სავალო პოზიცია გაუარესდა. 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი შემცირდა 10.9%-ით და ბიუჯეტის დეფიციტმა მიაღწია მშპ-ს 9.9%-ს, საგარეო ვალი კი 2008 წელს მშპ-ს 19.3%-დან გაიზარდა 2010 წელს 27.9%-მდე. 2008 წლამდე ქართული ეკონომიკის ზრდის თავისებურებებმა ის მოწყვლადი გახადა. შესაბამისად, 2008 წლის მეორე ნახევრიდან ქვეყანა დიდი ალბათობით კიდევ უფრო მწვავე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდებოდა, რომ არა ის მხარდაჭერა, რომელიც საქართველომ მიიღო დონორებისგან აგვისტოს ომის შემდგომ.

2008 წლის ოქტომბერში ერთობლივ კონფერენციაზე ბრიუსელში 38 ქვეყნის და 15 საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ საქართველოს გამოუყო 4.5 მლრდ დოლარის დახმარება, საიდანაც 2.0 მლრდ დოლარი წარმოადგენდა გრანტებს და 2.550 მლრდ დოლარი – სესხებს. ეს დახმარება გამიზნული იყო პოსტკონფლიქტური ეკონომიკის რეაბილიტაციისათვის 2008-2010 წლებში. ამასთან, მან მნიშვნელოვნად შეარბილა გლობალური ფინანსური კრიზისის ზემოქმედება

საქართველოზე, რის შედეგადაც ქვეყანაში ეკონომიკური დაცემა შედარებით უმტკივნეულოდ წარიმართა.

კიდევ ერთი სერიოზული გამოწვევა იყო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. საქართველოს მზარდი სავაჭრო დეფიციტი ბალანსდებოდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციებით და ტრანსფერებით. 2008 წლის მეორე ნახევრიდან ამ დამაბალანსებელი საშუალებების შეკვეცამ შექმნა პრობლემა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თვალსაზრისით, რაც უშუალოდ აისახა გაცვლით კურსზე. თუმცა, ეროვნული ბანკის რეზერვების შევსებამ სავალუტო ფონდის რეზერვებით 2008 წლის შემდგომ შექმნა ლარის კურსის შენარჩუნების შესაძლებლობა.

2004-2008 წლებში ქვეყნის ეკონომიკის ორიენტაცია მოხმარების ზრდაზე უკვე ქმნიდა წანამძღვრებს ინფლაციის პრობლემისათვის. 2008 წლის შემდგომ, კრიზისის დასაძლევად სახელმწიფოს მიერ საჯარო ხარჯების კიდევ უფრო გასაფართოებლად საბიუჯეტო დეფიციტის ზრდა იქნა გამოყენებული. ამასთან, დონორთა საგრანტო და საკრედიტო დახმარების ასახვამ ხარჯების გაფართოებაზე კიდევ უფრო წინა პლანზე წამოსწია ინფლაციის პრობლემა, სამთავრობო პროგრამებში სწორედ ამ პერიოდიდან ხდება ინფლაციაზე აქცენტირება.

4.4.4 ინფლაცია და გაცვლითი კურსი

ინფლაცია გამოიკვეთა, როგორც 2004 წლის შემდგომი პერიოდის ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა. 2004 წლიდან, მას შემდეგ, რაც ეკონომიკური გარემო გახდა უფრო აქტიური და დინამიკური, ინფლაცია იზრდებოდა. 2000-2003 წელს წლიური მშპ-ს ზრდა შეადგენდა საშუალოდ 4%-ს, ხოლო საშუალო წლიური ინფლაციის ზრდა კი 3.5% იყო. იმ პერიოდის რეალობის გათვალისწინებით ეს იყო ეკონომიკური სტაგნაციის მკაფიო ინდიკატორი.

2004-2007 წლებში მშპ-ს საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 9.3%-ს, საშუალო წლიური ინფლაცია გაიზარდა 11.1%-მდე. შესაბამისად, ამ პერიოდში 2000-2003 წლის მაჩვენებელს მშპ-ს ზრდა ორჯერ, ხოლო ინფლაციის ზრდა – სამჯერ აღემატებოდა. 2008 წელს ენერგეტიკის სფეროში ფასების ზრდისა და ფინანსური კრიზისის გამო, ინფლაციის ოფიციალურმა დონემ 5.5% შეადგინა, 2009 წელს კი იგი 3.0%-მდე შემცირდა. ეს იყო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი “ვარდების რევოლუციის” შემდეგ.

2010 წელს წლიურმა ინფლაციამ გადააჭარბა 11.2%-ს, რაც გამოწვეული იყო მსოფლიოში ფასების ზრდით და ცუდი კლიმატური პირობების შედეგად მოსავლიანობის შემცირებით.

შესაბამისად, ინფლაცია მნიშვნელოვნად იზრდებოდა, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა:

1. გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო და გაიზარდა ტრანსფერები. 2004-2007 წლებში ფართომასშტაბიანმა პრივატიზაციამ და საზღვარგარეთიდან ტრანსფერების რადიკალურმა ზრდამ მნიშვნელოვნად, 25%-ით, გადააჭარბა მშპ-ს ზრდას. აქედან გამომდინარე, მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე განუხრელად იზრდებოდა და მოითხოვდა ფინანსურ ბაზრებზე ფულის მიწოდების ზრდას, რაც თავის მხრივ, ქმნიდა ინფლაციის ზრდის პირობებს. ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფაც ასევე ქმნიდა გარკვეულ საშიშროებას. საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას არჩევანის წინაშე იდგა: მას ან უნდა შეენარჩუნებინა ინფლაცია სასურველ დონეზე ან უნდა უზრუნველყო გაცვლითი კურსის სტაბილურობა. ეროვნულმა ბანკმა არჩევანი ამ უკანასკნელზე გააკეთა. უცხოური ვალუტის ჭარბი შემოდინების პირობებში, ეროვნული ვალუტის გამყარებასთან ერთად ხდებოდა ინფლაციის ზრდა.
2. 2004-2007 წლებში 2000-2003 წლებთან შედარებით საბიუჯეტო შემოსავლები გაიზარდა ექვსჯერ. ამან საშუალება მისცა ქვეყანას, დაეფარა ადრე დაგროვილი შიდა ვალები და გაეზარდა ხელფასები და პენსიები. ამის შედეგად გაიზარდა მოთხოვნა სამომხმარებლო ბაზარზე, რაც ინფლაციის ზრდის ფაქტორი გახდა.
3. 2004-2006 წლებში საჯარო სექტორში ხელფასები გაიზარდა 67%-ით, ხოლო კერძო სექტორის ზოგიერთ დარგში – საშუალოდ 208%-ით. ამგვარად, იქმნებოდა ინფლაციის პირობები.
4. ამას დაემატა საერთაშორისო ფაქტორებიც, კერძოდ: საერთაშორისო ბაზრებზე ენერგორესურსების ღირებულების ზრდა, ამერიკული დოლარის ღირებულების შემცირება და ინფლაციის ზრდა საქართველოს ძირითად

სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში: აზერბაიჯანში, რუსეთში, თურქეთსა და უკრაინაში, სადაც ინფლაცია საშუალოდ 10%-ით გაიზარდა.

5. ინფლაციის ზრდის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკა წარმოადგენდა, კერძოდ, საბიუჯეტო დეფიციტი, რომელიც მკვეთრად გაიზარდა 2009-2010 წლებში წინა წლებთან შედარებით და შესაბამისად -1,196,966 ათასი ლარი და -918.60 ათასი ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ფულის მიწოდების შემცირებისა და ინფლაციის დასარეგულირებლად დაიწყო სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოცემა და, ფაქტობრივად, ინტერვენციების განხორციელება სავალუტო ბაზარზე. 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომის შემდეგ, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ლარის დევალვაცია. ამის შედეგად 2008 წლის ნოემბერში ლარის კურსი მკვეთრად გაუფასურდა.

სრულიად განსხვავებული სცენარით წარიმართა 2004 წლის დასაწყისში ლარის რევალვაცია, რომლის პირობას შეადგენდა მსოფლიოში ბოლო ორი წლის განმავლობაში დოლარის კურსის მიზანმიმართული დევალვაცია და ქვეყანაში დაწყებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, რამაც ლარის კურსის განმტკიცებას შეუწყო ხელი.

2003 წლის ნოემბერში რევოლუციური ცვლილებებისა და ახალი პოლიტიკური კურსის შემოღების შემდეგ ლარის კურსის დევალვაციაზე იმოქმედა შიდა ფაქტორებმა, განსაკუთრებით არალეგალური შემოსავლების ლეგალიზაციის ღონისძიებების დაწყებამ. ამის შედეგად გაიზარდა ფისკალური ეფექტი და, შესაბამისად, მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე. თუ 2003 წლის დეკემბერში ერთი დოლარი შეადგენდა 2.14 ლარს, ლარის რევალვაციამ კულმინაციას მიაღწია 2008 წლის ზაფხულში, აგვისტოს ომის წინა პერიოდში, როდესაც მისი ნიშნული შემცირდა 1.39 ლარამდე, ხოლო ომის შემდგომ – 2008 წლის ნოემბერში იგი დოლართან მიმართებაში ჩამოყალიბდა 1.66-ის ფარგლებში და, ფაქტობრივად, ეროვნული ვალუტა გაუფასურდა 14%-ით. ამის შემდეგ მისი რყევები კვლავ გრძელდებოდა და მხოლოდ 2011 წლის დასაწყისის შემდგომ დაიწყო მისი სტაბილურობა.

4.4.5 საგარეო ვაჭრობა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები

2002-2007 წლებში საქართველოს ექსპორტი და იმპორტი გაიზარდა, თუმცა იმპორტის ზრდამ გადააჭარბა ექსპორტის ზრდას. იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი შემცირდა თანდათანობით: თუ 2002 წელს 46.5% იყო, 2007 წელს შეადგინა 27.0%. შესაბამისად, 2002-2007 წლებში სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა ექვსჯერ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კი – ორჯერ და 2007 წელს მიაღწია მშპ-ს 19.8%-ს, ხოლო 2008 წელს 22,0%-ს. 2009 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანაფარდობამ მშპ-სთან 10,5%, ხოლო 2010 წელს საექსპორტო პოტენციალი გაიზარდა უფრო მეტად და ამან ოდნავ შეამცირა ეს უკანასკნელი 10,3 %-მდე. 2012 წელს ეს მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა 11.7%-მდე, ხოლო 2013 წელს კი კვლავ დაფიქსირდა კლება 5,7%-მდე (საქართველოს ეროვნული ბანკის: საქართველოს საგადამხდელო ბალანსი 2013“:14).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საზღვარგარეთიდან ტრანსფერტები წარმოადგენს დეფიციტის დაფარვის წყაროს. 2002-2007 წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 6.6-ჯერ, ხოლო ტრანსფერტები საზღვარგარეთიდან – 8.5-ჯერ. ენერჯის მოხმარებაზე ფასების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა იყო იმპორტის ზრდის ძირითადი მიზეზი. 2008-2009 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 2010 წელს ფულადი გზავნილები კვლავ გაიზარდა, რაც უკავშირდება მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღებას, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები მნიშვნელოვნად შემცირდა. უცხოური ინვესტიციების შემცირება უკავშირდება საპრივატიზაციო რესურსების კლებას, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად წარმოშობილ სტაბილურობის რისკებს და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ რყევებს.

საქართველოში 2003 წლის შემდგომ პერიოდში ინსტიტუციურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის გაფართოებას, თუმცა, ვაჭრობის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა 2006 წლის რუსეთის ემბარგომ, 2008 წლის საომარმა მოქმედებებმა და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა. მიუხედავად ამისა, 2003-2010 წლებში სავაჭრო ბრუნვა 5.2-ჯერ აღემატებოდა 1996-2003 წლის მაჩვენებელს.

ვაჭრობის ლიბერალიზაციის, სავაჭრო ბარიერების გაუქმებისა და თავისუფალი და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების დამყარების შედეგად იმპორტი განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა. 2004-2013 წლებში იგი 4.35-ჯერ აღემატებოდა 1995-2004 წლების დონეს. შედეგად, საქართველოს სავაჭრო ბალანსი კვლავ შეიცავდა მაღალ მაკროეკონომიკურ რისკებს და განსაკუთრებით გაუარესდა ბოლო წლებში.


ცხრილი 4: საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მაჩვენებლები (მლნ. აშშ დოლარი) (www.geostat.ge)

	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	სალდო
1996	155199.3	488696.5	643895.8	-333497.2
1997	203022.3	751223.6	954245.9	-548201.3
1998	244227.4	995320.1	1239547.5	-751092.7
1999	191317.5	882491.1	1073808.6	-691173.6
2000	238005.6	689590.0	927595.6	-451584.4
2001	323938.3	709509.1	1033447.4	-385570.8
2002	317150.9	752010.9	1069161.8	-434860.0
2003	345736.1	794691.6	1140427.7	-448955.5
2004	461310.0	1139039.2	1600349.2	-677729.2
2005	646903.0	1844342.9	2491245.9	-1197439.9
2006	865455.6	2487548.3	3353003.9	-1622092.7
2007	936374.6	3674832.3	4611206.9	-2738457.7
2008	1232110.5	5212150.2	6444260.7	-3980039.7
2009	1495345.2	6301540.3	7796885.5	-4806195.1
2010	1133622.4	4500244.1	5633866.5	-3366621.7
2011	1677472.1	5257122.4	6934594.5	-3579650.3
2012	2189135.8	7065277.9	9254413.7	-4876142.1
2013	2375383.7	8049476.3	10424860.0	-5674092.6

1996-1998 წლებში ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელი 27%, 25% და 22% იყო, 1999 წლიდან ამ მაჩვენებელმა დაიწყო გაუმჯობესება – 2002 წელს 43,5%-

ს და 2003 წელს 40,4%-ს მიაღწია. 2004 წლის შემდგომ ამ მაჩვენებელმა კვლავ შემცირება დაიწყო – 2006-2009 წლებში 23-27%-ის ფარგლებში მერყეობდა (რაც ნიშნავს, რომ იმპორტი ექსპორტს 4-ჯერ აღემატებოდა), 2010-2011 წლებში კი ოდნავ გაუმჯობესდა – 30% და 31% შეადგინა, ხოლო 2013 წელს მან 36,9%-ს მიაღწია. 2003-2010 წლებში სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა 5.1-ჯერ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კი – 2.9-ჯერ. სავაჭრო ბრუნვაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ფასები, რომელიც კრიზისის პერიოდში 2008-2010 წლებში განსაკუთრებული რყევებით გამოირჩეოდა.

დიაგრამა 6: ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი (საქართველოს ეროვნული ბანკი: საქართველოს საგადასახდებლო ბალანსი 2006-2013) (www.nbg.gov.ge/index.php?m=353)



ტრადიციულად, საქართველოს მთავარ საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს კვების პროდუქტები (მინერალური წყლები, ღვინო, თხილი, ციტრუსები, ხილი) და სამრეწველო პროდუქცია (შავი და ფერადი ლითონები, მინერალური სასუქები, ალუმინი, ოქრო, ჯართი და სხვ.). საქართველოს ძირითად საიმპორტო საქონელს შეადგენს გაზი და ნავთობპროდუქტები, მანქანის ნაწილები, სატრანსპორტო საშუალებები, მარცვლეული, კვების პროდუქტები, მედიკამენტები და ა.შ. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან 2005 წლამდე მთავარი საექსპორტო პროდუქციის პირველ ხუთეულში შედიოდა შავი ლითონების ჯართი, ახალი ან

გამხმარი კაკალი, ფეროშენადნობები, ყურძნის ნატურალური ღვინო, ძვირფასი ლითონების მადანი და კონცენტრატები და აზოტის სასუქები, ხოლო იმპორტის პირველ ხუთეულში შედიოდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნავთობის აირები, მედიკამენტები, სიგარები და სიგარეტები, მსუბუქი ავტომობილები.

2009-2013 წლებში საქართველოდან ექსპორტირებულ უმსხვილეს პროდუქციასთან ათეული თითქმის არ შეცვლილა, მათ შორისაა: მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, თხილი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, აზოტოვანი სასუქები, ყურძნის ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ოქრო და ნახშირბადიანი ფოლადის წნელები.

2013 წლისთვის პირველ პოზიციაზეა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 24.2% წილით, რაც წინა წელთან შედარებით 0.5% პუნქტით შემცირდა და ამავდროულად 116.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ექსპორტის ასეთი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია მეზობელ ქვეყნებში განხორციელებული მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტით. შემდეგ პოზიციაზე, ისევე როგორც წინა წელს, არის ფეროშენადნობების ექსპორტი 7.9% წილით, მისი ექსპორტი წინა წელთან შედარებით 30.6 მლნ აშშ დოლარით არის შემცირებული. ექსპორტში მესამე ადგილზეა თხილი, რომლის წილიც 2013 წლის მთლიან ექსპორტში 5.7% და 166.7 მლნ დოლარს შეადგენს. შემდეგ პოზიციაზე 5.6% წილით და 161.6 მლნ აშშ დოლარით არის სპილენძის მადნები. ექსპორტში მეხუთე პოზიციაზეა აზოტოვანი სასუქები 4.5% წილით და 130.6 მლნ აშშ დოლარის ექსპორტით. საექსპორტო ათეულში გვხვდება აგრეთვე, ყურძნის ნატურალური ღვინოები 4.4%, მინერალური წყლები 3.7%, სპირტიანი სასმელები 3.4%, დაუმუშავებული ან ნახევრადამუშავებული ოქრო 2.5%, წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - 2.1%.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ძირითად საიმპორტო პროდუქციასთან მიმართებაში. 2013 წლის უმსხვილეს საიმპორტო ათეულში, ტრადიციულად მნიშვნელოვანი უპირატესობით, პირველ ადგილზეა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 12.1% წილით. მეორე ადგილზე 9.0% წილით მსუბუქი ავტომობილებია, რომლის უდიდესი ნაწილი, რეექსპორტისთვისაა განკუთვნილი. შემდეგ პოზიციებზეა: ნავთობის აირები (4.0%), სამკურნალო საშუალებები (3.6%), ხორბალი და მესლინი, რომლის ნაწილიც ასევე რეექსპორტისთვისაა განკუთვნილი

(2.3%), აპარატები ელექტრონული სატელეფონო ან სატელეგრაფო სადენიანი კავშირისთვის (1.9%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (1.4%) აგრეთვე რეექსპორტისთვის, სიგარები და სიგარეტები (1.2%), გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები (1.1%), სატვირთო ავტომობილები (1.0%). პროდუქციათა ამ ათეულს 2013 წლის მთლიანი იმპორტის 37.8% ანუ 3.0 მილიარდი აშშ დოლარი უკავია.

საქართველო “ღია კარის” სავაჭრო პოლიტიკას ატარებს სავაჭრო პარტნიორებთან, რომელთა უმრავლესობა ახორციელებს პროტექციონისტულ პოლიტიკას სუბსიდირების და საბაჟო ბარიერების გამოყენებით გზით, რის შედეგადაც საქართველოში ადგილობრივ მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობა მცირდება. მაგალითად, 2000-2009 წლებში საქართველოში მარცვლეულის იმპორტი გაიზარდა 4-ჯერ, მაგრამ 2006-2009 წლებში ამ სექტორში დამატებული ღირებულება გაიზარდა მხოლოდ 38%-ით. ამასთან, რიგ დარგებში იმპორტი ჩაენაცვლა ადგილობრივ პროდუქციას. ასევე, ადგილობრივი საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია, ფაქტობრივად, სრულად განიდევნა ადგილობრივი ბაზრიდან იმპორტირებული ნაწარმის მიერ.

2006 წლისთვის რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესების შედეგად, მასთან სავაჭრო ურთიერთობები გაუარესდა. რუსეთის მიერ საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების ექსპორტის აკრძალვებისა და სატრანსპორტო კავშირების ბლოკირების შემდეგ საქართველოს საგარეო სავაჭრო მიმართულებები შეიცვალა. თურქეთი გახდა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი. თურქეთსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველო 2006 წლიდან ავტომატურად გახდა თურქეთის GSP + სქემის მომხმარებელიც (ევროკავშირთან ამ რეჟიმის ამოქმედების შემდგომ). 2007 წელს საქართველომ გააგრძელა თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება და გააფორმა მასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელიც ამოქმედდა 2008 წლის 1 ნოემბერს.

შედეგად, 2013 წელს ექსპორტ-იმპორტი განხორციელდა 134 ქვეყანასთან. მათ შორის, ექსპორტი განხორციელდა 111 ქვეყანაში, ხოლო იმპორტი - 122 ქვეყნიდან. პარტნიორი ქვეყნებიდან დადებითი სავაჭრო ბალანსი გვქონდა 40 ქვეყანასთან, ხოლო 94 ქვეყანასთან საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

დადებითი სავაჭრო ბალანსის უმეტესი წილი - 60.4 პროცენტი, სამ ქვეყანაზე: სომხეთზე, კანადასა და აზერბაიჯანზე მოდის. უარყოფითი სალდოს ნახევარზე მეტი (53.3 პროცენტი) შემდეგ 5 ქვეყანაზე მოდის: თურქეთი, ჩინეთი, უკრაინა, რუსეთი და გერმანია.

რაც შეეხება ქვეყნების ჯგუფებს, 2013 წელს, ისევე როგორც წინა წელს, ყველაზე მაღალი, 61.1% წილით ექსპორტში გამოირჩევა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნები, სადაც ექსპორტი წინა წელთან შედარებით 33.7% გაიზარდა, რაც განაპირობა ძირითად პარტნიორ ქვეყნებში - აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, რუსეთსა და თურქეთში - განხორციელებულმა ექსპორტმა. ქვეყანათა ამ ხუთეულზე აღნიშნული ჯგუფის ექსპორტის 89.6 და 2013 წლის მთლიანი ექსპორტის 54.7% მოდის. იმპორტშიც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნები 50.3% წილით პირველ ადგილზეა. აქაც უდიდესი - 80.4% წილით - ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები: თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და რუსეთი ლიდერობს. ამასთან, ამ ოთხეულის წილი 2013 წლის მთლიან იმპორტში 40.3% შეადგენს, ხოლო მეორე ადგილზე ქვეყანათა ჯგუფებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებია 48.1% წილით. ამ ჯგუფში ჯამური 47.4% წილით, და შესაბამისად, 1,346.0 მლნ აშშ დოლარით და 449.2 მლნ აშშ დოლარიანი იმპორტით, თურქეთი და გერმანია ლიდერობს.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია იმპორტზე. იმპორტის უპირატესი ზრდა სავაჭრო დეფიციტის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანია. მართალია, გაჩნდა ახალი საექსპორტო პროდუქტებიც, მაგრამ საქართველო საგარეო ვაჭრობაში წარმოდგენილია ტრადიციული პროდუქტებით და ქართული წარმოების საექსპორტო შესაძლებლობები კვლავინდებურად ჩამორჩება მის პოტენციურ შესაძლებლობებს. ეს მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულებას გარესამყაროზე.

4.4.6 სახელმწიფო საფინანსო სისტემა

2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში სამჯერ შევიდა ცვლილებები, რაც გამოწვეული იყო დაგეგმილ საპროგნოზო შემოსავლებზე ბიუჯეტის შემოსავლების ფაქტობრივი მობილიზაციის გადაჭარბებით. შესაბამისად, შედიოდა ცვლილებები სხვა დონის ბიუჯეტებშიც.

2004 წლის შემდგომ ყოველწლიურად ადგილი ჰქონდა რამდენჯერმე დამტკიცებულ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანას იმ განსხვავებით, რომ თუ 2004 წლამდე ეს ცვლილებები ძირითადად ითვალისწინებდა ბიუჯეტის შემოსავლითი და ხარჯვითი ნაწილის სეკვესტრსა და შემცირებას, 2004 წლიდან ყოველი ასეთი ცვლილება შემოსავლებისა და საბიუჯეტო გადასახდელების გეგმას ზრდიდა. მაგალითისთვის, 2004 წელს თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტებთან შედარებით, წლიური ბიუჯეტის ბოლო ვარიანტში სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების პროგნოზი გაიზარდა 22.3%-ით, 2005 წელს – 28.4%-ით, 2006 წელს – 17.4%-ით, 2007 წელს – 37.5%-ით, 2008 წელს – 9.9%-ით, 2009 წელს მოხდა შემცირება 8.5%-ით, 2010 წელს კი აღდგა ტენდენცია და კვლავ მოხდა მცირე ზრდა – 2.8%-ით (ლიბერალური აკადემია თბილისი 2011: 77). 2011 წელს გაიზარდა 20%, 2012 წელს თითქმის 9%-ით, ხოლო 2013 წელს 4%-ით. შემოსავლების ფაქტობრივი მობილიზება კიდევ უფრო მეტი იყო ყოველწლიურად, ვიდრე დაიგეგმა დამტკიცებული ბიუჯეტების საბოლოო ვარიანტებში გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ 2013 წელი, როდესაც ვერ მოხერხდა დამტკიცებული ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო ისე ხარჯვითი ნაწილის შესრულება.

ჩამოყალიბებული ტრადიცია, როდესაც დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში რამდენჯერმე შედის ცვლილება და საბოლოოდ ბიუჯეტის მოცულობა მკვეთრად განსხვავდება თავდაპირველი ვარიანტისაგან, მიუთითებს გარკვეულ მახასიათებლებზე. ერთი მხრივ, ეს უკავშირდება ბიუჯეტის დაგეგმვის და პროგნოზირების პრობლემას, მეორე მხრივ – ბიუჯეტში შემოსავლების სულ უფრო მზარდ მობილიზაციას. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის ზრდა 2004-2006 წლებში ნახტომისებურად მოხდა და შემდგომაც გააგრძელა მზარდი ტენდენცია, გარდა 2009 წლის ჩავარდნისა. მაგალითისთვის, 2004

წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლები შეადგენდა 1773.90 მლნ. ლარს, ხოლო 2013 წლისთვის მან მიაღწია 6917.0 მლნ. ლარს, ანუ თითქმის გაოთხმაგდა.

საინტერესო სურათია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტთან დაკავშირებითაც. 2008 წლის 1 იანვრამდე და მის შემდგომ ბიუჯეტის ფორმატი და სტრუქტურა არსებითად განსხვავდებოდა. ძველი მეთოდოლოგიით, 2004-2007 წლებში დამტკიცებული ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტით გათვალისწინებული იყო დეფიციტები: 2004 წელს – (184,066.50) ათასი ლარი, 2005 წელს – (344,390.00) ათასი ლარი, 2006 წელს – (277,174.00) ათასი ლარი და 2007 წელს – (365,526.70) ათასი ლარი. ფაქტობრივი დეფიციტი ამ წლებში შესაბამისად შეადგენდა: 2004 – 211,738.00 ათასი ლარი, 2005 – 98,962.60 ათასი ლარი, 2006 – 48,454.80 ათასი ლარი, 2007 – 78,124.10 ათასი ლარი.

2008 წლის 1 იანვრიდან შემოვიდა ბიუჯეტის დეფიციტის დაანგარიშების ახალი მეთოდოლოგია. დეფიციტი გამოხატულია ბიუჯეტის მთლიან სალდოში, რომლის მიხედვითაც 2008-2013 წლებში დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, დაგეგმილი იყო უარყოფითი მთლიანი სალდოები: 2008 წელი – 517,652.1 ათასი ლარი, 2009 წელი – 1,299,347.80 ათასი ლარი, 2010 წელი – 1,053,233.7 ათასი ლარი, 2011 წელს თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტით მთლიანი სალდო განისაზღვრა 362,278.4 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტების შემდეგ კი 282,742.5 ათასი ლარით.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა 2012-2013 წლებში და დაზუსტებული გეგმით 2012 წელს მთლიანი სალდო განისაზღვრა 297,293.9 ათასი ლარით, ხოლო 2013 წელს 372,664.7 ათასი ლარით. საყურადღებოა, რომ ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, პოსტ ფაქტუმ შეიცვალა 2004-2007 წლების ბიუჯეტებთან დაკავშირებული მაჩვენებლები. ანუ მიუხედავად იმისა, რომ 2004-2007 წლებში, როგორც დამტკიცებულ ბიუჯეტებში, ისე ფაქტობრივად დეფიციტის დაფინანსების წყაროებში სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენდა დეფიციტურს, ახალი მეთოდოლოგიით, მთლიანი სალდო ამ პერიოდში გახდა დადებითი: შესაბამისად, 2004 წელს – 52.600,00 ათასი ლარი, 2005 წელს – 177.200,00 ათასი ლარი, 2006 წელს – 345.200,00 ათასი ლარი, 2007 წელს – 129.600,00 ათასი ლარი.

ცხრილი 5: სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების და ფაქტიური მაჩვენებლები (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - „ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“ <http://mof.ge/4562>)

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
თავდაპირველად დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსავლები (2008 წლიდან შემოსავლების და არაფინანსური აქტივების კლების ჯამი) (ათასი ლარი)	1424.4	1945.8	3068.6	3712.2	5467.5	5588.4	5398.1	6641.5	7233.2	7522.5
დამტკიცებული ბიუჯეტის ბოლო ვარიანტით დაგეგმილი შემოსავლები (2008 წლიდან შემოსავლების და არაფინანსური აქტივების კლების ჯამი) (ათასი ლარი)	1742.2	2497.6	3601.3	5104.3	6008.6	5113.6	5513.5	6641.5	7233.2	7522.5
პროცენტული სხვაობა დაგეგმილ შემოსავლებში თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტსა და ბიუჯეტის საბოლოოდ დამტკიცებულ ვარიანტს შორის (პროცენტი)	22.3	28.4	17.4	37.5	9.9	-8.5	2.1	0.0	0.0	0.0
ფაქტობრივად მოხილზებული შემოსავლები (2008 წლიდან შემოსავლების და არაფინანსური აქტივების კლების ჯამი) (ათასი ლარი)	1773.7	2607.9	3773.0	5158.0	6086.5	5077.3	5568.2	6632.1	7195.6	6917.0
თავდაპირველად დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი ხარჯები (2008 წლიდან ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი) (ათასი ლარი)	1731.5	2260.7	3285.4	4077.8	5467.2	6248.6	6473.4	7003.8	7606.0	7969.3
დამტკიცებული ბიუჯეტის ბოლო ვარიანტით დაგეგმილი ხარჯები (2008 წლიდან ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი) (ათასი ლარი)	1926.3	2842.0	3878.5	5469.9	6559.2	6412.9	6572.9	6924.3	7530.5	7895.1
ფაქტობრივად გაწეული ხარჯები (2008 წლიდან ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი) (ათასი ლარი)	1930.2	2618.5	3822.5	5237.1	6448.1	6274.3	6486.7	6862.9	7294.8	7313.2
თავდაპირველად დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი ბიუჯეტის დეფიციტი (2008 წლიდან მთლიანი სალდო) (ათასი ლარი)	307.1	314.9	216.8	365.5	275.0	-660.1	1075.1	-362.2	-372.7	-446.9

მიუხედავად იმისა, რომ 2004-2007 წლების ბიუჯეტები ახალი მეთოდოლოგიით პროფიციტულად იქნა გადათარგმნილი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ის თავისი არსით წარმოადგენს დეფიციტურს, შესაბამისი დეფიციტის დაფინანსების წყაროებით. 2008-2013 წლების ბიუჯეტები კი ორივე მეთოდოლოგიით დეფიციტურს წარმოადგენს. შესაბამისად, 2004-2013 წლების ყველა ბიუჯეტი დეფიციტური იყო. ამასთან, 2009 და 2010 წლებში დეფიციტი მკვეთრად მაღალი იყო, შესაბამისად (1,196,966.00) ათასი ლარი და (918.600,00) ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის ფაქტობრივი ხარჯების მიმართ შეადგენს, შესაბამისად, 19.08%-ს და 14.16%-ს. გასათვალისწინებელია, რომ წინა წლებში, გარდა 2004 წლისა, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტი ფაქტობრივი ხარჯების მიმართ 11%-ს შეადგენდა, ორნიშნა პროცენტი არ დაფიქსირებულა. 2004 წელს, წინა წელთან შედარებით ნაერთი ბიუჯეტის ფაქტობრივმა შემოსავლებმა მკვეთრი, 68%-იანი ზრდა განიცადა. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები შემდგომაც იზრდებოდა საკმაოდ მაღალი ტემპებით: 2005 წელს – 25%-ით, 2006 წელს – 36%-ით, 2007 წელს – 29%-ით, 2008 წელს – 18%-ით, 2009 წელს შემცირდა წინა წელთან შედარებით 10%-ით, თუმცა 2010 წელს კვლავ 11%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

კიდევ უფრო მზარდი იყო საგადასახადო შემოსავლების ზრდის დინამიკა: 2004 წელს წინა წელთან შედარებით 52%-ით გაიზარდა, 2005 წელს – 30%-ით, 2006 წელს – 33%-ით, 2007 წელს – 39%-ით და 2008 წელს – 30%-ით. 2009 წელს საგადასახადო შემოსავლებშიც 8%-იანი ვარდნა დაფიქსირდა, ხოლო 2010 წელს კვლავ გაიზარდა 11% -ით, 2013 წელს კი კვლავ შემცირდა 1,7%-ით. ნომინალური მშპ-ს საკმაოდ სწრაფი ტემპებით ზრდის ფონზე, ნაერთი ბიუჯეტის როგორც მთლიანი შემოსავლები, ისე საგადასახადო შემოსავლები იზრდებოდა არამარტო აბსოლუტურ მაჩვენებლებში, არამედ პროცენტულადაც მშპ-ს მიმართ. ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების წილი მშპ-თან მიმართებაში 2004 წელს წინა წელთან შედარებით მკვეთრად – 7%-ით გაიზარდა, კერძოდ, 16%-დან 23%-მდე. შემდგომ ზრდის ტენდენცია შეინარჩუნეს 2008 წლის ჩათვლით და მიაღწია 31%-ს. 2012-2013 წელს კი ოდნავ შემცირდა, შესაბამისად, 28,9%-მდე და 27,7%-მდე.

ცხრილი 5: ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლები (www.geostat.ge)

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
მშპ საბაზრო ფასებში (ათასი ლარი)	7456.0	8564.1	9824.3	11620.9	13789.9	16993.8	19074.9	17986.0	20743.4	24344.0	26167.3	26847.4
ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (ათასი ლარი)	1143.7	1345.0	2266.9	2828.9	3850.2	4972.7	5854.2	5264.5	5865.8	6873.7	7560.0	7434.3
შემოსავლების ცვლილება წინა წელთან მიმართებაში (პროცენტი)		17.6	68.5	24.8	36.1	29.2	17.7	-10.1	11.4	17.2	10.0	-1.7
ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების წილი მშპ-თან (%)	15.3	15.7	23.1	24.3	27.9	29.3	30.7	29.3	28.3	28.2	28.9	27.7
ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების (ათასი ლარი)	1114.1	1261.4	1835.8	2425.9	2978.7	4379.0	5410.9	5397.1	5480.3	5786.6	6495.7	6723.1
ხარჯების ცვლილება წინა წელთან მიმართებაში (პროცენტი)		13.2	45.5	32.1	22.8	47.0	23.6	-0.3	1.5	5.6	12.3	3.5
ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-თან (%)	14.9	14.7	18.7	20.9	21.6	25.8	28.4	30.0	26.4	23.8	24.8	25.0
ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (ათასი ლარი)	924.0	1005.9	1530.2	1982.8	2646.6	3669.0	4752.7	4388.9	4867.5	6134.8	6671.0	6659.3
საგადასახადო შემოსავლების ცვლილება წინა წელთან მიმართებაში (პროცენტი)		8.9	52.1	29.6	33.5	38.6	29.5	-7.7	10.9	26.0	8.7	-0.2
საგადასახადო შემოსავლის წილი მშპ- თან (პროცენტი)	12.4	11.7	15.6	17.1	19.2	21.6	24.9	24.4	23.5	25.2	25.5	24.8

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მზარდი დინამიკა აისახა საბიუჯეტო ხარჯებზეც. კერძოდ, 2004 წელს წინა წელთან მიმართებაში მშპ-ს წილში საბიუჯეტო ხარჯები 15%-დან 19%-მდე გაიზარდა. მზარდი ტენდენცია იყო კრიზისული 2009 წლის ჩათვლითაც და ამ წელს 30%-ს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ ამავდროულად სხვა ეკონომიკურ პარამეტრებში, მათ შორის საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებაში მკვეთრი დაცემა იყო და დეფიციტიც გაიზარდა. 2013 წელს მშპ-თან მიმართებაში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების წილი შემცირდა 25%-მდე.

2004 წელს წინა წელთან შედარებით სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გაიზარდა 44.6%-ით ანუ 378,700 ათასი ლარიდან 547,600 ათას ლარამდე. 2005 წელს ზრდა წინა წელთან შედარებით ნაკლები იყო და 1.9% შეადგინა. 2006-2008 წლებში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების საკმაოდ მაღალი ზრდა დაფიქსირდა, შესაბამისად, 18.5%, 41.17% და 44.3%-ით. 2012-2013 წლებში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ზრდის ტემპმა იკლო, შესაბამისად, 11.8%-დან 7.8%-მდე.

2004-2007 წლებში ნაერთი ბიუჯეტის მთლიან ხარჯებთან მიმართებაში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების წილი მცირდებოდა, შესაბამისად, 30%-დან 21.3%-მდე. 2008-2013 წლებში კი აღნიშნული წილის ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა და, შესაბამისად, შეადგინა 24.9%, 27.9% და 29.6%, 28.6%, 28.6% და 34.1%. მშპ-თან მიმართებაში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოიყოს ორი ეტაპი: 2004-2007 წლები, როდესაც ეს წილი შეადგენდა, შესაბამისად, 5.6%, 4.8%, 4.8% და 5.5%-ს და 2008-2013 წლები, როდესაც მშპ-თან მიმართებაში სოციალური ხარჯები გაიზარდა, შესაბამისად, 7.1%, 8.4%, 7.8%, 6.8%, 7.1% და 8,5%-მდე.

მნიშვნელოვანია ამ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციური სტრუქტურაც. ამ მხრივ, საკუთრივ ფუნქციურ კლასიფიკაციაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. შესაბამისად, გასათვალისწინებელია 2007 წლამდე და 2007-2013 წლების პერიოდების ხარჯების განხილვისას.

ცხრილი 6: სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები ნაერთ ბიუჯეტში (www.geostat.ge)

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები ნაერთი ბიუჯეტიდან (ათასი ლარი)	314.8	378.7	547.6	558.1	661.4	933.7	1347.4	1505.9	1623.6	1655.5	1857.6	2294.9
სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ცვლილება წინა წელთან მიმართებაში ნაერთი ბიუჯეტიდან (პროცენტი)		20.3	44.6	1.9	18.5	41.2	44.3	11.8	7.8	2.0	12.2	23.5
ნაერთ ბიუჯეტში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების წილი (პროცენტი)	28.3	30.0	29.8	23.0	22.2	21.3	24.9	27.9	29.6	28.6	28.6	34.1
ნაერთ ბიუჯეტში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების წილი მშპ-სთან მიმართებაში (პროცენტი)	4.2	4.4	5.6	4.8	4.8	5.5	7.1	8.4	7.8	6.8	7.1	8.5

2004 წელს, წინა წელთან შედარებით ყველაზე მეტად გაიზარდა თავდაცვის ხარჯები – 60,391.80 ათასი ლარიდან 158,749.04 ათას ლარამდე, რაც თითქმის სამმაგი ზრდაა ნომინალურ გამოხატულებაში. თავდაცვის სფეროს წილმა 2004 წელს შეადგინა ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 8.2%, როცა წინა წელს 5%-ს შეადგენდა. შემდგომ წლებში კვლავ იზრდებოდა თავდაცვის ხარჯების წილი – 2005 წელს 145%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი ხარჯების 14.87% შეადგინა, 2006 წელს კი კვლავ გაორმაგდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი ხარჯების 18.8% შეადგინა.

თავდაცვის ხარჯების ზრდა შემდგომ წლებშიც გაიზარდა და, შესაბამისად, 2007 წელს შეადგინა მთლიანი ხარჯების 28.65%, 2008 წელს კი – 24%, მხოლოდ 2009 და 2010 წელს დაიწყო თავდაცვის ხარჯებმა შემცირება, კერძოდ, 2009 წელს თითქმის განახევრდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი ხარჯების 13.8% შეადგინა, ხოლო 2010 წელს კიდევ უფრო შემცირდა და 10.3% შეადგინა.

ასეთივე მკვეთრი ზრდის დინამიკა დაფიქსირდა საბიუჯეტო ხარჯების სხვა მიმართულებით, კერძოდ, “საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების” სფეროში, რომელიც 2004 წელს წინა წელთან შედარებით გაორმაგდა და ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 12.3% შეადგინა. შემდგომაც გაგრძელდა მკვეთრი ზრდის ტენდენცია 2008 წლის ჩათვლით, როდესაც ამ სფეროში ხარჯებმა 983,461.30 ათასი ლარი და ბიუჯეტის ხარჯების 15% შეადგინა, მაშინ, როდესაც 2004 წელს აბსოლუტურ გამოხატულებაში 237,432.90 ათასი ლარი იყო. 2009-2010 წლებში ოდნავ შემცირდა ამ მუხლით გაწეული დანახარჯები და, შესაბამისად, მთლიანი ხარჯების 13.8% (853,143.30 ათასი ლარი) და 10,3% (829,063.70 ათასი ლარი) შეადგინა.

ასეთივე მკვეთრი ზრდა ფიქსირდება “ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის” სფეროში, რომელიც 2004-2005 წლებში გაორმაგდა წინა წლებთან შედარებით, 2006 წელს კი 44%-ით გაიზარდა. 2007 წლიდან ბიუჯეტის ახალი კლასიფიკატორის მიხედვით, ეს მუხლი შევიდა ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც ძირითადად მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაციას. “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში ამ სფეროში დანახარჯები ბიუჯეტის მთლიანი დანახარჯების საშუალოდ 4-5%-ის ფარგლებში მერყეობს.

სოფლის მეურნეობაზე გაწეული დანახარჯების მიხედვით აბსოლუტურ მაჩვენებლებში მცირედით ზრდის ტენდენცია ფიქსირდებოდა, თუმცა ეს მუხლი ბიუჯეტის საერთო დანახარჯების მხოლოდ 2%-ის ფარგლებში რჩებოდა ყოველწლიურად. ამასთან, ეს სფეროც 2007 წლიდან “ეკონომიკური საქმიანობის” მუხლში იქნა ინტეგრირებული.

დაკსენები და რეკომენდაციები

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ხანებში საქართველოს ეკონომიკამ მკვეთრი დაცემა განიცადა. ეს დაკავშირებული იყო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზეზებთან. საერთო ეკონომიკური პარამეტრების მკვეთრი გაუარესებით ქვეყანამ ბევრად გაუსწრო ყოფილ სოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს. აღნიშნული სირთულეების მიუხედავად, ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოიკვეთა იმგვარი მიდგომები, რომლებიც საბაზრო პრინციპების დანერგვას გულისხმობდა. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს მიწების პრივატიზაცია, მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინების პრივატიზაცია, ფასების ლიბერალიზაცია, ცალკეული საწარმოების პრივატიზაციის დაწყება, ფინანსური ინსტიტუტების ფორმირება და ა.შ. ამ პერიოდში მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის გარკვეულწილად შემსუბუქება სწორედ რომ საბაზრო პრინციპების დანერგვამ განაპირობა. XX საუკუნის შუა პერიოდიდან საქართველომ შეანელა ჰიპერინფლაციის შეჩერება და ეროვნული ვალუტის შემოღება. წინა პერიოდის ქაოსის, ინფლაციის და საკურსო რყევების ფონზე ეს სტაბილურობის ფაქტორს წარმოადგენდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორი გზა განიხილებოდა: სწრაფი ტრანსფორმაცია ე.წ. „შოკური თერაპიის“ გზით და მეორე გრადუალური ტრანსფორმაცია შედარებით ნელი გარდაქმნების ხაზით. პოსტსაბჭოთა ეკონომიკური ტრანსფორმაცია ისეთი ტემპებით წარიმართა, რომ საქართველოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ სრულყოფილად ვერ წარმოაჩინა მკაფიო არჩევანი ამ ორ მეთოდს შორის. არსებობდა შემთხვევები, როდესაც გამოიყენეს „შოკური“ მეთოდი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი გრადუალური ცვლილებების ტაქტიკამ ძალზე გააჭიანურა ცალკეული სექტორული და ინსტიტუციური რეფორმები. ამ ორ მიდგომასთან ერთად არსებობდა სხვა შეხედულებებიც. XX საუკუნის 90-იან წლებში და მის შემდგომ პერიოდში არსებობდა წინააღმდეგობები ეკონომიკის ლიბერალური საბაზრო გარემოს შექმნასა და მის ძირითად სოციალურ ორიენტაციას შორის. ამავდროულად ეკონომიკური პოლიტიკა წმინდა პოლიტიკური ფაქტორების ფონზე მიმდინარეობდა.

მიუხედავად ეკონომიკური სიძნელეებისა, ქართული ეკონომიკა 90-იანი წლების შუა პერიოდს სტაბილიზაციის და ზრდის ტენდენციების ჩამოყალიბებით

შეხვდა. მიუხედავად ცალკეული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდისა, მაინც ვერ მოხერხდა საკვანძო სექტორების ტრანსფორმაცია. ამ სექტორებს შორის უნდა გამოვყოთ ენერჯეტიკა, სოციალური სფერო. ასევე ვერ მოხერხდა ინსტიტუციური სექტორების ეფექტანი ტრანსფორმაცია, რამაც საჯარო სტრუქტურების უუნარობა და კორუფციის ზრდა გამოიწვია. საქართველოს ეკონომიკა საგარეო სექტორზე გახდა დამოკიდებული. ამასთან უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 90-იან წლებში დიდი გავლენა მოახდინა აგრარულმა სექტორმა სხვა სექტორებისგან განსხვავებით, რაც გამოიხატებოდა სოციალური მდგომარეობის შერბილებაში.

აღნიშნულმა პრობლემებმა მწვავედ იჩინა თავი XX საუკუნის მიწურულს და XXI საუკუნის დასაწყისში. ეფექტანი სექტორული რეფორმების გაუტარებლობამ პრობლემების აკუმულირება გამოიწვია. შესაბამისად, ენერჯეტიკულ, წყალმომარაგების და კომუნალური სერვისების სფეროებში პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის შემდგომად მრავალი პრობლემა იყო დაგროვილი, რაც არც ეკონომიკის შემდგომ განვითარებას და არც მოსახლეობაში ცხოვრების დონის ამაღლებაში არ გამოიხატა. საგარეო სექტორზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა და საქართველოს მეზობელ ქვეყნებში - რუსეთსა და თურქეთში - დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე. ხელისუფლების ინსტიტუციურმა არამდგრადობამ კი საბიუჯეტო, ფისკალური, საჯარო სერვისების მიწოდები და კორუფციული პრობლემები ჩამოაყალიბა, რის შედეგადაც შეიქმნა ფონი 2003 წლის პოლიტიკური ცვლილებებისთვის.

2003 წლის ნოემბერში მოსული ხელისუფლება საწყის ეტაპზევე მრავალი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ახალმა ხელისუფლებამ ეფექტანი ცვლილებები განახორციელა საჯარო ადმინისტრაციულ სტრუქტურებში. ეს იყო სტრუქტურული, საკადრო და ტექნოლოგიური ხასიათის ცვლილებები, რის შედეგსაც წარმოადგენდა ის, რომ გარკვეულად დაიძლია ის ქაოტურობა ამ სტრუქტურებში, გაიზარდა ორგანიზაციული მდგრადობის ქმედითობის ხარისხი, მკვეთრად შემცირდა კორუფციის მასშტაბები. თუმცა, საერთაშორისო შეფასებით საკმაოდ გაიზარდა ელიტური და პოლიტიკური კორუფციის ხარისხი. გატარებული რეფორმები აისახა ფისკალური დისციპლინის დამყარებაზე და ფისკალური

პრობლემების დამლევაზე, საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხზე და მექანიზმებზე, კრიმინალის მკვეთრ შემცირებაზე და ა.შ. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, ვერ იქნა მიღწეული საჯარო ადმინისტრაციული ორგანიზების გამჭვირვალობის, დეცენტრალიზაციის და მოსახლეობის თანამონაწილეობის ხარისხის ზრდა.

ქვეყნის ეკონომიკის საგარეო დამოკიდებულების ასპექტი კიდევ უფრო მასშტაბური გახდა და რეალურად შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკის და მზარდი მაკროეკონომიკური ტენდენციის მთავარ წყაროდ იქცა. კიდევ უფრო გაღრმავდა პრობლემები სექტორულ ეკონომიკაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. ჩამოყალიბებული ტენდენციები კი ძირითადად დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა, განსაკუთრებით რეგიონებში.

ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნებოდა ეკონომიკური თავისუფლების, დერეგულაციის და ეკონომიკური მოდერნიზაციის თეზისებს, ხოლო მისი ცალკეული მიდგომები ლიბერტანიალური პრინციპების გამოხატულებას წარმოადგენდა. ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ძირითად კრიტერიუმად ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება წარმოადგენდა. თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებდა სწრაფი პრივატიზაციის განხორციელებას, ეკონომიკის ცალკეული მიმართულებების დერეგულირებას, საგადასახადო ლიბერალიზაციას, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და შრომის კანონმდებლობის ლიბერალიზაციას.

დერეგულირების მიმართულებით ხელისუფლების პოლიტიკა ეყრდნობოდა ორ ძირითად არგუმენტს: ეკონომიკურს და ინსტიტუციურს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ლიბერტანიალური მიდგომა უპირატესობას ანიჭებდა ბაზრის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს. დერეგულირების პოლიტიკის ინსტიტუციური არგუმენტი ეყრდნობოდა დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან შემორჩენილი მარეგულირებელი სტრუქტურების დაბალეფექტურობას და კორუფციულობას. იმის მაგივრად, რომ გადაჭრილიყო აღნიშნული პრობლემა, არჩეულ იქნა ცალკეული მიმართულებით რეგულირების სრული ლიკვიდაცია. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხო ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, სურსათის უვნებლობას, ტექნიკურ რეგულაციებს, შრომით რეგულირებას და ა.შ.

საკანონმდებლო და ინსტიტუციური თვალსაზრისით, დერეგულირებამ იმდენად დიდი მასშტაბები მიიღო, რომ ეკონომიკური თავისუფლების, ბიზნესის კეთების სიმარტივით ინდექსებში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და ცალკეულ ინდექსებში მოწინავე ადგილების დაკავების შესაძლებლობა მისცა.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ხელისუფლების პოლიტიკა აისახა მშპ-ს მზარდ დინამიკაზე. მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის უნდა გამოვყოთ ფისკალური და საგარეო ფაქტორები. ფისკალური ფაქტორებიდან უნდა გამოვყოთ საგადასახადო ადმინისტრირების მკვეთრი გაუმჯობესება, რის შედეგადაც ბიუჯეტის მოცულობა რამდენჯერმე გაიზარდა. ხელისუფლების ხარჯვით პოლიტიკაში მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, შესაბამისად გაიზარდა მთავრობის როლი მშპ-ს ზრდაზე პოზიტიური ზემოქმედების თვალსაზრისით. ერთი მხრივ, ამგვარი ფაქტორები განაპირობებენ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, მაგრამ მეორე მხრივ, იგი ნაკლებად უკავშირდება მდგრადი ეკონომიკური ზრდის ეკონომიკურ შინაარსს. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი უკავშირდება საგარეო ფინანსურ ნაკადებს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, მოქალაქეთა ფულად გზავნილებს, სახელმწიფოს მიერ აღებულ შიდა თუ საგარეო ვალს, კერძო სტრუქტურების, მათ შორის საბანკო სისტემის მიერ შემოტანილ ფინანსურ რესურსებს. საგარეო რესურსების არსებობა, რომელიც ეკონომიკას საშუალებას აძლევს შიდა დანაზოგების დეფიციტი შეავსოს და შექმნას საინვესტიციო შესაძლებლობები პოზიტიურ მოვლენას ქმნიან ეროვნული ეკონომიკისთვის. საქართველოში კი საპირსპირო სურათი შეიქმნა, როდესაც ფინანსური ნაკადები სამომხმარებლო ხარჯებზე წარიმართა, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. შესაბამისად, ინვესტიციებმა ვერ იქონია ზეგავლენა მწარმოებლურობის განსავითარებლად. შესაბამისად, ამგვარმა ნაკადებმა იქონია გავლენა მშპ-ს ზრდაზე, ხოლო ეკონომიკური შედეგებით ატარებდა, ერთი მხრივ, ინფლაციური ზრდის ბუნებას, ხოლო მეორე მხრივ, მოხმარებაზე ორიენტირებულ ზრდის ხასიათს შიდა წარმოების განუვითარებლობის გზით. ეს დისბალანსი აღმოიფხვრა იმპორტით, რამაც საბოლოო ჯამში საგადასახდელო ბალანსის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია. ყოველივე ამის შედეგად საქართველოს ეკონომიკა ჩამოყალიბდა მოხმარებაზე ორიენტირებულ და იმპორტზე

დამოკიდებულ ეკონომიკად, რაც კომპენსირებულია არა ეკონომიკის უნარით, მეტი აწარმოოს, არამედ ძველი აქტივების რეალიზაციით, საგარეო ვალდებულებების ზრდით და ინფლაციით. ეს უკანასკნელი, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის კრიზისის შემდგომ პერიოდში იჩინა თავი, თავისი გრძელვადიანი ზრდის ინფლაციური ბუნების გამოვლენა და არა მოკლევადიანი კონიუნქტურული ინფლაცია. საქართველოში, მიდგომას, რომელიც გულისხმობდა მკვეთრ ზრდაზე ორიენტირებულ დერეგულირებას, რომელსაც შიდა დანაზოგების, რეინვესტიციების, შიდა საინვესტიციო რესურსების ზრდა უნდა გამოეწვია, მივიღეთ საპირისპირო სურათი: შიდა დანაზოგების მაჩვენებელი დაბალია და არც ზრდის დინამიკა არის სახარბიელო.

აღსანიშნავია, აგრეთვე მაკროეკონომიკის სექტორული ასპექტი. ჩამოყალიბდა შიდა და გარე ფინანსური რესურსების კონცენტრაციის გარკვეული “სამკუთხედები”: “ბანკი-ინვესტიციები-მშენებლობა და უძრავი ქონება” და “ბანკი-მოხმარება-ვაჭრობა”. “ბანკი-ინვესტიციები-მშენებლობა და უძრავი ქონება” გულისხმობს იმას, რომ საბანკო და საინვესტიციო რესურსები მნიშვნელოვნად იყო კონცენტრირებული მშენებლობის და უძრავი ქონების სექტორებზე, რამაც სამშენებლო ბიზნესის და უძრავი ქონების სექტორების არაბუნებრივი “გაბერვა” გამოიწვია (მითუმეტეს, ფართოდ იყო დანერგილი ე.წ. ფინანსური პირამიდების პრაქტიკა). ამგვარმა ბუმმა, ერთი მხრივ, მშენებლობა უძრავი ქონების სექტორში, რომელიც ძირითადად სამომხმარებლო და არა საინვესტიციო ბუნების აქტივებს უკავშირდებოდა, განაპირობა ე.წ. “ჰოლანდიური ავადმყოფობის” ნიშნები, როდესაც ეკონომიკის სხვა, უფრო მწარმოებლურ სექტორებს, მოაკლდა ფინანსური რესურსები. ამასთანავე, წარმოიქმნა შიდა და გარე კრედიტორული დავალიანებების პრობლემა.

“ბანკი-მოხმარება-ვაჭრობა” გულისხმობს იმას, რომ კომერციული ბანკების მიერ, ერთი მხრივ, სამომხმარებლო სესხებზე და, მეორე მხრივ, ვაჭრობაზე სესხების მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამგვარმა ფინანსურმა სტიმულირებამ მოხმარების მასშტაბი გაზარდა. პარალელურად, ბანკები ახდენდნენ ვაჭრობის სექტორის სტიმულირებას. საბოლოო ჯამში, ამგვარი კორელაცია აისახა იმპორტის

მოცულობის მკვეთრ ზრდაზე, ხელი შეუწყო ინფლაციურ პროცესებს, შექმნა არაუზრუნველყოფილი საკრედიტო ვალდებულებების პრობლემა.

მდგრადი განვითარება ეკონომიკური ზრდის ფონზე, სოციალური გარემოს გათვალისწინებასაც მოიაზრებს. ამ თვალსაზრისით ხალხისთვის უსაფრთხო არ ყოფილია ის ეკონომიკური პრიორიტეტები, რაც ხელისუფლების მიერ იქნა შემოთავაზებული. სოციალურ გარემოსთან მიმართებაში მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდა, რადგან დღემდე საქართველოში უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემა უმწვავეს გამოწვევად რჩება. შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა უკანასკნელ პერიოდში არ შეცვლილა. სიღარებიზე კი გავლენას ახდენდა ის ფაქტორი, რომ მოსახლეობის სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი დაკავშირებული არის სოფლის მეურნეობასთან, ხოლო 2003 წლის შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ლიბერტანიალურ ეკონომიკად იწოდება, აგრარულ სფეროში რაიმე ტიპის სექტორული პოლიტიკის გატარებას არ ითვალისწინებდა და მის განვითარება მთლიანად ბაზარზე იყო მიხედობილი. თავის მხრივ, ბაზარი უშუალო კავშირშია სხვა ქვეყნების აგრარულ სექტორებთან, სადაც სექტორულმა პოლიტიკამ ძალზე მასშტაბური სახე მიიღო.

ხელისუფლების პოლიტიკა ამ სექტორში უფრო პოლიტიკური კამპანიის ფარგლებით იყო ორიენტირებული. შედეგად კიდევ უფრო დაეცა დარგის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო მასშტაბით, შემცირდა წარმოების დონე, ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც ვერ შექმნა შესაძლებლობა იმ სექტორის განვითარებისათვის, სადაც მოსახლეობის უმეტესობა არის დასაქმებული. 2007 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის და 2008 წლის საომარი მდგომარეობის შემდეგ გახდა შესაძლებელი სოციალური პრობლემების წინა პლანზე წამოწევა. სწორედ ამ პერიოდიდან იზრდება სოციალური დანახარჯები, ძირითადი აქცენტი კეთდება დასაქმებასა და სოფლის მეურნეობაზე. თუმცა ამ უკანასკნელში რაიმე სტრუქტურული ცვლილებები არ განხორციელებულა. ამავდროულად, განსაკუთრებული ყურადღება ტურიზმის სექტორზე კეთდება. თუმცა ტურიზმის სექტორში დასაქმება არ არის იმდენად მაღალი. ამასთან ცალკეული კომპონენტები, რომელმაც დარგის კონკურენტუნარიანობა უნდა განაპირობოს, არ ქმნის ოპტიმიზმის საფუძველს, რომელიც ხელისუფლების გეგმებში გამოიხატება ამ

სექტორთან მიმართებაში. საქართველოში შეიქმნა გარკვეულწილად არაორდინარული სიტუაცია: სოფლის მეურნეობაში, რომელიც ქვეყნის სტრატეგიულ დარგს წარმოადგენს, სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ტიპის ჩარევა ითვლება როგორც ანტისაბაზრო, ტურიზმის სფეროში სამთავრობო პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში ანაცვლებს კერძო, ხოლო ხშირ შემთხვევაში პროექტების განმახორციელებლად გვევლინება არა კერძო სექტორი, არამედ სახელმწიფო.

მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, ვერ იქნა მიღწეული გარდატეხა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ზრდის ფაქტორებში შიდა და საგარეო ფინანსური ნაკადების განმსაზღვრელობა, რომელიც ნაკლებად აისახა რეალურ სექტორებზე. ეკონომიკურმა ზრდამ დადებითი გავლენა ვერ მოახდინა დასაქმებაზე, ეკონომიკის ტრადიციული დარგების განვითარებაზე. მოდერნიზაციის იდეა, რომელიც მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში ფიგურირებდა, არ იქნა მკაფიოდ გამოკვეთილი სტრატეგიის დონეზე. აქედან გამომდინარე, უკანასკნელ ათწლეულში საქმე გვექონდა არა იმდენად ეკონომიკის მოდერნიზაციასთან, მისი ტრადიციული გაგებით, არამედ მის ზედაპირულ გაგებასთან, როდესაც იცვლება არა ეკონომიკის მამოძრავებელი ღრმა სტრუქტურული ტენდენციები, არამედ ხდება ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება და აქცენტების გადათამაშება სექტორებს შორის.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის, ვინაიდან ისინი შესაძლოა მიმართულ იქნას მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, რომელთა დაფინანსება საბანკო სექტორის მეშვეობით შეუძლებელი იქნებოდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდე სამომავლოდ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა სისწრაფით გამოვა გლობალური ეკონომიკა რეცესიიდან და რა დოზით გააძლიერებს მთავრობა აქამდე არსებულ ეფექტურ საინვესტიციო პოლიტიკას.

მაღალი მიმდინარე ანგარიშის და ფისკალური დეფიციტის შემცირება კვლავ მთავარ მაკროეკონომიკურ პრობლემად რჩება. ფისკალური კონსოლიდაციის და სტრუქტურული რეფორმების განხორციელების შედეგად შესაძლებელია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ხოლო ამავედროულად შესაძლებელია ყველა იმ

ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემის დაძლევა, რაც გარდამავალი პერიოდის საქართველოს ეკონომიკაში სუფევდა.

მიუხედავად წარმატებებისა, საქართველოს ეკონომიკაში ძირეულმა ცვლილებებმა უნდა მოახდინოს ექსპორტის პორტფელის მკვეთრი დივერსიფიკაცია, რათა გაგრძელდეს ის წინსვლა, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჰქონდა. უნდა მოხდეს საქართველოს ღირებულებების გამყარება და მიღწეულ იქნეს მეტი თანაფარდობა საკრედიტო ანგარიშში. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ხარისხის თვალსაზრისით.

მთავარი გამოწვევა, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის პოტენციალს ზღუდავს არის სტანდარტების არარსებობა. დადებითი შედეგები მოჰყვება ამ სექტორის ასაღორძინებლად, თუ ამ სექტორში მიმართული იქნება საკმარისი რესურსები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კომერციულ საქმიანობაში დაბანდებულმა სახელმწიფო ინვესტიციებმა კერძო სექტორის სტიმულირება უნდა მოახდინოს და არა მისი განდევნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი.....1998: ეკონომიკური თეორია: სახელმძღვანელო/თსუ ეკონ. თეორიის კათედრა [სარედაქციო კოლეგია გ. ადგიშვილი, რ. ასათიანი და სხვა] თბილისი „სიახლე“ 1998წ.
2. ასათიანი..... 2001: ეკონომიკური თეორია : უმაღლ. სასწ. ეკონ. ფაკ-ტების სტუდ.-თვის) / თსუ ; [შემდგ.: როზეტა ასათიანი ; რედ.: გიორგი ადგიშვილი, რევაზ გოგობია]. - თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2001
3. ასათიანი..... 2003: ეკონომიკური თეორია : უმაღლ. სასწ. ეკონ. ფაკ. სტუდ. / თსუ ; [შემდგ.: როზეტა ასათიანი ; რედ.: გიორგი ადგიშვილი, რევაზ გოგობია]. - თბილისი.: თბილისის. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
4. ასათიანი 2010: ასათიანი რ. - გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო / როზეტა ასათიანი ; [მცნ.-რედ. იაკობ მესხია]. - თბილისი : სიახლე, 2010
5. ახვლედიანი 2002: ახვლედიანი ა. - ეკონომიკური ზრდის სახელმწიფოებრივი რეგულირება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე): დის. ეკონ. მეცნ. კანდ. 08.00.03 / სამეცნ. ხელმძღვ.: ვლადიმერ პაპავა ; საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტი. - თბ., 2002
6. ბარბაქაძე 2002: ბარბაქაძე ხ. - საქართველოს საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში : დის. ეკონ. მეცნ. კანდ. 08.00.05 / მეცნ. ხელმძღვ.: თამარ გამსახურდია ; თსუ. - თბ., 2002
7. ბასარია 1995: ბასარია რევაზ, მესხია იაკობ. - გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები საქართველოში; თბ. 1995
8. ბახტაძე 2006: ბახტაძე ლ. - გარდამავალი ხანის ეკონომიკა : სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის / ლელა ბახტაძე ; [მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა]. - თბ. : სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
9. ბენაშვილი 2010: ბენაშვილი ინგა - საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგია და მისი სრულყოფის გზები -

- სადისერტაციო ნაშრომი ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2010
10. **ბერუჩაშვილი 2006: ბერუჩაშვილი თ. - ვაჭრობის, როგორც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორის ევოლუცია : დის...ეკონ. მეცნ. კანდ. 08.00.01 / სამეცნ. ხელმძღვ. ელგუჯა მექვაბიშვილი ; თსუ-ს ეკონ. თეორიის კათედრა. - თბ., 2006.**
 11. **გოგობია 2004: გოგობია რ. - შერეული ეკონომიკური სისტემა, არსი, მოდელი, განვითარების ტენდენციები. თბილისი 2004 წ.**
 12. **გველესიანი 2012: გველესიანი, რ. - ეკონომიკური პოლიტიკა : სახელმძღვ. / რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი ; [რედ. ვოლფგანგ ვენგი] ; ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ. - მე-2 გადამუშ. და შევს. გამოც.. - თბ. : უნივერსალი : [თბილ. უნ-ტის გამ-ბა], 2012.**
 13. **გრიშკაშვილი 2005: გრიშკაშვილი ამბროსი - გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია : დამხმ. სახელმძღვ. / [რედ.: თეიმურაზ ბერიძე]. - თბ., 2005 (სტ. შპს "პდბ")**
 14. **ვეშაპიძე 1998: ვეშაპიძე შ. - ეკონომიკური თეორიის საფუძვლები - თბილისი 1998წ.**
 15. **ლეიაშვილი: 2002: ლეიაშვილი პ. - ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე. - თბ. : აზრი, 2002.**
 16. **მალაფერიძე 2010: მალაფერიძე ო. - ეკონომიკური თეორიის საფუძვლები : (სამი დიდი ეკონომისტი) : [ა. სმიტი, კ. მარქსი, ჯ. ქეინსი] / ო. მალაფერიძე ; სტუ. - თბ. : ტექნ. უნ-ტი, 2010**
 17. **მდივანი.....2005: მდივანი ლ, მდინარაძე ქ. - ეკონომიკური თეორია, ტესტები, ამოცანები - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2005**
 18. **მარშავა.....2009: მარშავა ქეთევან, მინდორაშვილი მაია - ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, თეორია, პრაქტიკა, ანგარიში თბ. 2009**
 19. **მოღებაძე 2005: მოღებაძე პ. - თანამედროვე ეტაპზე საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ძირითადი მიმართულებები (საქართველოს მაგალითზე) : დის. ეკონ. მეცნ. კანდ. 08.00.03 / სამეცნ. ხელმძღვ.: ნოდარ ჭითანავა ; სოც.-ეკონ. და რეგიონ. პრობლ. ს.-კ. ინ-ტი. - თბ., 2004**

20. **სამუელსონი.....2000: პოლ სამუელსონი, ვილიამ ნორდჰაუსი** - ეკონომიკა [დამხმ. სახელმძღვ. ეკონ. სპეც. სტუდ.] / პოლ სამუელსონი, ვილიამ ნორდჰაუსი ; [მთარგმნ. და პმგ რედ.: კარლო ლურჯკაია]. - მე-15 გამოცემა. - თბილისი 2000წ.
21. **სეფაშვილი 2001: სეფაშვილი ე.** - საქართველოს პრობლემები და პერსპექტივები შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობაში: დის.ეკონ. მეცნ. კანდ. 08.00.02 / სამეცნ. ხელმძღვ.: ირინა გოგორიშვილი ; თსუ. - თბ., 2001
22. **სისვაძე 2006: სისვაძე აზიკო** - ეკონომიკური თეორია ნაწ. 1 თბილისი 2006
23. **სიხარულიძე 2005: სიხარულიძე დავით** - უცხოური ინვესტიციების როლი გარდამავალ ეკონომიკაში : (საქართველოს მაგალითზე) : დის... ეკონ. მეცნ. კანდ. 08.00.02 / სამეცნ. ხელმძღვ.: რევაზ გოგობია ; თსუ. - თბ., 2005
24. **ქარჩავა 2004: ქარჩავა ნ.** - პრივატიზაციისა და საგარეო ვაჭრობის ურთიერთკავშირის მაკროეკონომიკური ანალიზი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში (საქართველოს მაგალითზე) : დის. ეკონ. მეცნ. კანდ. 08.00.03 / სამეცნ. ხელმძღვ.: თემურ შენგელია ; სოც.-ეკონ. და რეგიონ. პრობლ. ს.-კ. ინ-ტი. - თბ., 2004
25. **ქვაჩახია....2000: ქვაჩახია ირ., ქუტიძე რ.** - ეკონომიკური თეორია (დამხმარე სახელმძღვანელო არაეკონომიკური თეორიის სტუდენტებისთვის) - თბილისი 2000 წ.
26. **შაბურაშვილი 2004: შაბურაშვილი შ.** - საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების ეფექტიანობა გარდამავალ ეკონომიკაში (საქართველოს მაგალითზე) : დის...ეკონ. მეცნ. კანდ. 08.00.02 / მეცნ.-ხელმძღვ.: რევაზ გოგობია ; თსუ. - თბ., 2004
27. **ყიზილაშვილი....2006: ყიზილაშვილი შ., ყიზილაშვილი კ.** - ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო თბილისი 2006 წ.
28. **ჯინჭარაული: 2001: ჯინჭარაული გ.** - ეკონომიკური თეორია (ეკონომიკის ასპექტები) - თბილისი 2001 წ. ნაწ. 1

29. **ჭიაბრიშვილი.....2003:** ეკონომიკური თეორიის დაიჯესტი : [სახელმძღვ. სტუდ. / მთარგმნ.: თ. ჭიაბრიშვილი, თ. დემეტრაშვილი ; ვ.მ. სოკოლინსკის რედ.]. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003
30. **ღურწკაია 2001:** ღურწკაია ვ. - ეკონომიკური თეორია : დამხმ. სახელმძღვ. სტუდ. / სტუ-ს ეკონ. თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრა. - თბილისი. : სამშობლო, 2001.
31. **ჯიქია 2011:** ჯიქია მ. - ეკონომიკური ანალიზი : (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა) : [დამხმ. სახელმძღვ. / მერაბ ჯიქია, რობიზონ ჩეჩელაშვილი, ფრიდონ ბურდული ; რედ.: იზოლდა ჭილაძე, ზეინაბ გოგრიქიანი]. - თბ. : მერიდიანი, 2011.
32. **ჰეინე 2009:** ჰეინე პ. - ეკონომიკური აზროვნება / პოლ ჰეინე ; [სარედ. ჯგ.: თეიმურაზ კუპრავა [და სხვ.]]. - [მე-2 ქართ. გამოც.]. - თბ. : თავისუფალი უნი-ტის გამ-ბა, 2009.
33. **ჭითანავა 1995:** **ჭითანავა ნ.**- საბაზრო ეკონომიკის რეგულირება : (ორგანიზაციული პრობლემები) / ნოდარ ჭითანავა ; საქ. რესპ. ეკონ. სამინ., ეკონ. და სოციალ. პრობლემების სამეცნ.-კვლევ. ინ-ტი. - თბ., 1995.
34. **ჭითანავა 1996:** **ჭითანავა ნ.** - შერეული, მრავალწყობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა / ნოდარ ჭითანავა ; [რედ. გ. მალაშხია ; საქ. ეკონ. და სოც. პრობლემების ს/კ ინ-ტი]. - თბ., 1996
35. **ჭითანავა 1997:** **ჭითანავა ნ.** - გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები : [მონოგრაფია] / ნოდარ ჭითანავა ; [რედ. რევაზ ბასარია ; საქ. ეკონ. სამინ. არსებული ეკონ. და სოც. პრობლემების ს/კ ინ-ტი]. - თბ., 1997 (საქ. ეკონ. სამინ. არსებული ეკონ. და სოც. პრობლემების ს/კ ინ-ტის სტ.).
36. **ჭითანავა 2012:** **ჭითანავა ნ.**- საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები / ნოდარ ჭითანავა ; [რედ. ზაურ ნაჭყებია]. - თბ. : [ივერონი], 2012.
37. **ხიხაძე 2013:** **ხიხაძე ლ.** - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი შეთანხმებები და საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა / ლალი ხიხაძე ; სამეცნ. რედ. ნოდარ ჭითანავა. - თბ. : უნივერსალი, 2013.

38. **ხადური 2002: ხადური ნ.** - მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე) : დის... ეკონ. მეცნ. კანდ. 08.00.03 / სამეცნ. ხელმძღვ.: ვლადიმერ პაპავა ; საქ. მეცნ. აკად. პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინ-ტი. - [თბ.], 2002.
39. **ხანთაძე: 2003: ხანთაძე გ.** - საქართველოს საგარეო ვალის მართვის ოპტიმიზაცია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში : დის. ეკონ. მეცნ. კანდ. 08.00.05 / სამეცნ. ხელმძღვ.: შოთა ქისტაური ; თსუ. - თბ., 2003
40. **Analyzing balance-sheet vulnerabilities in a dollarized economy** : The case of Georgia : Abstract / IMF ; Prep. by Andreas Billmeier a. Johan Mathisen. - [Washington] : IMF., 2006
41. Commission of the European Communities, 'Implementation of the European Neighbourhood Policy in 2007' Progress Report Georgia,
42. **Determinants of inflation in a transition economy** : the case of Ukraine : abstract ; IMF ; prep. by Bogdan Lissovolik. - Washington : IMF, 2003.
43. **External borrowing in the Baltics, Russia, and other states of the Former Soviet Union the transition to a market economy/** European II dep. prep. by John Odling-Smee a. Basil Zavoico, May 1998. - [S.l.] : IMF, 1998
44. **Keefer 2004: Keefer P.** - A review of the political economy of governanceL From property rights to voice/ Philip Keefer; World Bank. - Washington : World Bank, 2004
45. **Harris, Clive Private participation in infrastructure in developing countries** : trends, impacts, and policy lessons / Clive Harris. - Washington : World Bank, 2003
46. **Kovzanadze 2008: Kovzanadze I.** Economic and Banking system development trends and prospects for countries in Transition 2008
47. **The energy sector reform and macroeconomic adjustment in a transition economy** : the case of Romania : abstract / IMF ; prep. by Stephane Cosse. - Washington : IMF, 2003

48. **Milanovic 1998: Milanovic B. - Income, inequality and poverty during the transition from planned to market economy / Branko Milanovic. - Washington : World Bank, [1998]**
49. **Opening up and geographic deversification of trade in transition economies /IMF WP/98/22, Europ. II a. policy development a. rev. dep.; Prepared by Oleh Havrylyshyn a. Hassan Al-Atrash, Feb. 1998. - [S.L.] : IMF, 1998**
50. **The Estonian Currency Board : its introduction and role in the early success of Estonia's transition to a market economy : abstract / IMF ; prep. by Adalbert Knobl, Andres Sutt, a. Basil Zavoico. - Washington : IMF, 2002**
51. **The convergence dynamics of a transition economy : The case of the Czech republic : Abstract / IMF ; Prep. by Jan Bruha, Jiri Podpiera, a. Stanislav Polak. - [Washington] : IMF, 2007**
52. **Stieglitz 1996: Stieglitz J., - Shock Therapy in Russia: Was There an lternative? From Plan To Market. 1996. World Dvelopment Report, Oxford University Press,**
53. **(Tax Reform in the Baltics, Russia, and other countries of the former Soviet Union, IMF 1999).**
54. **World development indicators. World Bank. 2002**
55. **Переходная экономика : [Моногр.] : Теоретические аспекты, российские проблемы, мировой опыт / [Авт.: В. С. Автономов, С. П. Аукуционек, А. Н. Клепач и др.] ; [Отв. ред.: В. А. Мартынов, В. С. Автономов, И. М. Осадчая] ; [Ин-т мировой экономики и международных отношений РАН]. - М. : Экономика, 2005 (Чебокс. тип. N1). - 720 с.**
56. **Уильямсон: 1993: Уильямсон, О. - Частная собственность и рынок капитала//Эко. 1993.. #5**
57. **Неформальная экономика в постсоветском пространстве : Проблемы исслед. и регулирования / Под ред. Ирины Олимпиаевой и Олега Паченкова ; Центр независимых социологических исслед.. - СПб. : ЦНСИ, 2003**
58. **Международные экономические отношения : Учеб. для студ. вузов по спец. "Мировая экономика" / [Авт.: В.Е. Рыбалкин, Ю. А. Щербанин, Л.В. Балдин и др.] ; Под ред. В. Е. Рыбалкина. - М. : ЗАО "Бизнес школа" "Интел-Синтез", 1998**

59. GEPLAC 1995: საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები - ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრის (GEPLAC) კვლევა 1995
60. GEPLAC 1996: საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები - ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრის (GEPLAC) კვლევა 1996
61. GEPLAC 1997: საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები - ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრის (GEPLAC) კვლევა 1997
62. GEPLAC 1998: საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები - ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრის (GEPLAC) კვლევა 1998
63. ლიბერალური აკადემია 2011: საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი (შუალედური ანგარიში)
64. საქართველოს სტატისტიკის სამსახური: საქართველოს სტატისტიკური წელიდწლეული 2005
65. საქართველოს სტატისტიკის სამსახური: საქართველოს სტატისტიკური წელიდწლეული 2006
66. საქართველოს სტატისტიკის სამსახური: საქართველოს სტატისტიკური წელიდწლეული 2008
67. საქართველოს სტატისტიკის სამსახური: საქართველოს სტატისტიკური წელიდწლეული 2011
68. საქართველოს სტატისტიკის სამსახური: საქართველოს სტატისტიკური წელიდწლეული 2014
69. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2008-2014 წელი
70. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 1996
71. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 1997
72. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 1998
73. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 1999

98. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 2010
99. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 2011
100. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 2012
101. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 2013
102. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - „საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008“ სტატისტიკური კრებული
103. მსოფლიო ბანკის მონაცემები data.worldbank.org
104. www.heritage.org/index/visualize
105. www.geostat.ge
106. www.mof.ge
107. www.economy.ge
108. www.pbo.parliament.ge
109. www.tradewithgeorgia.com
110. www.imf.org
111. www.worldbank.org
112. www.ebrd.org
113. <http://ec.europa.eu/eurostat>
114. www.wto.org
115. https://www.wto.org/english/thewto_e/minist_e/min98_e/mc98_e/st44.pdf
116. World Bank News Letter January-February 2002 pp 9-12:
<http://siteresources.worldbank.org/INTTRANSITION/Newsletters/20561622/JanFeb2002.pdf>